

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

X საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია

მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი

10th Faculty Scientific Conference

In Honour of the 100th Anniversary of the Birth of Shota Meskhia

პროგრამა

Program

ივნისი 14-15 June

თბილისი 2016 Tbilisi

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი თედო დუნდუა

პროფესორი თეიმურაზ პაპასკირი

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

დოქტორი თამარ გოგუაძე

Organizing Committee:

Professor Nana Gaprindashvili

Professor Tedo Dundua

Professor Teimuraz Papaskiri

Assoc. Professor Ekaterine Navrozashvili

Dr. Tamar Gogvadze

რეგლამენტი:

მოსხენება პლენარულ სხდომაზე – 20 წუთი

მოსხენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა ქართული

Time Limit:

Presentation at the plenary session – 20 minutes

Presentation in Sections – 15 minutes

Discussions – 5 minutes

Working language – Georgian

თეზისები

რევაზ აბაშია

საერთოქართველური ფუძე-ენის არქეტიპთა სტრუქტურის საკითხები

საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე არქეტიპთა სტრუქტურის მართებული რეკონსტრუქცია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ამ არქეტიპებში (ძირებში, ფუძეებში, ცალკეულ მორფემებში) ფონემათა შეთავსებადობის გარკვეული წესის მოქმედებას. კერძოდ, ფუძე ენის დონეზე რომელიმე ძირისეულ მორფემაში დაუშვებელი იყო სხვადასხვა რიგის სიბილანტური ფონემის - სპირანტის ან აფრიკატის - არსებობა, მაგრამ ბუნებრივი იყო ერთი საერთო (სისინასიბილანტური ან შიშინასიბილანტური) რიგის ფონემათა თანაარსებობა. ხსენებული კანონზომიერი ფონოტაქტიკური წესის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, უნდა გადაისინჯოს ქართველოლოგიაში საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე რეკონსტრუირებული ის ასპექტები, რომლებშიც სხვადასხვა რიგის სიბილანტური ფონემებია დაშვებული. მაგალითად, ლექსემა შაშვ-ის არქეტიპად საერთო ქართველური ფუძე-ენის დონეზე, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, *ზაშუ ფუძეა დაშვებული, მეორე ნაწილის თვალსაზრისით *ზაჟუ, ზოგი სპეციალისტის *საშუ არქეტიპს ვარაუდობს. როგორც ვხედავთ, თითოეულ წარმოდგენილ არქეტიპში სხვადასხვა რიგის სიბილანტებია რეკონსტრუირებული, არადა კანონზომიერი წესის მიხედვით, როგორც აღინიშნა, ასეთი რეკონსტრუქცია დაუშვებელია. ვფიქრობთ, ასევე გადასინჯვას მოითხოვს ხსენებული წესის გაუთვალისწინებლად რეკონსტრუირებული ფუძეები, რომლებიც შეშა, სიძე, ძარცვა, ცეცხლი, ძეწნა, წვერი და სხვ. ლექსემების არქეტიპებად არის დღემდე წარმოდგენილი. საინტერესოა, რომ სიბილანტური ფონემების შეთავსებადობის ეს პრინციპი მოქმედებს არა მხოლოდ საერთოქართველური ფუძე-ენის ძირეულ მორფემებში, არამედ ცალკეული ქართველური ენის ფარგლებში აღდგენილ არქეტიპებშიც.

Revaz Abashia

The issues of the structure of archetypes in the Common Kartvelian proto-language

A proper reconstruction of the structure of archetypes on the level of the Common Kartvelian proto-language, first of all, implies to the function of a certain rule of compatibility of phonemes in these archetypes (in roots, stems, in particular morphemes). Namely, the existence of a sibilant phoneme of different zone - either of spirant or affricate was impossible in any root phoneme on the level of a

proto-language, but coexistence of the phonemes of one common (either whistling-sibilant or hushing-sibilant) zone was natural.

Considering the mentioned natural phono-tactic rules, it seems, that those archetypes which were reconstructed on the Common-Kartvelian proto-language level and in which sibilant phonemes of different zone are possible should be reviewed in Kartvelology. For example, according to some scholars, on a Common Kartvelian proto-language a *zashw stem is considered to be an archetype of a lexeme შაშვი, others - *zazhw, and some suggest *sashw archetype, as well. As it is obvious, in each given archetype the sibilants of different zone are reconstructed, but according to the rule, as noted above, such a reconstruction is impossible.

It also requires to review those stems which were reconstructed without considering the mentioned rule and which are given in the specialist literature as the archetypes of შეშა, „firewood”, სიძე „Son-in-law”, ძარცვა „despoil”, ცეცხლი „fire”, ძეწნა „weeping willow”, წვერი „beard” and other lexemes.

It is interesting that the principle of the compatibility of sibilant phonemes functions not only in root morphemes of Common Kartvelian proto-language, but also in the archetypes reconstructed within a separate Kartvelian language.

თამარ ანთაძე

ვარლამ ჩერქეზიშვილი - დიზრაელზე

XIX საუკუნის 70-იანი წლების ინგლისის ისტორიაში, უდავოდ, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა და გამორჩეული პიროვნებაა კონსერვატიული პარტიის აღიარებული ლიდერი ბენჯამენ დიზრაელი, ლორდი ბიკონსფილდი. მან თავისი კვალი დატოვა არა მხოლოდ ამ პერიოდის ინგლისის, არამედ ევროპის ისტორიაშიც. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ბ. დიზრაელის მოღვაწეობისადმი ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, პუბლიცისტისა და ჟურნალისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება. წინამდებარე მოხსენებაში წარმოდგენილია ამ საკითხის შესწავლის პირველი მცდელობა.

თავის პუბლიცისტურ წერილებში ვ. ჩერქეზიშვილი ეხება ინგლისის პრემიერ-მინისტრის ბენჯამენ დიზრაელის მოღვაწეობას და აფასებს მის საქმიანობას. ქართველი ანარქისტი ცდილობს, გაიაზროს დიზრაელის პოლიტიკური კურსი. ამგვარი შეფასებითი მიდგომა ჩერქეზიშვილის სტატიებს ისტორიოგრაფიულ ელფერს სძენს. ამ სტატიათა ანალიზი საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ეპოქის გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკოსის მიმართ. ქართველი პუბლიცისტი კონსერვატორი პრემიერ-მინისტრის სახელს სულ ოთხგზის მოიხსენიებს სხვადასხვა ასპექტში. ვერ ვიტყვით, რომ ვ. ჩერქეზიშვილი იყოს დიზრაელის თაყვანისმცემელი ან მოწინააღმდეგე, მისი დამოკიდებულება ინგლისელი კონსერვატორის მიმართ ზომიერია. ის მაღალ შეფასებას აძლევს უილიამ გლადსტონს და აშკარა უპირატესობას ანიჭებს მის პოლიტიკურ კურსს დიზრაელის კურსთან შედარებით. ეს შეიძლება აიხსნას გლადსტონის, ლიბერალი პრემიერ-მინისტრის, მხარდაჭერით ირლანდიური ჰომურუსის მოძრაობისადმი. თანაუგრძნობდნენ რა

ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობებს, ქართველი საზოგადო მოღვაწენი მეტწილად განიხიავდნენ ირლანდიულ საკითხს, როგორც აქტუალურსა და პრიორიტეტულს.

ამრიგად, ვარლამ ჩერქეზიშვილის თავშეკვავებული დამოკიდებულება ბენჯამენ დიზრაელის მიმართ შემთხვევითი არ იყო და ლიბერალების ლიდერ უილიამ გლადსტონის მოღვაწეობის დადებითი შეფასებით გახლდათ გამოწვეული. ქართველი რევოლუციონერი და ანარქისტი გლადსტონს, როგორც პოლიტიკოსს, აშკარად დიზრაელიზე მაღლა აყენებდა.

Tamar Antadze **Varlam Cherkezishvili on Disraeli**

1. Benjamin Disraeli, the Earl of Beaconsfield, head of the Conservative Party, a politician of high standing was undoubtedly one of the most distinguished and prominent public figures in England of the 1870s. He left an invaluable trace both in English and European history. In our opinion the attitude of the famous Georgian political and public figure, publicist and journalist Varlam Cherkezishvili towards Benjamin Disraeli deserves a special attention.

The given paper presents the initial attempt of studying the issue.

2. In his publicistic articles Varlam Cherkezishvili considers and evaluates the English Prime Minister's activities. The Georgian anarchist makes an attempt to interpret the policy carried out by Benjamin Disraeli. Due to such an estimating nature the above-mentioned articles become historiographic. Their analysis allows us to determine Varlam Cherkezishvili's attitude towards the famous English politician of the time.

3. The Georgian publicist mentions the conservative Prime Minister's name in different aspects only four times. We cannot say with confidence whether Varlam Cherkezishvili is Benjamin Disraeli's admirer or his critic. One should regard Cherkezishvili's attitude towards Disraeli as objective and moderate. He thinks highly of the Liberal Prime Minister William Gladstone and apparently prefers his policy to that of Disraeli.

His consideration for Gladstone could be explained by Gladstone's support to the Irish Home Rule movement. Being in sympathy with the National Liberation Movements most Georgian public figures considered the Irish issue as topical.

4. So Varlam Cherkezishvili's reserved attitude was not an accident and was motivated by the positive estimation of the activities of the Liberal leader – Gladstone. The Georgian revolutionary and anarchist obviously places William Gladstone as a politician above Benjamin Disraeli.

მარინე ალექსიძე რუსული აბსოლუტივი უცხოენოვან აუდიტორიაში

რუსული აბსოლუტივი წარმოადგენს ერთ-ერთ ურთულეს თემას უცხოენოვანი სტუდენტებისათვის. ამ გრამატიკული მასალის „პრობლემური აღქმის“ ერთ-ერთი მიზეზია მშობლიურ ენაში პარალელების არ არსებობა. ამგვარი მეტყველების ნაწილის არ ქონა ქართულ ენაში განაპირობებს ბარიერის წარმოქმნას აბსოლუტივის გრამატიკული მახასიათებლების შესწავლის დროს. პრობლემურია შემდეგი საკითხები: აბსოლუტივის გრამატიკული კატეგორიების განსაზღვრა, მისი სინტაქსური როლი, აბსოლუტივით გამოხატული დროის შეფარდება ზმნის პირიანი ფორმით გამოხატულ დროსთან და ა.შ.

რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების ზოგიერთ მეთოდულ კამპანიაში აბსოლუტივის ტიპები გამოიყოფა დროის კატეგორიის გათვალისწინებით, ანუ გამოიყოფა აწმყო დროის აბსოლუტივი და წარსული დროის აბსოლუტივი. გარკვეული თვალსაზრისით, ამგვარ კლასიფიკაციას აქვს არსებობის უფლება, ვინაიდან არასრული ასპექტის აბსოლუტივი, როგორც წესი, წარმოიქმნება აწმყოს ფუძისაგან, სრული ასპექტის აბსოლუტივი კი, შესაბამისად, ნამყოს ფუძისაგან. თუმცა სწავლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აბსოლუტივის დაკავშირება ასპექტის კატეგორიასთან უფრო ლოგიკური და პროდუქტიულია. აბსოლუტივის ტიპის განსაზღვრა დროის კატეგორიაზე დაყრდნობით გარკვეულ წილად აზნებს სტუდენტს ე.წ. „დამოკიდებული ტაქსისის“ და „დამოუკიდებელი ტაქსისის“ [რ. იაკობსონის ტერმინოლოგიით] აღქმის დროს. რუსული აკადემიური გრამატიკა აბსოლუტივის გრამატიკული კატეგორიების დახასიათებისას ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ „აბსოლუტივს როგორც ზმნის ფორმას არ გააჩნია მორფოლოგიურად გამოხატული დროის მნიშვნელობა“. ამრიგად, უცხოენოვან აუდიტორიაშიც აბსოლუტივს უნდა მიეცეს ზმნის განსაკუთრებული ფორმის კვალიფიკაცია, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას როგორც სრული ასპექტის ზმნისაგან, ასევე

უსრული ასპექტის ზმნისგან, წინადადებაში აბსოლუტივი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც მეორეხარისხოვანია ზმნის პირიანი ფორმის მიერ გამოხატულ დროსთან. ორივე ზმნის ფორმა წინადადებაში გამოხატავს კორეფერენტულობის მიმართებებს. აბსოლუტივის და პრედიკატის ფორმები გარკვეულწილად გამოხატავენ აგრეთვე ტაქსისურ ურთიერთობებს როგორც ერთმანეთის მიმართ, ასევე მოყოლილის ფაქტის მიმართ.

აბსოლუტივის მორფოლოგიური დახასიათების და სინტაქსური როლის გაგება, მათი ფუნქციონირების კანოზომიერებათა გააზრება წარმოადგენს უცხოენოვან აუდიტორიაში გრამატიკული თემის „აბსოლუტივი“ შესწავლის აუცილებელ პირობებს. პრობლემურ გრამატიკულ საკითხებზე მუშაობა რუსული ენის გაკვეთილებზე აძლევს მასწავლებელს სტიმულს შეიმუშაოს გარკვეული საავტორო მეთოდები, რომლებიც მიმართული იქნება სტუდენტების მიერ მასალის ათვისების გაადვილებაზე. მოხსენებაში აღწერილია ზმნური მოქმედების მიმდინარეობის ხასიათის გრაფიკული ინტერპრეტაციის სისტემა, რომელიც მიმართულია გამონათქვამის აქციონალური

მხარის ვიზუალიზაციაზე, ეხმარება სტუდენტს შეაფარდოს აბსოლუტივისა და ზმნის პირიანი ფორმის მიერ გამოხატული მოქმედებები, გაიაზროს ტაქსისის და ასპექტის მიმართებები, რომლებიც გადმოიცემა კონკრეტულ გამონათქვამში.

Marine Alexidze

The Russian Adverbial Participle Presented to Foreign Audience

Russian adverbial participle is one of the grammatical topics that is difficult to understand for foreign students. The lack of the equivalent in their own language is one of the reasons for "problematic perception" of this grammatical material. The absence of this part of speech in the modern Georgian language creates an obstacle in the study of grammatical characteristics of the adverbial participle, where the problematic issues are: definition of the grammatical categories of an adverbial participle, its syntactic role, relationship between the action it expresses and the action transmitted by a verbal form, and so on.

Some methods of teaching the Russian language to foreign students involve differentiation of the types of the relationship with the fact reported (R.O. Jakobson's terminology).

Russian academic grammar, when characterizing grammatical categories of the adverbial participle, highlights the fact that "adverbial participle as a verbal form does not have a morphologically distinct time value". Thus, the adverbial participle, in our opinion, should also be treated in a foreign audience as a special verbal form, which can be formed from both imperfective and perfective verbs. In the sentence, adverbial participle expresses a secondary action in relation to the action expressed by a personal verbal form. Both verbal forms in the sentence display the coreferential relationship, i.e. association of action with one referent (subject). Forms of adverbial participle and predicate also reveal certain taxic relations both in relation to each other, and in relation to the fact reported. The understanding of the morphological features and syntactical role of the adverbial participle, the realisation of their grammatical functions - is the necessary condition for learning the "Adverbial participle" by a foreign audience. Returning to the problematic grammatical issues on the lesson for RFL, encourages the teacher to develop some private methodology designed to relieve students' perception of the grammatical material.

The report describes the system of graphic interpretation of the character of the verbal action, aimed at visualization of the actional aspect, which helps students to relate to the action expressed through the adverbial participle and personal verbal form, to understand the relation between taxis and aspect, conveyed through particular expressions.

ნატა ბასილაია, მარინა ანდრაზაშვილი
კომიკსი – უკანდახევა ვიზუალური ნარატივისგან თუ ჟანრის
ტრანსფორმაცია

წინამდებარე ნაშრომით ვაგრძელებთ კომიკსებისადმი მიძღვნილ ციკლს, რომლის პირველი, სოციოლოგიური და სოციოლინგვისტური ნაწილი: ნათარგმნი კომიკსები ქართულ რეალობაში („ცივილიზაციური მიებანი“ N11, 2013. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2014. გვ. 70–88) ეძღვნებოდა ინგლისური და გერმანული კომიკსების რუსულ და ქართულენოვანი თარგმანების რეცეფციის ანალიზს საქართველოს, როგორც მულტიკულტურული და მულტილინგვალური ქვეყნის ინდივიდუალობების გათვალისწინებით; მასში წარმოვადგენდით ასევე სოციალურ გამოკითხვაზე დაფუძნებულ შედეგებსა და განვაზოგადებდით მათ ეროვნული მენტალობისა და კულტურათაშორისი დიალოგის კუთხით.

წინამდებარე ნაშრომში ნაწილობრივ პირველი პუბლიკაციის შედეგებიდან ამოვდივართ და კვლევის არეალში კვლავაც კომიკსების სოციოლინგვისტურ ასპექტებს ვაქცევთ, კერძოდ, ნათარგმნის პარალელურად ასევე ორიგინალურ ქართულ კომიკსებზე (ამირანი: ლეგენდის დაბადება. კომიკსი 1. თბილისი: 2015) დაყრდნობით; მთავარი აქცენტი კი თვით კომიკსის როგორც ინტერდისციპლინური ფენომენის განვითარებისა და მისი ჟანრული ტრანსფორმაციის აღწერაზე გადაგვაქვს, რომელიც ხასიათდება თხრობის ლინეარული მანერის შენარჩუნების პარალელურად ასევე სხვა დამატებითი ინტერსემიოტიკური კომპონენტების შემოტანითაც. აღნიშნულ ფენომენს ნაშრომში ვაანალიზებთ ე.წ. კლასიკური კომიკსის მაგალითზე და ვცდილობთ, თანამედროვეობის კომიკსის კლასიკოსებად აღიარებულ ავტორთა ნაწარმოებებზე (Uli Oesterle „Hector Umbra“ / Ken Kesey „One Flew Over the Cuckoo's Nest“ / Ben Katchor „Der Jude von New York“ / Blutch: „Blutch. Der König von Paris“ / Will Eisner „Das Komplott. Die wahre Geschichte der Protokolle der Weisen von Zion“ და ა.შ.) დაყრდნობით ჩამოვაცალიბოთ გრაფიკული ნოველის (Graphic Novel; ტერმინი ვილ აისნერისა), მოგვიანებით ასევე რომან-კომიკსის (Comics-Roman) მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც, ისინი რამდენადმე უპირისპირდებიან საკუთარ წინამორბედს, ე.წ. მანგა-კომიკსებს. მასალის მოცულობის გათვალისწინებით, ნაშრომში ყურადღება გადაგვაქვს რომან-კომიკსის მხოლოდ არსებით გარეგან და შინაგან მახასიათებელზე, კერძოდ ისეთებზე, როგორებიცაა: ფორმატის გაფართოება; ფაბულისტ-მწერლისა და გრაფიკოს-ილუსტრატორის კოოპერაცია; ფოკუსირება ეპიკურ ჟანრზე, მრავალსიუჟეტურობა; ორიენტაციის აღება მოზრდილი ასაკის მკითხველზე; ვიზუალური კავშირი ექსპრესიონისტულ მხატვრობასთან, განსაკუთრებით გერმანულ ექსპრესიონისტულ სკოლასთან.

ნაშრომში ცალკე ქვესაკითხად გამოვყოფთ გრაფიკული რომანის გადაკეთებას სცენარად და მისი ეკრანიზაციის ფენომენს, ანუ ანიმაციური მომენტის გადაზრდას

ფილმის განზომილებებში, რომლის მწვერვალად დღემდე ითვლება მწერალ ალან მოორისა და ილუსტრატორ დეივ გიბონის ერთობლივი რომან-კომიქსის „გუშაგის“ (Watchmen; გერმანულ ვერსიაში Wächter; 1986/87) მიხედვით შედგენილი სცენარი და მისი ეკრანიზაცია (2009).

Nata Basilaia, Marina Andrazashvili

Comics – Stepping Back from Visual Narrative or Transformation of the Genre

With the present work we continue the cycle devoted to comics. Its first, sociological and sociolinguistic part is presented by “Translated Comics into the Georgian Reality” (Civilization Researches, N 11, 2013. TSU Press, pp. 70-88), which analyzed the reception of the Russian and Georgian translations of English and German comics, taking into account the unique features of Georgia as a multicultural and multilingual country. We also offered the results of the public opinion survey and interpreted them considering the national mentality and intercultural dialogue. The present work is partially based on the results of the first publication and our attention is still drawn upon the study of the sociolinguistic aspects of comics, namely, in addition to translations, on the basis of the original Georgian comics as well (Amirani: Birth of the Legend, Comics 1, Tbilisi: 2015). We put a special emphasis on the description of the development of comics as an interdisciplinary phenomenon and the transformation of its genres, which, along with retaining the linear manner of narration, also carries the tendency towards introducing additional inter-semiotic components. We analyze the above-mentioned phenomenon on the example of the so-called classic comics and, on the basis of the works of the authors (Uli Oesterle / Ken Kesey / Ben Katchor / Blutch / Will Eisner etc.) acclaimed as classical writers of the modern comics. These authors attempt to formulate the characteristics of graphic novel/comics (term introduced by Will Eisner - German: illustrierter Roman, Comicroman, Grafischer Roman), according to which, they oppose their own predecessor - the so-called manga comics to a certain extent. Taking into account the high volume of the material, we focus our attention only on essential, external and inner characteristics of graphic novel, such as: broadening of the format; cooperation of a story writer and a graphic illustrator; focus on the epic genre, presence of multiple plots; addressing adult readers; visual link with expressionistic painting, especially, the school of German expressionists.

In the work we single out as a separate sub-issue the transformation of graphic novel into a screenplay script, i.e. conversion of the animation into a movie, the greatest example of which is considered to the present day the script and film version created according to *Watchmen* - joint graphic novel by writer Alan Moore and illustrator Dave Gibbons (*Watchmen*, 2009).

მარიამ ბაკურიძე

არჩილ სულაკაურის პროზის სიმბოლიკური სტრუქტურა

არჩილ სულაკაურის პროზას რთული და ღრმად გააზრებული სიმბოლური სტრუქტურა უდევს საფუძვლად. სიმბოლოების ენას ა. სულაკაურის პროზაში გარკვეული იდეურ-

მხატვრული მიზანდასახულობა აქვს.მის პროზას თავიდან ბოლომდე გასდევს ერთი სახე-სიმბოლო-მტკვარი.მოთხრობაში „წყალდიდობა“ მტკვარი ძველის ნგრევისა და ახალის შენების სიმბოლური გამოხატულებაა. მასში მტკვარი სიკეთის სიმბოლოდაც გვევლინება.

მოთხრობაში „ლუკა“ ყურადღებას იპყრობს მთვარის სიმბოლიკა, ოქროს თევზისა და თეთრი ცხენის სიმბოლური ხაზები. სიმბოლოებით განსაკუთრებით მდიდარია რომანი „ოქროს თევზი“. მასში ჭარბად ვხვდებით ღრმად გააზრებულ სახე-სიმბოლოებს, სხვადასხვა საგნის სიმბოლიკას, რომელთა მიღმა ზოგადობის ნიშნით აღბეჭდილი მნიშვნელოვანი აზრი დევს. თევზის სიმბოლიკას ნაწარმოებში რამდენიმე მხატვრული სახე უკავშირდება. თვით თევზიც დამოუკიდებელი მხატვრული სახეა, მხატვრული პირობითობაა, რის საშუალებითაც იხსნება პერსონაჟთა ხასიათები და ხდება მწერლის იდეური ჩანაფიქრის ხორცშესხმა. ოქროს თევზის სიმბოლური ხაზი რომანში ძირითადად ფოლკლორულ ძირებთანაა დაკავშირებული, მაგრამ თევზის სიმბოლიკას ღრმა ფესვები აქვს, აგრეთვე მითოსსა და რელიგიურ წარმოდგენებში.

არჩილ სულაკაურის რომანში“ოქროს თევზი“ არის კიდევ ერთი, ფრიად საგულისხმო სიმბოლო – აქვარიუმი. აქვარიუმის სიმბოლიკა მთელ თემად შეიძლება წარმოვიდგინოთ-ესაა საზოგადოების მემცანური ფსიქოლოგიის ჩვენება, რაც ნაწარმოებში რეალისტურადაა ხორცშესხმული. „ოქროს თევზში“ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლური ხაზი, რომელიც მიმზიდველი ნოველის ჩართვით იქმნება.ამ „ნოველას“ შეიძლება ეწოდოს “მოსე მამისთვალის მარგალიტი“. ქართული ფოლკლორული ტრადიციის თანახმად, მარგალიტი სილამაზის სიმბოლოა,მწერალმაც მარგალიტის სიმბოლო ქართული ფოლკლორიდან აიღო. „ოქროს თევზის“სიმბოლურ სტრუქტურაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ოქროს თევზის, აქვარიუმისა და მარგალიტის სიმბოლიკები არ არის ერთმანეთისაგან მოწყვეტილი და დამოუკიდებელი. თითოეული მათგანი მთლიანად სიმბოლური სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია და, მიუხედავად დამოუკიდებელი მხატვრული ფუნქციისა, ერთ მხატვრულ ქსოვილს, იდეურ- მხატვრულ მთლიანობას ქმნის.

Mariam Bakuridze

Symbolic Structure of Archil Sulakauri's Prose

Difficult and deeply intelligent symbolic structure lays at the heart of Archil Sulakauri's prose. Language of symbols in A. Sulakauri's prose serves certain ideological and artistic purposes. In particular, one image-symbol – river Mtkvari appears as a leitmotif throughout his novel. In the story *Flooding*, the river Mtkvari symbolizes the destruction of the old and building the new. In the story *Luka* the symbols of the moon, a gold fish and a white horse capture our attention. The

novel *Gold fish* is especially loaded with deeply intelligent symbolic images, which refer to significant ideas of general nature hidden behind them.

Some artistic images are connected with a symbol of fish in the novel. The fish is also an independent artistic image, a conventional reflection which reveals the temperament of characters and unveils the ideological message of the author. In the novel the symbolical expression of the gold fish, basically, is linked with folklore, however, the symbol of a fish has deep roots in mythology and religious imagination.

At Archil Sulakauri's novel *Gold fish* there is one more worthy symbol - the aquarium. The symbolism of aquarium can be considered as the main topic – it aims at exposing the mentality of petty bourgeois that comes out rather realistically.

There is another important symbolical line in *Gold fish* which is created by the short story included in the novel. This short story can be titled as *The Pearl of Moses Mamistvalov*. According to the Georgian folk tradition, the pearl is a symbol of beauty, which the writer has borrowed from the Georgian folk stories. The observation of the symbolical structure of *Gold fish* demonstrated, that the symbols such as gold fish, aquarium and pearl are not to be separated as independent entities but they are parts of one inseparable symbolic structure and in spite of their independent artistic functions they form one artistic 'textile' of ideological-artistic wholeness.

ცირა ბარამიძე

წერწეტ-ის ეტიმოლოგიისათვის და რედუპლიცირებულ ძირ-ფუძეთა საკითხი ქართულში

მოხსენებაში წარმოდგენილია რედუპლიცირებული ფუძის **წერწეტ-ის** ეტიმოლოგია. **წერწეტ-ი** დაკავშირებულია საერთოქართველურ ძირთან **წერ-** „წერა“, ძვ.ქართ. „ჭრა“, „კვეთა“ მნიშვნელობით. ამავე სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ ძირს (წერ-) უკავშირდება ლექსიკური ერთეულები: ქართ. **წერ-ა-ქვ-ი**, **წერ-ტ-ილ-ი** < ***წერ-ეტ-ილ-ი**, **მ-წერ-ი** იგივეა ეტიმოლოგიურად, რაც **მ-წერ-ალ-ი** (მწერი იხზვლიტება, ანუ „წერ-ს“, მწერალიც „წერს“. **წერ-** ძირს აქვს შესატყვისი ქართველურ ენებში. ქართ. **წერ-** (< ***წერ-**) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **ჭარ-**, ლაზ. **ჭარ-** და სვან. **ირ-** (< ***ჭერ-** **ჭ-** დაკარგვის შედეგად). ქართ. **მ-წერ** - ფუძეს შეესატყვისება მეგრული **ჭანჯ-** (**ჭანდ-** < **ჭანჯ-**). **წერ-** საეტიმოლოგიო ძირ-ფუძეს უკავშირდება აგრეთვე **წერ-აყ-ან-ი** (ქართ., მოხ.დიალ.); **წერაყინ-ი** (წერ-აყ-ინ-ი) „წერაქვის მსგავსი რკინის იარაღი (ქეგლ-ი)“. მ.

ჩუხუა მას უკავშირებს ზან. (მეგრ.) *ჭარკ*-ინ-ი < **ჭარყ*-ინ-ი „მოკაუჭებული ჯოხი“, შდრ. იმერ. (<ზან.) *ჭარკ*-ენ-ი „ბურთის სათამაშო მოკაუჭებული ჯოხი“. ავტორმა ქართ. *წერაყ-ინ-ი*, მოხ. *წერაყ-ან-ი* და მითითებული ზან. შესატყვისების საფუძველზე აღადგინა ს.-ქართვ. **წერყ-ინ-* „მოკაუჭებული ჯოხი (სანადირო, სათამაშო)“ და მართებულად დაუკავშირა ჩიჩნ. (იჩქ.) *ჭერგ* < **ჭარკ*-ა (ნ) „განივი მორი (დირე) სხვენზე გადებული“, ინგ. *ჭარგა* < **ჭარკ*-ა(ნ) „id“, ბაცბ. *ჭარკ*-ე(ნ) „მოკლე ჯოხი“; ამ შემთხვევაში ბაცბური თითქმის იმეორებს საერთონახურის ვითარებას: ბაცბ. *ჭარკ*-ე(ნ) < ს.ნახ. **ჭარკ*-ენ : ს.-ქართვ. **წერყ-ინ-*. მოხსენებაში განხილულია აგრეთვე სხვა დაკავშირებები ჩრდილოკავკასიურ ენებთან.

სისინ-შიშინა სიბილიანტები დუპლეტურ ფუძეებში არსებობდა ქართველური ენების დივერგენციის პერიოდიდან. ქართული ენის დიალექტებში შემორჩენილია დუპლეტური ფუძეები, რომლებიც ასახავენ ძველ ვითარებას, როცა დუპლეტურ ფუძეებში ეკვივალენტების გაჩენამ შესატყვისობა შექმნა ქართველურ ენათა შორის. ეს პროცესი ქართული ენის დიალექტებში შეჩერდა დუპლეტური ფუძეების დონეზე და არა ბგერათშესატყვისობების სახით, განსხვავებით ზანურისა და სვანურისაგან, რომლებშიც მოგვცა შესატყვისობები. რედუპლიციირებულ ფუძეებში ხშირ შემთხვევაში შეიძლება ჩანდეს ბგერათშესატყვისობის ძველი სურათი, რომელიც ცალკეულ ძირსა თუ ფუძეში არ არის დადასტურებული.

წერწეტ-ი (< **წერ-წერ-ეტ-ი*) ლექსემის სემანტიკური გადაწევა გვესახება ამგვარად: „წერა - როგორც ჭრა, კვეთა“ > *წერწეტი* „გამოჭრილი > გამოკვეთილი ტანით“.

Tsira Baramidze

Towards the Etymology of Georgian *čerčət* (*წერწეტ*) and the Issues of the Reduplicated Stems

The paper deals with the etymology of reduplicated stem *čerčət* (*წერწეტ*-) which is connected to the Common Kartvelian root *čer-* (*წერ* -) ‘writing’, meaning ‘cutting’, or ‘carving’ in Old Georgian. The following lexical units are linked with the same semantic-etymological root (*čer-* *წერ*-): Georgian *čer-a-qvi* (*წერ-ა-ქვი*-) - ‘pickaxe’, *čer-čil-i* < **čer-ečil-i* (*წერ-ტ-ილი*-ი < **წერ-ეტ-ილი*-ი) - ‘point’, *m-čer-i* (*მ-წერ-ი* -) - ‘insect’ is the same etymologically as *m-čer-al-i* (*მ-წერ-ალ-ი* -) - ‘writer’ (insect pierces or ‘writes’, a writer also ‘writes’); *čer-* (*წერ*-) has equivalents in the Kartvelian languages. Megr. *čar-* (*ჭარ*-), Laz. *čar-* (*ჭარ*-) and Svan. *ir-* (*ირ*-) (< *čer-* (**ჭერ*-) as a result of the loss of č (*ჭ*-) correspond with a Georgian *čer-* (*წერ*-) (< **čier* (**წიერ*-)) root. Megrelian *čunč-* (*čund*- < *čunč-*) (*ჭანჯ*- *ჭანდ*- < *ჭანჯ*-) corresponds with the Georgian *m-čer-* (*მ-წერ* -); *čer-* (*წერ*-) is also related to *čer-a q-an-i* (*წერაყ-ან-ი* -) ‘hunter’s stick with iron blade’ (Georgian, Mokhebian dialect); *čer-a q-in-i* / *čer-a q-an-i* (*წერაყინ-ი* / *წერაყ-ან-ი*) ‘pickaxe-like metal tool’ (GED). M. Chukhua connects it with Zan

(Megr.) *čark-in-i* < **čarg-in-i* (ჭარკ-ინ-ი < *ჭარყ-ინ-ი) ‘curved stick’, cf. Imer. (< Zan) *čark-en-i* (ჭარკ-ენ-ი) ‘curved ball-playing stick’. On the basis of Georgian *cer-a q-in-i* (წერ-აყ-ინ-ო), Mokhevian *cer-a q-an-i წერ-აყ-ან-ი* and mentioned Zan equivalents the author reconstructed C.-Kartv. **cer-q-in-* **წერ-ყ-ინ-* ‘curved stick (for hunting, playing)’ and rightly linked it to Chechnian (Ichk.) *čerg<čark-a(n) ჭერგ<ჭარკ-ა* (ნ) ‘cross-log (beam) over the attic’, Ing. *čarg<*čark-a(n) (ჭარგა <*ჭარკ-ა(ნ) „id“*, Bats. *čark-e(n) ჭარკ-ე(ნ)* ‘short stick’. In this case, Bats. almost repeats a Common-Nakh situation: Bats. *čark-e(n) ჭარკ-ე(ნ)* < C.-Nakh. **čark-e(n) (*ჭარკ-ენ)* : C-Kartv. **cer-q-in-* (**წერყ-ინ-*). The report also deals with other links to other North Caucasian languages.

Whistling-hushing sibilants have been present in the duplexed stems since the divergence period of the Kartvelian languages. Georgian dialects preserved duplexed stems, which reflect the old situation, when the occurring of equivalents in duplexed stems created correspondences in the Kartvelian languages. This process stopped in the Georgian dialects in the duplexed stems and not in the form of sound-correspondences, unlike Zan and Svan, in which it produced correspondences. In most cases the reduplicated stems demonstrate an old picture of sound-correspondences which are not confirmed in some stems and roots.

მიხეილ ბახტაძე
რამდენი ათასი ყივჩაღი გადმოსახლა დავით აღმაშენებელმა
საქართველოში

1118 წელს დავით აღმაშენებელმა საქართველოში ყივჩაღები გადმოსახლა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, რომ ყივჩაღთაგან 40 ათასი მოლაშქრე გამოდიოდა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ მეფემ ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახი გადმოსახლა და თითო ოჯახს თითო მეომარი უნდა გამოეყვანა. თუ ყივჩაღთა ოჯახში საშუალოდ 4-5 სულს ვიგულისხმებთ, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში დაახლოებით 160-200 ათასი ყივჩაღი გადმოსახლებულა.

მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, ყივჩაღთა 45 ათასი ოჯახი ჩამოსახლა მეფემ. უკანასკნელ წლებში განსხვავებული მოსაზრება გამოითქვა. მკვლევართა ნაწილი, 160-200 ათასიანი ურდოს არსებობას არარეალურად მიიჩნევს და თვლის, რომ ჩამოსახლებულ ყივჩაღთა რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო. ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას რომ 160-200 ათასიანი ურდო ძნელი წარმოსადგენია.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ნამდვილად ასახელებს ყივჩაღთაგან გამომავალი ლაშქრის რაოდენობას - „რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“, მაგრამ არ წერს, თუ რა პრინციპით ხდებოდა ჯარის შეკრება. თითო ოჯახიდან თითო მეომარი – ეს მოსაზრება ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის.

ყივჩაღთა მთავარი მოვალეობა იყო ჯარის გამოყვანა და ბრძოლაში მონაწილეობა, სხვა ვალდებულება მათ დაკისრებული არ ჰქონდათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამხედრო ვალდებული იყო ყველა ზრდასრული ყივჩაღი მამაკაცი. ამიტომ თითო ოჯახიდან გამოდიოდა არა თითო მეომარი, არამედ ორი და სამიც კი. ასეთ შემთხვევაში გადმოსახლებული გამოდის დაახლოებით 15 ათასი ოჯახი.

Mikeil Bakhtadze

How Many Thousand Kipchaks Were Brought to Georgia by David the Builder?

In the 1118 David the Builder brought Kipchaks to Georgia. According to David the Builder`s historian, above 40 thousand Kipchaks fought in the battle. Based on this information Georgian historiography generally believes that David the Builder brought to Georgia 40 thousand families of Kipchaks to settle and each family had to send at least one warrior to the battlefield. Supposing that each Kipchak family consisted about 4 or 5 members, it turns out that approximately 160-200 thousand Kipchaks should have moved to Georgia.

One part of scientists believes that 45 thousand Kipchaks families moved at the order of the king. A different opinion has emerged recently. Part of the scholars reckon that it is unlikely that a crowd containing 160-200 thousand people had moved from one country to the other and they consider the number of the migrated Kipchaks to be much less. We agree with the opinion that it is hard to imagine the crowd of 160-200 thousand people moving immediately from one place to the other. David the Builder`s historian definitely mentions the size of the Kipchaks` army - "Among them was a pile of forty thousand selected warriors". Yet, he did not mention the principle of their selection. "One warrior per family" – this view belongs to Ivane Javakhishvili. The main duty of Kipchaks was to collect the troops and to combat at the battlefield; No other obligations were imposed. We think that each adult male Kipchak had military responsibility. Therefore, each family was to spare not only one warrior, but two or even three. In this case, we think that about 15 thousand Kipchak families must have been moved to Georgia by David the Builder.

ლევან ბებურიშვილი
ადამიანის ზნეობრივი გარდაქმნის პრობლემა ვაჟა-ფშაველას ეპიკურ
პოეზიაში

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად, ვაჟა-ფშაველას პოემებში ასახულია პიროვნების გარდაქმნის, ფერისცვალების პროცესი. ამ მოსაზრებას იზიარებენ ისეთი ცნობილი მკვლევრები, როგორებიც არიან: ა. გაწერელია, თ. ჩხენკელი, ა. ბაქრაძე და სხვ. ვაჟა-ფშაველას პოემების ანალიზის საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ეს ტრადიციული შეხედულება დაზუსტებას საჭიროებს, რადგან როდესაც საუბარია გარდაქმნაზე ზნეობრივ სფეროში, აქ უთუოდ ის იგულისხმება, რომ საქმე გვაქვს ადამიანის არსებით, ძირეულ სულიერ გარდაქმნასთან, ბოროტებიდან სიკეთისაკენ. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, ადამიანის ასეთ სულიერ გარდაქმნას ვნახავთ პოემაში „გოგოთურ და აფშინა“. გოგოთურის სულგრძელობა უდიდეს ზემოქმედებას ახდენს აფშინას ზნეობრივ ცნობიერებაზე, რის შემდეგაც იგი არსებითად იცვლის ცხოვრების წესს, ყოფილი ავაზაკი ბერად შედგება. რაც შეეხება პოემა „ალუდა ქეთელაურს“, რომელთან დაკავშირებითაც ყველაზე ხშირად მოიხმობენ ხოლმე სიტყვა „ფერისცვალებას“, იგი მთლად ზუსტად ვერ გამოხატავს ალუდას სულში მიმდინარე პროცესების არსს. ალუდა თავიდანვე მადლიანი, „დავლათიანი“, ანუ ღვთის წყალობის მქონე კაცია, რომელსაც იმთავითვე გამოკვეთილი პიროვნული ბუნება და სულიერი ღირსებები აქვს. თავსგადამხდარი არაჩვეულებრივი შემთხვევა კი იმპულს აძლევს ალუდას მორალური ცნობიერების თანდათანობით ამაღლებას და მის არსებაში პოტენციურად არსებული დიდი სულიერი ენერჯის გამოვლენას. ანუ „ალუდა ქეთელაურში“ საქმე გვაქვს პიროვნების არა ფერისცვალების, არამედ ზნეობრივი ამაღლების შემთხვევასთან. კიდევ უფრო დიდი უზუსტობაა საუბარი „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟების – ჯოყოლასა და ზვიადაურის ფერისცვალებაზე. ჯოყოლა განსხვავებულს არაფერს აღმოაჩენს ეთიკის სფეროში, უბრალოდ, იგი იცავს იმ ზნეობრივ ნორმას, რომელსაც არღვევს მთელი საზოგადოება. მსგავსადვე, ზვიადაური სულიერ სიმტკიცეს ყოველგვარი შინაგანი თუ გარეგანი მასტიმულირებელი ფაქტორების გარეშე ავლენს. ჯოყოლა და ზვიადაური იმთავითვე მონოლითური, გაუზიარავი პიროვნებანი არიან. ისინი უკვე მოპოვებულ ზნეობრივ მრწამსს იცავენ. ამდენად, ჩვენ მოწმენი ვხდებით არა ფერისცვალების, არამედ პიროვნებათა ზნეობრივი ამაღლებისა.

Levan Beburishvili

The Human's Moral Transformation Problem in Vazha-Pshavela's Epic Poetry

According to the point of view established in the Georgian literary studies, the poems by Vazha-Pshavela greatly reflect on the process of human transformation and transfiguration. Famous critics such as A.Gatserilia, T. Chkhenkeli, A. Bakradze etc. agree with this opinion. This traditional point of view needs some clarification, as when it comes to a moral transformation, it means the essential and radical spiritual transfiguration of the human person - from evil to good. If we consider the work of Vazha-Pshavela from this standpoint, we'll see such a spiritual revolution in his poem *Gogotur and Apshina*. As about the poem *Aluda Ketelaury*, one may argue that the term "transfiguration" doesn't express exactly the processes taking place in Aluda's inner world. From the inception Aluda is merciful, dignified and guided by the grace of God. The occasion that happened to him stimulates the gradual rising of Aluda's moral consciousness and discovers the great spiritual energy potentially already existed in his inner world i.e. In the case of *Aluda Ketelaury* we refer not to transfiguration of human, but moral ascension. More inaccuracies will emerge if we discuss the transfiguration of the characters such as Jokola and Zviadauri in *Host and Guest*. Jokola doesn't discover anything different in terms of ethics; he simply keeps the moral standard, which is violated by the whole society. Like him, Zviadauri keeps his spiritual firmness without any external or internal support. Jokola and Zviadauri are strong personalities from the beginning. They keep the moral principles they already possess. So our concern is not merely a transfiguration, but also a moral ascension of Vazha-Pshavela's characters.

ირაკლი ბრაჭული

„ნუმინოზური აურა“ და საკრალურის არტიკულაცია მირჩა ელიადეს რელიგიის ფილოსოფიაში

მირჩა ელიადეს განსაზღვრით ადამიანი არის Homo religous ანუ საკრალურთან კომუნიკაციის უნარით დაჯილდოებული ცოცხალი არსება. ეს შეადგენს ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტურ სტრუქტურას. ყველა ეპოქისა და ყველა კულტურის ადამიანს აქვს მოთხოვნილება გადალახოს ბუნების საზღვრები და ეზიაროს ზებუნებრივ ვითარებას. ეს „სტრუქტურა“ თავს იჩენს „მითოსურ ქცევებში“ და თანამედროვე სამყაროს მითებში. მითოსური კონსტრუქტები გავლენას ახდენენ

საზოგადოების მრავალ სეგმენტზე. ეს არ არის არქაული მენტალიტეტის რუდიმენტული გადმონაშთი თანამედროვე ადამიანში. არქაული კოსმოგონია თეოგონია და თეოდიცია განიცდის მუტაციებს ისტორიული განვითარების პროცესში. მირჩა ელიადემ აზროვნების ერთიან მატრიცაში მოაქცია „არქაული ონტოლოგიები“ და პლატონის ფილოსოფიურ სისტემაში წარმოდგენილი სულის ამნეზიისა და ანანამნეზიის თეორიები.

საკრალურის განცდა ადამიანურ ყოფიერებას ახასიათებს მთლიანად მის ყველა განხორციელებაში. რელიგიით ისტორია საკრალურის განცდისა და განხორციელების ისტორიაა. მას შემოქმედებითი ხასიათი აქვს და გამოხატულია რელიგიური სიმბოლოების ქმნალობაში. რელიგიათა ისტორიული კვლევები გვიჩვენებენ, რომ განიცდიან ცვლილებებს და ისინი ჩაენაცვლებიან მსგავსი სიმბოლოებით კულტურის ისტორიული პროცესის მსვლელობაში. ისინი წარმოიშვებიან გარკვეულ ისტორიულ კონტექსტში და დისკურსულ კონფიგურაციებში. უზენაესის გამომხატველი და საკრალურის მატარებელი რელიგიური სიმბოლოები ყოველთვის გამოირჩევა „ნუმინოზური აურით“. ისევე როგორც ხელოვნების ქმნილებას ახასიათებს „ესთეტიკური აურა“, ასევე საკრალურ სიმბოლოებსაც აქვთ თავიანთი „ნუმინოზური აურა“. ისინი ავლენენ საკრალური გამოცდილების არსებით მოდალობებს და საზრისულ მნიშვნელობებს ანიჭებენ ადამიანური სიცოცხლის გამოვლენის გონით ფორმებს. რელიგიური სიმბოლო არის შიფრი მედიუმში, რომელშიაც კოდირებულია საკრალური განცდა. ამ შიფრის გაშიფვრა ნიშნავს საკუთარი არსებობის შეზღუდულობიდან (მოკვდავობიდან, სასრულობიდან) ამოსვლას, „საშვის მიღებას უნივერსუმში“.

ამ პრინციპების მიხედვით არის დალაგებული მირჩა ელიადეს ნაშრომი „რელიგიური რწმენებისა და რელიგიური იდეების ისტორია“ ქვის ხანიდან მოყოლებული ქრისტიანობის ტრიუმფამდე და რეფორმაციამდე. მას დაუმთავრებელი დარჩა უკანასკნელი ნაწილი წიგნისა, რომელშიც უნდა წარმოედგინა თანამედროვე მსოფლიოს რელიგიური სიტუაციის ანალიზი.

ავტორის მიხედვით, თანამედროვე სულიერი სიტუაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სამყარო განიცდის რელიგიური ვალენტობის კლებას და საკრალურის უკმარისობას. თუმცა იმავე სამყაროში გამოკეტლია ტენდენციები, რომლებიც საშუალებას იძლევა დავინახოთ საწყისებთან დაბრუნებისა და მომავალი შემოქმედებითი რელიგიური ეპოქის გარკვეული ნიშნები. მირჩა ელიადეს მიხედვით, თანამედროვე რელიგიის ფილოსოფიის ამოცანაა სწორედ მე-20 საუკუნის მიწურულში გამოავლინოს პოსტსეკულარული ეპოქის ძირითადი ნიშნები, მოახდინოს მათი ანალიზი და სათანადო არტიკულაცია.

Irakli Brachuli

“Numinose Aura” and Sacral Articulation In Mircea Eliade Religion philosophy

In accordance with the Mircea Eliade's opinion of a human being as *homo religiosus* i.e. a living creature endowed with the ability of communication with the sacred. This is the fundamental structure of human being. A human person from all epochs and every culture has an inherent need to overcome the boundaries of the nature and partake in supernatural realm. This “structure” appears in “Mythic Behavior” and in the myths of modern world. The mythical structure has influence over many sectors of society. This isn't a rudimentary vestige of archaic mentality in the modern person. Archaic cosmogony, theogony and theodicy mutate in the process of historical development. Mircea Eliade has converted “archaic ontology” in common matrix of thinking and sole amnesia and anamnesis theories presented in Plato's philosophical system.

Sacred feeling is characterized to human existence, whole in all its implementation. History of religion is the history of the sacred feeling and its implementation. It has creative nature and is introduced in the creation of religious symbols. The researches of religious history show that they suffer changes and are replaced by similar symbols during the historical process of culture they appear in certain historical contexts and discursive configurations. Religious symbols expressing the supreme and the sacred are always distinguished by “Numinose Aura”. Just as artistic creation is characterized with “Aesthetic Aura”, the sacred symbols have their “Numinose Aura”. They display substantial modalities of sacred experience and grant sensible importance to reasonable forms of detection of human life. Religious symbol is cipher medium, in which sacred feeling is the code. Encryption of this cipher means to exit from the limitation of own creation (mortality, finitude) “Permit Reception in Universum”.

Work of Mircea Eliade *History of Religious Ideas* is placed in accordance with these principles from Stone Age to Christianity triumph and reformation. The last part of the book was left unfinished, in which he presented the analysis of the situation of the world's modern religions. In accordance with the author the analysis of modern situation shows that the universe suffers decline of religious experience and the lack of the sacredness. However in the same universe the tendencies are locked, which gives us an opportunity to see several signs of returning to both the origins and the future of a creative religious epoch. According to Mircea Eliade the task of modern

religious philosophy is exactly at the end of the 20th century to outline major signs of postsecular epoch, to carry out their analysis and a proper articulation.

ელენე გოგიაშვილი

ჰერმან ჰენრიხის „მოკლე ამბავი პრინც ჰერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობისა“ და მისი პირველწყარო

1793 წელს ლაიპციგში დაიბეჭდა ჰერმან ჰენრიხის წიგნი „მოკლე ამბავი პრინც ჰერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობისა“. გამოცემა წარმოადგენს 54-გვერდიან ისტორიულ ქრონიკას. ავტორი შესავალში განმარტავს, რომ გამოყენებული აქვს ელიას ჰაბესკის, იმავე გრაფ ალექსანდერ გიკას ნაწერები. ეს განცხადება გამომცემლის მხრიდან ორ მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება: 1) მკითხველი დაარწმუნოს წყაროს სანდოობაში და 2) წიგნის წარმატებით გაყიდვა უზრუნველყოს. ჰერმან ჰენრიხის მიერ გერმანულად გამოცემული ტექსტის პირველწყარო არის ელიას ჰაბესკის თხზულება „პაპის ძალაუფლების გაყოფა ოსმალეთის იმპერიაში და მოსაზრებები საქართველოს მმართველ პრინც ჰერაკლიუსზე“. ეს ნაშრომი ინგლისურ ენაზე გამოიცა კალკუტაში 1790 წელს სამ წიგნად, თარგმნილია ელიას ჰაბესკის ფრანგული ხელნაწერიდან.

Elene Gogiashvili

The Primary Source of The Short Chronicle on the Prince Heraclius and Contemporary State of Georgia by Hermann Henrichs

The Short Chronicle on the Prince Heraclius and Contemporary State of Georgia [Kurze Geschichte des Prinzen Heraclius und des gegenwärtigen Zustandes von Georgien] by Hermann Henrichs, printed in Leipzig 1793 presents a 54-page historical chronicle. The author claims that he used the writings by Graf Alexander Jeka, i.e. Elias Habesci. This announcement of the author aims to (1) convince the reader of the authenticity of the narrative and (2) ensure the successful selling of the book.

Hermann Henrichs' primary source is the opus *The partition of the dominions of the Pope, preceded by that of the Ottoman Empire, and by considerations on Heraclius, the reigning Prince of Georgia*; This work in three volumes was translated from the French manuscript of Elias Habesci and published in English in Calcutta, by the press of Joseph Cooper, 1790.

ნანა გულიაშვილი

მშვენიერისა და ამაღლებულის ობიექტური დაფუძნების მცდელობა ფრ. შელინგის ფილოსოფიაში

კანტის ესთეტიკის გავლენა შელინგის ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე თვალსაჩინოდ აისახა შელინგის მოძღვრებაში მშვენიერებისა და ამაღლებულის შესახებ.

მშვენიერებისა და ამაღლებულის პრობლემას შელინგი ეხება ორ თხზულებაში: „ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემა“ და „ხელოვნების ფილოსოფია“.

ორივე ნაშრომში ამ საკითხის ირგვლივ წარმოდგენილი ესთეტიკურ-თეორიული ნააზრევი იდენტურია, რაიმე არსებითი ხასიათის სხვაობა არ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ამაღლებულის განხილვა „ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემაში“ მოკლე და სქემატურია, შელინგი ფაქტობრივად იფარგლება იმის აღნიშვნით, რომ მშვენიერებასა და ამაღლებულს შორის თვისობრივი სხვაობა არ არის, ხოლო „ხელოვნების ფილოსოფიაში“ უფრო ვრცლად საუბრობს ამაღლებულის ესთეტიკური კატეგორიის შესახებ და უხვად მოჰყავს შილერის გამონათქვამები მის დასახასიათებლად.

უმთავრესი, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით არის, ის ფაქტია, რომ შელინგთან ნაწილობრივ ხდება კანტიანური სუბიექტურობის გადალახვა და უპირისპირდება რა კანტის სუბიექტურობას, იძლევა მშვენიერებისა და, ერთი შეხედვით, ამაღლებულის ობიექტურ დაფუძნებას.

თუ კანტთან მშვენიერი და ამაღლებულიც გემოვნებითი მსჯელობის უნარით იქმნება, შელინგი მტკიცედ დგას მათი სუბიექტურ განცდათაგან დამოუკიდებლობაზე. მისი აზრით, სამყარო თავად ფლობს ესთეტიკურ ხასიათს, რომელიც იქმნება არა ადამიანური მსჯელობით, არამედ ეცხადება ჩვენს ინტელექტუალურ ჭვრეტას.

გავარკვიოთ როგორ ხდება შელინგის მიერ მშვენიერების ობიექტური დაფუძნება და რაში მდგომარეობს მისი ძირითადი არსი.

ჩვენთვის ცნობილია, რომ შელინგი აიგივებს რა ხელოვნებისა და მშვენიერების ცნებებს, ამ უკანასკნელს განსზღვრავს როგორც წინააღმდეგობის მოხსნას გრძნობადსა და გონებითს შორის, უსასრულოს სასრულში ვლენას, როგორც რეალურისა და იდეალურის, სასრულისა და უსასრულოს, თავისუფლებისა და აუცილებლობის განუსაზღვრელობას.

„სილამაზე მოცემულია ყველგან, – წერს შელინგი, – სადაც ეხებიან სინათლე და მატერიალ, იდეალური და რეალური. სილამაზე არ არის არც მხოლოდ ზოგადი, ანუ იდეალური და არც, მხოლოდ რეალური. . . ამგვარად, ის არის მხოლოდ სრული ურთიერთგამსჭვალვა, ანუ კვლავგაერთიანება ერთისა და მეორისა. . . ჭეშმარიტებას შეესაბამება აუცილებლობა, სიკეთეს – თავისუფლება, ჩვენი დეფინიცია სილამაზის, რომლის თანახმადაც, ის არის რეალურისა და იდეალურის კვლავგაერთიანება, რამდენადაც უკანასკნელი გამოვლენილია ასახვაში, მდგომარეობს შემდეგში: სილამაზე

არის თავისუფლებისა და აუცილებლობის განუსხვავებლობა – განჭვრეტილი რეალურში”.

Nana Guliashvili

An Attempt of Objective Establishment of the Beautiful and the Sublime In Friedrich Schelling’s Philosophy

The influence of Kant’s Aesthetics on Schelling’s work about the beauty and the sublime is exceedingly obvious.

Schelling covers the problem of objectivity of the beautiful and the sublime in two of his works: *System of Transcendental Idealism* and *The Philosophy of Art*. In both of these works the theoretical and aesthetical views are identical, without any real difference. The only difference might be that the definition of “the sublime” in the *System of Transcendental Idealism* is short and schematic, where Schelling basically says that there is no subjective difference between these two. While in the “Philosophy of Art” he talks about aesthetical category of the sublime and brings a lot of Schiller’s quotations as examples. The most important thing is that Schelling partially covers Kantian subjectivism in his works, and while he objects to it, he is able to provide the objective view on the sublime and the beautiful.

If in Kant’s case the sublime and the beautiful both arise based on personal preferences, Schelling argues that they should be considered apart from subjective attitude of a person. He thinks that the world has an aesthetic characteristic in itself, which is not a result of human’s reason, but rather appears to our intellectual vision.

Let’s define Schelling’s objective establishment of the sublime and what its main idea is. We know that for Schelling the definition of art is the same as the definition of the sublime, while the last one is defined by him as the removal of resistance between reasonable and emotional; as a revelation of perpetual into temporary; as an impossibility of defining the real and ideal, infinite and finite, freedom and obligation.

“Beauty is everywhere,” says Schelling, “where light and matter, ideal and real are linked. Beauty in this sense is neither merely cognitively universal nor the practically real... rather it involves the

complete interpretation and union of both. Necessity corresponds to ultimate truth, kindness – to freedom. Our definition of beauty which unifies real and ideal is as follows: beauty is indistinguishability between freedom and necessity – contemplated in reality”.

ია გრიგალაშვილი
ლიტურგიკული ღვთისმეტყველება „წმინდა გრიგოლ ხანძთელის
ცხოვრებაში“

ქრისტიანობა – ქრისტესადმი ცოცხალი, მაცხოვრებელი რწმენაა. ლიტურგიკული ღვთისმეტყველება ეფუძნება გამოცხადებას. ქრისტეს ამქვეყნად მოსვლის, ჯვარცმისა და აღდგომის მისტიკურ გამოცდილებაში არსებობს ქვეყნიერების შექმნა, დაცემა და გამოხსნაც. ქრისტე ეკლესიისათვის ცოცხალი სახარებაა, რომელიც განიცდება ლიტურგიით. ლიტურგიკული ღვთისმეტყველების წყაროებია: წმინდა წერილი, წმინდა გარდამოცემა და ეკლესიის ლიტურგიკული გამოცდილება.

გიორგი მერჩულეს „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აისახა მეცხრე-მეათე საუკუნეებში ქართული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო სკოლის ხასიათი. ტაო-კლარჯეთში გაშლილი სამონასტრო ცხოვრება მდიდარ მასალას იძლევა ქართული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო საკითხების შესწავლისათვის.

Ia Grigalashvili
Liturgical Theology in *The Life of St Grigol Khandteli*

Christianity is the living and saving faith of Christians leading to Christ. Liturgical Theology is based upon revelation. Creation of the world, the Fall and redemption exist within the mystical experience of Christ's birth, Crucifixion and Resurrection. Christ is a living Gospel for the Church and we experience Him through the Liturgy. The sources of Liturgical theology are: the Bible, Tradition and Liturgical experience of the Church.

In the *Life of Grigol Khandteli* is reflected the character of the 9-10th centuries Georgian Liturgical-theological school of Tao-Klarjeti. Monastery life spread in Tao-Klarjeti offers a great material for studying Georgian Orthodox theological issues.

მაია გურგენიძე

"ტვიტერის" ენა როგორც კომუნიკაციის თანამედროვე ფორმა

ნაშრომში კატეგორიებად არის დაყოფილი სიტყვები, რომლებმაც უმეტესად განაპირობა ტვიტერის ენის შექმნა. ტვიტერი არის მომხმარებელზე დაფუძნებული ქსელი. ის ინტერაქტიული ქსელია, რომელიც საზოგადოებაზეა ორიენტირებული, და ურთიერთობებზეა დამყარებული. ტვიტერის ენას თავად მომხმარებლები ქმნიან. მომხმარებლების გარეშე ქსელი ცარიელი სივრცე იქნებოდა ცარიელი ფორუმით, აპლიკაციებით და ჩეტით. ხალხმა ქსელი საუბრებით აითვისა (Peter 2009). ჩეტის შინაარსის მიმართულება განისაზღვრება ნებისმიერი ადამიანის მიერ, რომელიც ჩაერთვება დისკუსიაში. სწორედ ეს ხდის ტვიტერის სოციალურ ქსელს აღმაფრთოვანებელსა და დინამიურს ინტერნეტ მომხმარებლებს შორის (John 2009). ადამიანები მთელი მსოფლიოდან მიმართავენ ტვიტერს, რაც განპირობებულია ტვიტერში ინფორმაციულობის ზრდით. შევხედოთ დღევანდელ პოლიტიკურ სამყაროს, ლიდერების უმრავლესობა იყენებს მას, რათა გაუზიარონ ხალხს თავიანთი ლიდერული უნარ-ჩვევები და ჩართონ ისინი თავიანთ კამპანიებში. სამომავლოდ, მოსალოდნელია, რომ ტვიტერში მსოფლიოს კომპანიების უმრავლესობა იქნება ჩართული მათი სხვადასხვა ბრენდის რეკლამირებისთვის. ტვიტერის ენა და გარეგნული მხარე იცვლება ყოველდღიურად ლოგოს ცვლილებასთან ერთად. მისი მახასიათებლები იცვლება დროის მიხედვით. როგორც ჩანს, ტვიტერი უფრო სასურველია დღევანდელი საზოგადოებისთვის სხვა სოციალურ საიტებთან შედარებით.

Maia Gurgenzidze

The Language of Twitter as the Modern Means of Communication

The paper has categorized several vocabulary words that specifically entail the creation of Twitter language. Twitter is a user-based social network oriented on the users and it is also community driven. Without the users, the network would be an empty space filled with empty forums, applications, and chat rooms. Users populate the network with conversations and content (Peter 2009). The direction of that content is determined by anyone who takes part in the discussion. This is what makes Twitter as a social network so much more exciting and dynamic for the Internet users (John 2009).

Most people across the globe are turning to twitter due to how informative it has grown to be. When we look at the political world today, most leaders are using twitter to sell their leadership skills in

their campaigns and in interaction with people. In the future for twitter, it is expected that most world companies would have engaged on twitter advertising of their different brands. The language and outlook of twitter continue to change evidenced by the logo changes. Its characteristics continue to change with how time is moving. When compared to other social sites, Twitter is seen to be more preferred than the other social sites.

როზეტა გუჯეჯიანი

საკრალური ადგილების ხალხური ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში

ნაშრომი შესრულებულია ისტორიული ეთნოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში და მასში განხილულია წერილობითი ძეგლები და ეთნოგრაფიული მასალა. ტრადიციულ ქართულ ყოფაში ჩვეულებითი სამართლის სახით შემონახულია საქართველოს სახელმწიფო და კანონიკური სამართლიდან მომდინარე არაერთი ნორმა. საქართველოში ჩვეულებითი სამართალი განსაკუთრებით აღორძინდა 1801 წლიდან, როდესაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფოები და ქართული სახელმწიფო სამართალი. ამ დროიდან მოყოლებული ქართული სახელმწიფო სამართლის ნორმები ახალ სიცოცხლეს პოვებს ქართველ მთიელთა ყოფაში არსებული ჩვეულებითი სამართლის სახით.

ქართულმა ჩვეულებითმა სამართალმა შეითვისა სახელმწიფო და კანონიკური სამართლიდან მომდინარე ეკლესიის შეუვალობის ნორმები და მათ უმნიშვნელოვანესი ადგილი მიაკუთვნა ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში. ჩვეულებითი სამართალწარმოების დროს ეკლესიის შეუვალობის წესით დადგენილ საზღვრებში ჩადენილი დანაშაული ორმაგად ისჯებოდა და დამნაშავეს ორმაგი საზღაური ეკისრებოდა.

რასაკვირველია, სამართლის ეს ნორმა სახელმწიფო და კანონიკური სამართლიდან მომდინარეობდა. ქართული ჩვეულებითი სამართლის ყველა ლოკალურ ვარიაციაში (სვანეთი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი...) დიდი ადგილი ეთმობა საკრალური ადგილების მნიშვნელობას სამართალწარმოების პროცესში. ტრადიციულ ქართულ ყოფაში ეკლესია-მონასტრისა და ეკლესიის საკუთრებაში არსებული მიწა-წყლის საკრალური აღქმა განზოგადდა სასოფლო მოედანზე, სასაფლაოზე, საოჯახო კერაზე და ყველა მათგანი, ხალხური მსოფლალქმის მიხედვით, მიესადაგა ეკლესიის შეუვალობის ტრადიციას. ანუ, ჩვეულებითი სამართლის თანახმად, საკრალური ადგილებად მიიჩნევა ეკლესია, მონასტერი, ეკლესიისა და მონასტრის ეზო, სასოფლო მოედანი (სუიფი, საფეხნო, საანჯმო..), საოჯახო კერა, სასაფლაო და სხვ. ყველა მათგანი დაცულია ე. წ. ეკლესიის შეუვალობის წესით. ამ ადგილების საკრალურ აღქმასთან დაკავშირებულია როგორც რწმენა-წარმოდგენები, ასევე სოციალური კონტროლის მექანიზმებიც. ეკლესიის შეუვალობის ტრადიციებს იცნობს ევროპული

შუასაუკუნეების სამართალიც, რომლის ნაწილიც იყო ქართული სახელმწიფო სამართალი (1801 წლამდე). საკრალურობის თემა გადაჯაჭვულია მსოფლიო სამართლისათვის ნიშნეული „უმაღლესი მშვიდობიანობის“ დაცვის საკითხთანაც. ქართული ჩვეულებითი სამართალი ავლენს მდგრად ხასიათს და გამოირჩევა დროში გამძლეობით. ეს მომენტი განპირობებულია მთის მოსახლეობის შედარებით კონსერვატული ბუნებითა და ქართველ მთიელთა რელიგიურობით.

Rozeta Gujejiani

Folk Aspects of Sacred Places in Georgian Customary Law

The work is performed in the methodological frameworks of study of historical ethnology, and ancient manuscripts and ethnographic materials are considered in it.

Many norms arising from Georgian public and canon law are kept in conventional everyday life of the Georgians in the form of customary law. Customary law was especially revived in Georgia since 1801, when Russian Empire abolished the Kingdoms of Kartli and Kakheti and abrogated Georgian public law. Since then the norms of Georgian public law have found a new life in the form of customary law existing in everyday life of the Georgian highlanders.

Georgian customary law assimilated the norms of sanctity of the church arising from public and canon law and made them a feature within the frameworks of customary law. Customary law considered the crime committed within the settings of the rule of sanctity of the church punishable by double severity and double punishment. It is obvious that this norm of the law arose from public and canon law. In every local variation of Georgian customary law (Svaneti, Khevsureti, Pshavi, Tusheti...) a lot of attention is paid to the significance of sacred sites in the implementation of the law. Sacred perception of churches and monasteries as well as the land and water owned by the church was generalized in Georgian conventional everyday life in the images of rural square, cemetery, family hearth and all of them according to folk worldview were associated with the tradition of sanctity of the church. So, according to customary law, the church, monastery, churchyard and monastery yard, rural square (Suipi, Sapekhno, Saanjmo...), family hearth, cemetery etc. all of them are protected by the rule of sanctity of the church. Religious faiths and conceptualization, as well as mechanisms of social control are related to the sacred perception of these sites. The European medieval law (Georgian public law was its part prior to 1801) also

recognizes the traditions of the sanctity of the church. The subject of the sacred is also interlaced with the issue of protection of “supreme peace”, which is significant for universal law. Georgian customary law claims determination and exceptional durability. This fact is caused by relatively conservative nature of the mountain population and the religious commitments of the Georgian highlanders.

თედო დუნდუა, აკაკი ჩიქობავა
მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება (XII-XVIII საუკუნეების
ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით)

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების X ტომში გამოქვეყნდა სტატია – მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება (ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით) (თ. დუნდუა, ა. ჩიქობავა). აქ გთავაზობთ კონკრეტული ნარატივის გაგრძელებას. გაერთიანებული საქართველოს ძლიერი მეფეები, დემეტრე I (1125-1156 წწ.) და გიორგი III (1156-1184 წწ.), თავიანთ მონეტებზე არაბულ ზედწერილებს, სულთნის და ხალიფას სახელს ათავსებენ. ზოგიერთი მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ საქართველოს მეფე რაღაც ფორმით მუსლიმ მფლობელზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ასეთი მოსაზრება ყოველად უსაფუძვლოა. დემეტრე I-ის და გიორგი III-ის კონკრეტული ჟესტი ნაკარნახევი იყო წმინდა ეკონომიკური მოტივებით – ქართულ მონეტებს გზა უნდა გაეკვლია მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრებისკენ, ამას კი არაბული ლეგენდა და ხალიფას სახელის მოხსენიება უთუოდ ხელს უწყობდა. ამავე დროს წარწერის შინაარსი იმასაც ატყობინებდა მუსლიმურ სამყაროს, რომ, ვთქვათ, გიორგი III „მეფეთა მეფე“ და „მესიის მახვილი“ იყო. ე.ი. საქმე გვაქვს საქართველოს სამეფოს სიმღერის საერთაშორისო პროპაგანდასთან. თამარიც (1184-1210 წწ.) „მესიის მიმდევარი“ და „დედოფალი დედოფალთა“, „დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა“, არაბულად. გიორგი IV ლაშა (1210-1222 წწ.) „მეფეთა მეფე“ და „მესიის მახვილია“. რუსუდანის (1222-1245 წწ.) ტიტულებიც თამარის ანალოგიურია. შემდგომ საქმე გვაქვს უკვე საქართველოს სამეფოს სისუსტის საერთაშორისო პროპაგანდასთან. დავით ნარინი (1245-1293 წწ.) თავის მონეტებზე სპარსულად „ყაენის მონა დავით მეფეა“.

იგივე დავითი მონღოლთა კონტროლს მიღმა, დასავლეთ საქართველოში, სულ სხვანაირად იქცევა. ორი დავითის (დავით ნარინი და დავით ულუ (1247-1270 წწ.)) მონეტებზე აღნიშნული მეფეები, „დავით მეფე“, „მეფეთა მეფე დავით“, კეისრის სამოსელში არიან გამოწყობილნი. ეს მონეტები ქართველთა პროდასავლური სიმპათიების პროპაგანდაა, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში XIII-XV საუკუნეებში მოჭრილი კირმანეული თეთრი, ტრაპიზონის ასპრების ქართულ მინაბაძები.

საიმპერიო სიმბოლიკა და აღმოსავლეთ ევროპის ჰეგემონობა შემდგომ რუსეთს ხვდა წილად. რუსეთის მოკავშირეობის მაძიებელი ერეკლე II (1745-1798 წწ.) თავის ფულეზზე ორთავიანი არწივის გამოსახულებას ათავსებს. ირანულ-ქართული დაპირისპირებისას რუსეთის პასიურობით უკმაყოფილო ერეკლე 1796 წელს თბილისის ზარაფხანაში უკვე ერთთავიანი არწივის გამოსახულებიან მონეტებს ჭრის. ამრიგად, ყველგან, მათ შორის საქართველოშიც, მონეტა პროპაგანდის საშუალებაც იყო.

Tedo Dundua, Akaki Chikobava
Coin as a Means of Propaganda (According to the 12th-18th cc. Georgian Money)

10th volume of Proceedings, Institute of Georgian History, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, shows “Coin as a Means of Propaganda (According to Georgian Numismatics)” (in Georg. with Engl. Summary) by Tedo Dundua and Akaki Chikobava. Now the story is prolonged. It might be a bit surprising that Demetre I (1125-1156) and Giorgi III (1156-1184), the mighty kings of the united Georgia, placed Arabic legends, the name of a sultan and Caliph on their coins. Some scholars think this should point to some sort of dependence on a part of the Georgian king towards the Muslim ruler. However, this argument is largely flawed. Such actions of Demetre I and Giorgi III were dictated mainly by economic factors, since the Georgian money had to reach the Middle Eastern markets, and Arabic legends and name of a sultan and Caliph on them would undoubtedly help in it. Simultaneously the contents of the legend conveyed to the Muslim world that both were the “King of the Kings” and the “sword of the Messiah”. i.e. we deal with international propaganda of Georgia’s might. Tamar (1184-1210) also figures as “champion of the Messiah” and “Queen of the Queens”, “glory of the world and faith”, in Arabic. Giorgi IV Lasha (1210-1222) is “King of the Kings” and the “sword of the Messiah”. Queen Rusudan (1222-1245) is styled like her mother, Tamar. Then we deal with international propaganda of Georgia’s weakness.

David Narin’s (1245-1293) copper coins show him as “Slave of Qa’an”, in Persian. When in Western Georgia, David Narin acted differently. Coins with the effigy of two Davids (David Narin and David Ulugh (1247-1270)) are patterned on the issues of the Byzantine Emperors, John Comnenos (1118-1143) and Michael Palaeologus (1258-1282), showing Georgians’ Occidental aspirations, like Kirmaneuli tetri, the Georgian imitations to the aspers of Trebizond,

patterned mostly on the coins of the two Emperors of Trebizond, Manuel I (1238-1263) and John II (1280-1297).

Gradually, Russia started to dominate Eastern Europe, and Georgian king Erekle II (1745-1798), searching for her support, placed double-headed eagle, already coat of arms of Russia, on his copper coins.

In 1795 Persians captured Tbilisi, the capital. Russians gave no help to Erekle II. Obviously irritated, he substituted double-headed eagle by single-headed eagle on his copper coins.

So, like everywhere, in Georgia coin served also as a means of propaganda.

ანასტასიაზაქარიაძე ქრისტიანული ეთიკის პრინციპების დაფუძნება ადრეულ განმანათლებლობაში

აღმოსავლეთ ევროპის კულტურა არ არის ახალი იდეების პასიური მიმღები, აქ აშკარად შეიმჩნევა ზოგად ჰუმანისტური იდეების ისტორიული რეალობასთან ადაპტირება. ადრეული განმანათლებლობის ეპოქაში აღმოსავლეთ ევროპის ცენტრში – ფეოდალური უნგრო-ვლახეთის ტერიტორიაზე აშკარად გამოკვეთილია რეფორმაციიდან განმანათლებლობაზე გარდამავალი ეპოქის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, სახეზეა კულტურული განახლების პროცესი. ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს ანთიმოზ ივერიელის შემოქმედების, კერძოდ, მისი ქრისტიანული ეთიკის პრინციპების გადამწყვეტი როლი ამ პროცესში. ანთიმოზ ივერიელი ამ პერიოდის სხვა რუმინელ მოღვაწეებთან ერთად სიღრმისეულადაა ჩართული დასავლურისა და აღმოსავლურის ღირებულებათა სინთეზირების პროცესში. ამ მოაზროვნეთა საერთო, შეთანხმებული მოქმედების გეგმაზე საპირისპირო მოსაზრებებია გამოთქმული; მოხსენებაში გაანალიზებულია ეს თვალსაზრისები და დასაბუთებულია ანთიმოზ ივერიელის, როგორც ამ პროცესის არქიტექტორის, როლი. გაანალიზებულია მის მიერ შემოთავაზებული პარადიგმის პრინციპები, რომლებიც ერთ ძირეულ პრინციპს – ქრისტიანულ ტრადიციაზე დამყარებული მორალური ღირებულებების წინა პლანზე წამოწევას- ემყარება. ამ ეპოქის უნგრო-ვლახეთის/რუმინეთის კულტურა წარმოადგენდა აღმოსავლური და დასავლური კულტურათა სინთეზს, ეს ქვეყანა თამაშობდა გარკვეული ხიდის როლს მათ ურთიერთობაში, ანთიმოზ ივერიელის ამოცანაა ეს სინთეზი დააფუძნოს ბიზანტიური ტრადიციას. ამ მიზნით მის მოდელში წინ

წამოიწევს რუმინული ენის გამოყენება საჯარო საუბრებში, პირველ რიგში ეკლესიაში და შემდეგ განათლებაში;

საეკლესიო მწერლობის განსაკუთრებული მხარდაჭერა საერთო ეროვნული განათლებისთვის; არგუმენტაციისა და რიტორიკის ხელოვნების განვითარება, რომელთაც, თავის მხრივ, დაემყარებოდა ახალი კრიტიკული სააზროვნო მოდელი, განათლებისა და ქრისტიანობის გავრცელება სამეზობლო არეალში. ამ პარადიგმის დანერგვისას ანთიმოზ ივერიელისათვის გადამწყვეტია ქრისტიანული ეთიკის ნორმების დაფუძნება.

მიუხედავად იმისა, რომ ანთიმის შემოქმედებაში ჩვენ ვერსად წავაწყდით ტერმინს “მორალის თეოლოგია“, ტერმინს, რომელიც დასავლეთში განმანათლებლობის ეპოქაში გამოჩნდა და ამ ეპოქის მოაზროვნეთათვის საბაზისო გახდა, წმინდა ანთიმოზ ივერიელი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც სრულად ესმის მორალის თეოლოგიის საზრისი. უეჭველი ფაქტია, რომ მთელი მისი პრაქტიკული და თეორიული საქმიანობა მიმართულია ქრისტიანული ეთიკის ნორმების დაფუძნებისაკენ. იგი კარგად იცნობს მორალის თეოლოგიის კათოლიკურ ვერსიას. ანთიმის ამოცანაა მართლმადიდებელ სწავლებასთან შესაბამისობაში მოიყვანოს სეკულარიზებული „მორალის თეოლოგია“. იგი სრულად აცნობიერებს, თუ რამდენად აუცილებელია მორალის თეოლოგიის „გამხნეება“, რათა მან შესძლოს წინ აღუდგეს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშე დადგა ევროპული განმანათლებლობის ეპოქის ადამიანი. მოხსენებაში დეტალურადაა გაანალიზებული ეს გამოწვევები.

Ananstasia Zakariadze

Foundations of the Principles of Christian Ethics in the Early Enlightenment

The East European Culture is not only a cultural space for passive reception of new ideas, but also a space where the humanist ideas are adapted to a different historical reality in the age of the early Enlightenment. In the center of the Eastern Europe in Romanian feudal states there were obvious all characteristic signs of a transitional epoch from the Reformation to the Enlightenment, a cultural revival process could also be observed. My aim in this paper is to explain the decisive role played by Anthim the Iberian's heritage, namely the principles of his Christian Ethics in the development of this process. Some Romanian intellectuals of this period and Anthim the Iberian among them, were deeply involved in the process of synthesizing the Eastern and Western values. There are different opinions about whether they followed a common programme or a plan. These viewpoints were widely discussed and argued the leading role of Anthim the Iberian as an architect of the process. The principles of the paradigm given by him have also been analyzed. All of them are based on one

essential goal – bringing forward traditional Christian moral values. The culture of Wallachia of that period appeared as a cultural link between the East and West, this country became a bridge between the two worlds. Anthim the Iberian's aim was to establish that synthesis on the pattern of the Byzantine tradition. For that purpose under his guidance was set forth the use of the Romanian language in public speech, first of all in churches and also in education that enabled the education of common people especially with the help of religious writings. He also offered a new model of critical thinking based of argumentation and rhetoric; promoted essentially moral values, related to Christian faith; supported the work for spreading knowledge and teaching Christianity in neighboring areas. St Anthim the Iberian is one of those people, who fully understood the essence of “moral theology”, though in his heritage we could not find this term. It is undoubtful that all his theoretical and practical activity is directed towards the foundation of the principles of Christian ethics. His aim is to correlate the secularized “moral theology” with the basics of Orthodox Christianity.

რუსუდან ზექალაშვილი **უარყოფის გამოხატვის ლექსიკური საშუალებები ქართული ენის** **დიალექტებში**

სალიტერატურო ქართულში შესწავლილია უარყოფის გამოხატვის ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები, დერივაციული მოდელები, გამოყენების სპეციფიკა, სტილისა და ნორმალიზაციის საკითხები (ვ. თოფურია, ა. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, ლ. გეგუჩაძე და სხვ.), მაგრამ ის სათანადო სიღრმით არაა გამოკვლეული ქართული ენის კილოებში.

უარყოფა ქართული ენის დიალექტებში გამოიხატება სალიტერატურო ქართულის მსგავსად: უარყოფითი ნაწილაკებით (არ, ვერ, ნუ... აღარ, ვეღარ, ნულარ), ამავე ნაწილაკების შემცველი ნაცვალსახელებითა (არავინ, ვერავინ, ნურავინ, არავითარი, ვერავითარი, არანაირი...) და ზმნიზედებით (არსად, ვერსად, ნურსად...). მსგავსია მათი სემანტიკური ნიუანსებიც: არ- ნაწილაკიანი ფორმები კატეგორიული უარყოფის გამომხატველია, ვერ- ნაწილაკიანი - შეუძლებლობისა, ნუ- ნაწილაკიანი - თხოვნითი აკრძალვისა. ზოგიერთ კილოში გამოყენებულია სპეციფიკური ფორმები, მაგალითად, თუმურში - უარყოფითი ნაწილაკები: არღ, არღადა ნულ, ნულა; იმერულში - აპა (რაჭულში - მაპა), ინგილოურში - ჰეჩ (აზერბაიჯანულად ნიშნავს არაფერს). გურულში, აჭარულში, ქვემოიმერულში, რაჭულსა და იმერხელში არავინ, ვერავინ ნაცვალსახელების

მნიშვნელობით დასტურდება: არკაცი, არაკაცი, ვერკაცი, ვერიკაცი, ვერაკაცი. განსხვავებულია ლექსიკურ საშუალებათა ფონეტიკური ვარიანტები და ნაწილაკიანი ფორმები: -ლა: არლა, ვერლა, არლარ, არლარა, ვერლან, არაფერილა; -ლა+ც//-ცა+ლა: აღარც, ვეღარც, ნულარც, აღარცლა, აღარცალა; სხვათა სიტყვის ნაწილაკის შემცველი: არავინო, ვერავინო, არაფერიაო, ვერაფერიაო, ნურაფერსაო, არსაო, არაფერი-მეთქი, აფერი-მეთქინ, არსად-მეთქი; ნაწილაკისა + ნაცვალსახელისაგან/ნაწილაკისაგან შედგენილი კომპოზიტი: აღარცრა, აღარცრაი, აღარცრაივ, აღარცვინ, აღარცრა, ვეღარცარა, აღარცარა. ფონეტიკურად სახეცვლილ ფორმებში ბგერა არის ჩანაცვლებული (აღარმინ, არცერც) ან ჩამატებული (არასფერი, ვერასფერი), დაყრუებულია ბოლო თანხმოვანი (არსათ, ვერსათ), დაკარგულია ფუძისეული ან ბოლო თანხმოვანი (ვერცეთ, არცეთი; არაოდეს, არსა, ნუსა), დისიმილირებულია რ-ბგერა (ვერაფელი, ვეღარაფელი, ნურაფელი), გამარტივებულია უარყოფითი ნაცვალსახელი (ვეფერი, აფერი).

საინტერესოა, რომ ქართული ენის ყველა დიალექტში დადასტურდა როგორც ერთმაგი (ცალმაგი), ისე ორმაგი უარყოფა. როგორც ჩანს, ეს გამოიწვია უარყოფის სემანტიკის გაძლიერების სურვილმა. აკად. ვ. თოფურიას მოსაზრებით, ორმაგი უარყოფა ქართული ენის განვითარების ბუნებრივი პროცესის შედეგია. დღევანდელი მონაცემების მიხედვით, ძნელია იმის გარკვევა, ორმაგი უარყოფის ფორმები დიალექტებში უფრო ადრე ჩაისახა თუ სამწერლო ენაში. საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებში დასტურდება როგორც ცალმაგი, ისე ორმაგი უარყოფა (განსაკუთრებით -ც ნაწილაკიან ზმნიზებებსა და ნაცვალსახელებთან, ასევე ნაცვალსახელის მსაზღვრელად გამოყენებისას). ამ მხრივ საინტერესოდ გვესახება ფერეიდნული კილოს ვითარება, რომელშიც ორმაგი უარყოფა არც ისე ახალი მოვლენა ჩანს. ასეთი ფორმების გაჩენა ფერეიდნულში შეუძლებელია მივაწეროთ სამწერლო ქართულის გავლენას ან სხვა ენიდან კალკირების შედეგს, გასათვალისწინებელია ორმაგი უარყოფის შემთხვევები იმერხეულ და ინგილოურ ტექსტებშიც.

Rusudan Zekalashvili

Lexical Means of Expressing Negation in Georgian Dialects

The universal category of negation is well-investigated in the Georgian literary language (V.Topuria, A.Shanidze, Z.Chumburidze, B.Jorbenadze...), but the issue is not sufficiently investigated in Georgian dialects. *The Georgian Dialectical Corpus* enables us to define the linguistic parameters of the category of negation in Georgian Dialects using the methods of corpus-linguistics.

The main lexical means of expressing negation in dialects do not differ from the ones of the literary language: negation particles (ar ‘not’, ver ‘can not’, nu ‘do not’, aḡar ‘no more’, veyar ‘can not more’, nuḡar ‘do not more’); also the pronouns containing the same particles. Semantic peculiarities are alike too: forms with the particle *ar-* express strong negation; with the particle *ver-* express impossibility with the indicative and subjunctive moods of the verb; with the particle *nu-* negation with appealing attitude.

Specific forms are used in certain dialects, e.g. in Tush dialect the following negative particles occur: *arḡ* ‘no more’, *arḡada* ‘not anymore’, *nuḡ*, *nuḡa* ‘do not, not more’; In Ingilo dialect we see Azerbaijani word *hetf^h* ‘nothing’. In Gurian, Acharian lower-Imeretian and Racha dialects (as well as in Imerkhevan), the following words: *ark’ats^{hi}* ‘no man’, *arak’ats^{hi}* ‘not a man’ or *verk’ats^{hi}*, *verik’ats^{hi}*, *verak’ats^{hi}* ‘can not any man’ (with different variations) - are evidenced in the meaning of the negative pronouns *aravin* ‘nobody’, *veravin* ‘can not anybody’.

The difference occurs also in phonetic variations of the lexical means and in the forms with particles. There we meet the forms with the particles *-ḡa*, *-ts^h(a)*, *-o*, *methqi*. Those forms are either with particle *-ḡa*. With particles *-ḡa + -ts^h//-ts^ha + -ḡa + ts^h//- ts^h(a) + -ḡa*. There are also forms with the particles of the indirect speech *-o* ‘they say’ or *methkhi* ‘I say’; particle + particle/pronoun.

The forms with phonetic alterations are frequent: the sounds are replaced or some are inserted; the end vowel is, the stem consonant or sometimes the end consonant is lost, the sound *r* is disimilated, a syllable falls out in the compound-stem pronouns.

It is notable that in all the dialects of the Georgian language the examples of single as well as double negation are evidenced: negative pronoun/adverb + negative particle. We agree with the consideration that such examples serve to strengthen the negative semantics. The scholar supposed that double negation forms originated in earlier times in Georgian dialects and later spread into the literary language. In our opinion, it is difficult to either argue against or to confirm the suggestion as we do not have any record of the dialectical texts of that time.

The Georgian dialects spread in the regions now outside the Georgian territory show the cases of single and double negation equally (in the Fereidanian, Imerkhevi and Ingilo dialectical texts). It cannot be referred to the influence of the literary Georgian language or considered as the calques adopted from another language.

აპოლონ თაბუაშვილი

მასალები XVIII საუკუნის საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის

ფეოდალური ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მრავალი საკითხი სრულყოფილად არ არის შესწავლილი და მოითხოვს შემდგომი კვლევების ჩატარებას. ეკონომიკური ისტორია, თავის მხრივ, მოიცავს როგორც სასოფლო-სამეურნეო და საქალაქო ცხოვრების წარმოჩენას, ასევე უამრავ კონკრეტულ და ზოგად საკითხს, ისეთებს, როგორებიცაა: სახელმწიფო და კერძო მეურნეობების წარმოების მდგომარეობა სხვადასხვა ეპოქაში; სახელმწიფო ფინანსები: შემოსავლები და ხარჯები, გადასახადები, ფასები, მათი ცვლილების დინამიკა და სხვ.

ჩემს მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია კონკრეტულ ეპოქაში საოჯახო მეურნეობის მდგომარეობაზე. ამჟამად მიმოვიხილავთ გლეხურ მეურნეობას. გვიანი ფეოდალური ეპოქის ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზა არსებობს. სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებიდან შესაძლებელია ზუსტი ინფორმაციის მიღება ძირითადი სასაქონლო პროდუქციის ფასების შესახებ. ასევე, შესაძლებელია გლეხური მეურნეობების საშუალო სიდიდის განსაზღვრა.

ბუნებრივია, გლეხთა სოციალური მდგომარეობა თანაბარი არ იყო – იყვნენ უმიწო გლეხები, ანუ „ბოგანოები“, მცირემიწიანი, საშუალო შეძლების და შედარებით მდიდარი გლეხები. დიფერენციაციის მიუხედავად, შესაძლებელია გლეხთა სარგებლობაში არსებული მიწების შუალედური გაანგარიშება და მათ მიერ გამოიმუშავებული პროდუქციის ღირებულების გამოთვლა. მოხსენებაში, ამავდროულად, ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო გადასახადების სიდიდეზე და შედარებულია გლეხური მეურნეობის საერთო მოცულობასთან.

Apolon Tabuashvili

Materials for the Economic History of the 18th century Georgia

A lot of issues of the history of feudal Georgian are not well researched and require further investigation. Economic history comprises issues of agrarian and urban lifestyles, also many other specific and general issues such as: state and private industry in different epochs; state finances; revenue and expenditure, taxes, prices, their dynamic of chances etc. In my presentation the attention is paid to the condition of family economy. At this moment peasant farming is discussed. The historical sources are numerous for the study of history of late feudal epoch of Georgia. From the many different types of documents we can absorb precise information

concerning the prices on commodity market. Also, it is possible to measure the average size of peasant farming.

The social conditions of peasants were not equal – The poor peasants without lands were called “bogano”, there were peasants with small amount of land, also with average amount of land and the wealthier ones. Despite the differentiation it is quite possible to calculate the average size of lands they used and the net worth of their gross product. Besides, the attention is paid on the measure of feudal and ecclesiastical taxes and they are compared to the peasant farming’s gross product.

ლერი თავაძე **ანასტასი აპოკრისიარის წერილში დაფიქსირებული „იბერიის** **პატრიკიოსისა და სტრატეგოსის“ განმარტებისათვის**

ანასტასი აპოკრისიარის წერილი საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების შესწავლის მიზნით ფრიად მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა. იგი დაწერილია მაქსიმე აღმსარებლის მეგობრისა და მიმდევრის, ანასტასი აპოკრისიარის მიერ გარდაცვალებამდე (11 ოქტომბერი 666 წ.) ცოტა ხნით ადრე და თარიღდება 665-666 წლებით. წერილის ადრესატი ბიზანტიელი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე, თეოდოსი განგრელია. წერილი დაწერილია ანასტასი აპოკრისიარის ეგრისში ყოფნის დროს, როდესაც მაქსიმე აღმსარებელთან ერთად ბიზანტიის ხელისუფლებამ გადასახლებაში გაგზავნა.

იბერიის პატრიკიოსის ტიტული პირველად, ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან, ქართულ ეპიგრაფიკულ წყაროებშია დაფიქსირებული. მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერებში ერისმთავარი სტეფანოზ I მოხსენიებულია, როგორც ქართლის პატრიკიოსი, რაც ბერძნულად „იბერიის პატრიკიოსის“ შესატყვისია. ქართლის პატრიკიოსის ტიტულის დადასტურებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ანასტასი აპოკრისიარის წერილი, რომელშიც დასტურდება არამხოლოდ ქართლის პატრიკიოსის ტიტული, არამედ ერისმთავრის ბერძნული შესატყვისი, რაც, ჩვენი აზრით, სტრატეგოსია. ანასტასის წერილის ლათინურ თარგმანში აღნიშნული ტიტული თარგმნილია, როგორც „პატრიკიოსი და პრეტორი“, რაც აჩენდა იმის ცდუნებას, რომ ჩაგვეთვალა, თითქოს, ქართლის მმართველმა პატრიკიოსთან ერთად პრეტორობაც მიიღო. თუმცა, ბერძნული ორიგინალი ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებს. ბერძნულში ქართლის მმართველი იხსენიება როგორც, „იბერიის პატრიკიოსი და სტრატეგოსი“, ან მეორე მონაკვეთში მხოლოდ როგორც, „იბერიის სტრატეგოსი“. ჩვენი აზრით, სტრატეგოსი ორივე შემთხვევაში აღნიშნავს ერისმთავარს და არა ბიზანტიის სამხედრო მოხელეს, მაგისტერ მილიტუმის, ან თემის სტრატეგოსის სახით.

ბიზანტია ამ დროს ვერ აკონტროლებს ქართლს, შესაბამისად, იბერიაში რაიმე სახის სამხედრო წარმომადგენლობის არსებობა ნაკლებ სავარაუდოდ მიგვაჩნია. ამასთან, ტექსტის მიხედვით, იბერიის ეს „პატრიკიოსი და სტრატეგოსი“ ქვეყნის მეთაურია, რომელთანაც ბიზანტიიდან იგზავნება დიპლომატიური მისიები და წარმომადგენლობა.

ამრიგად, დადასტურებული გვაქვს ბერძნულ ტექსტში ერისმთავრის, ანუ დიდი ერისთავის, შესაბამისი თარგმანი, ბერძნული ტერმინი „სტრატეგოსის“ სახით. ეჭვი არ არის, რომ ტერმინი „სტრატეგოსი“ ამ შემთხვევაში სწორედ ქართულ წოდებას გადმოსცემს და არა ბიზანტიურ თანამდებობას.

Leri Tavadze

About the Explanation of “Patrikios and Strategos of Iberia” from the Letter of Anastasius the Apocrisiarius

The letter of Anastasius the Apocrisiarius is a good historical source for the study of the history of Georgia. It was written by the follower of Maximus the Confessor in 665-666, short before his death. The addressee of the letter is Theodosius of Gangra, the Byzantine writer and ecclesiastic. The letter was written during the author's exile in Lazica. He was exiled there by the Byzantine officials alongside with Maximus the Confessor. The first appearance of the title “patrikios of Iberia” we find from the inscriptions of Jvari monastery in Mtskheta. Stephanos I, erismtavari (the Grand Prince) of Kartli (Iberia), is referred as “patrikios of Kartli”, which means “patrikios of Iberia” in Greek. The letter of Anastasius the Apocrisiarius is important for the confirmation of “patrikios of Iberia”, which shows not only the authenticity of this title, but provides the Greek form for the Georgian “erismtavari”, which as we think is “strategos”. In the Latin translation of this Greek letter the title “patrikios and strategos of Iberia” is translated as “patricio et praetore” of Iberia. This leads to the confusion whether the Georgian ruler had a title of “praetor” or not. But the original Greek text makes everything clear, here the Georgian sovereign is rendered as “patrikios and strategos of Iberia”, or as a “strategos of Iberia” from another part of the same letter. In our opinion, strategos from the both cases means erismtavari and he is not a Byzantine military official – magister ailitum, or strategos of theme. Byzantines were not in control of Kartli, hence they have no military representatives in Iberia in the midst of the 7th century. Also, in accordance to the letter this “patrikios and strategos of Iberia” is in charge of country and the Byzantines were sending the envoys to him.

ხათუნა თუმანიშვილი
ბილინგვურ იდიომთა შედარებითი შესწავლის
მნიშვნელობისათვის
(არაბული და ქართული კორპუსის მაგალითზე)

კომუნიკაციის გლობალიზებულმა სისტემამ შესამჩნევად გააფართოვა სხვადასხვა ხალხის ლინგვოკულტურული კონტაქტები. ახალი ეპოქალური გამოწვევების სტრუქტურამ ფრაზეოლოგიის კვლევის სფეროშიც ლოგიკურად მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ ის უკვე გლობალურ ჭრილში სვამს საკითხს ხატოვანი ენის ფუნქციაზე თანამედროვე კულტურაში. ამიტომ დღეს (ეროვნული ფონდების შემდგომ კვლევასთან ერთად) უმნიშვნელოვანესი გახდა ენათმორისი მონაცემების შეპირისპირებით კონტექსტში კვლევა, რათა მიღებულ იქნას საერთაშორისო ფონდების ერთობლივი მარაგი მათი მრავალფეროვანი ფუნქციებით სხვადასხვა კულტურაში.

იდიომები მოცემული ენობრივი კოლექტივის მნიშვნელოვან ლინგვოკულტუროლოგიურ მარაგს წარმოადგენს. ეს მყარი შესიტყვებები პრაქტიკულად ზუსტად ასახავს იმ სოციალურ-კულტურულ სპეციფიკას რა გარემოშიც ჩამოყალიბდა. შესაბამისად, ამა თუ იმ ეთნოსის (ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე მიღებული) ფონდი, მოცემული კოლექტიური აზროვნებისა და ენის ორგანული ნაწილია.

ყოველთვის, როდესაც (წმინდა არაბისტიკული ასპექტით) მსჯელობა მიდის ამა თუ იმ არაბული ეთნოსის სოციოლინგვისტურ და ეთნოკულტურულ მოცემულობაზე, გვერდს ვერ ავუვლით ვერბალური მარაგის იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც მისი იდიომატური ფონდი მოიცავს. ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე პოეტური საუბრის ხელოვნებაში ინსტიტუციონალიზებული არაბული საზოგადოება დღესაც აქტიურად ისწრაფვის ხატოვანი მეტყველებისკენ. ყოველდღიურ ზეპირ/წერილობით კომუნიკაციებში მუდმივად დასტურდება ფიგურალური შესიტყვებების ინტენსიური გამოყენება. ეს მნიშვნელოვანი თავისებურება (არა მხოლოდ სოციალურ-კულტურული ნიშნით) არაბული საზოგადოების ეთნოფსიქიკური მოცემულობის ერთ-ერთი სპეციფიკური მახასიათებელია. დღეს, არაბული სამყარო, მასში მიმდინარე რადიკალური ცვლილებების ფონზე, მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. არაბული ენის ცოდნის პრაქტიკულმა ასპექტებმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა საერთაშორისო სარბიელზე. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ ფონდების დაუფლების გარეშე, მოცემულ სამყაროსთან პრაქტიკულად შეუძლებელია სრულყოფილი კომუნიკაცია.

მოხსენებაში წარმოდგენილი ყველა მაგალითი ჩაწერილია და თარგმნილი არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ სირიელი, ლიბანელი, ერაყელი ინფორმანტებისაგან.

საილუსტრაციო მასალაში გამოყოფილია: ა) ზუსტი შესატყვისები; ბ) აზრობრივი შესატყვისები; გ) მცირე პარემიული ფორმებიდან წამოსული ერთეულები.

ასეთი მიდგომების საფუძველზე შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ეთნოკულტურის იდენტიფიცირება (თითოეულის ეთნიკური იდენტურობის განსაზღვრა), ამავდროულად, კულტურათა გლობალიზაციის მახასიათებელთა (კულტურათაშორისი მსგავსების ნიშნულების) დადგენა.

მოხსენება შესრულებულია რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „ქართული ენის იდიომებისა და ანდაზური ფონდების მონაცემთა ბაზა (რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული და არაბული ეკვივალენტებით)“ მასალაზე დაყრდნობით.

Khatuna Tumanishvili
On the Importance of Comparative Study
of Bilingual Idioms
(based on Arabic and Georgian Material)

Modern globalized communication system significantly expanded linguo-cultural contacts of different peoples. Structure of the challenges brought by new epochs logically also caused in the field of phraseological research the necessity to pose the question of the function of figurative language in contemporary culture already in a global context. Therefore, today (together with further research of national collections), it is important to study interlingual evidence in a comparative context, in order to obtain a common stock of international collections with their diverse functions in different cultures.

As it is well known, idioms represent important linguo-culturological supply of a given lingual community. It practically accurately reflects beliefs and socio-cultural specifics of the environment in which it was formed.

Whenever discussion (from purely Arabistics viewpoint) deals with sociolinguistic and ethnocultural side of one or the other Arab ethnos, we cannot overlook the significant part of a verbal supply, contained in its idiomatic collection. Arab community also, institutionalized in poetic art over historical development, is actively striving to figurative speech at present. In everyday oral/written communication the intensive use of figurative collocations is attested. This important peculiarity (not only from sociocultural viewpoint) is a specific characteristic of ethnopsychic aspect of Arab community. Today the Arab world, against the background of radical changes occurring in it, is in the spotlight of the world. Practical aspects of the knowledge of a language assumed special topicality in international arena. Practice shows that without mastering these collections full-fledged communication with the Arabic world is virtually impossible.

All examples are recorded and translated from Arabic primary source - directly from Syrian, Lebanese informants.

Illustrative material is divided into: a) exact equivalents; b) semantic equivalents; c) units derived from minor paremic forms.

Based on such approaches it becomes possible to identify various ethnocultures (to define ethnic identity of each), simultaneously, to determine globalization characteristics of cultures (marker of intercultural similarity).

მაია თუხარელი **ბიბლიური სიუჟეტები და სახეები მე-18 საუკუნის რუსი მწერლების** **ინტერპრეტაციებში**

დიდი ხნის განმავლობაში ლიტერატურათმცოდნეობაში არსებობდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსული განათლების ეპოქად წოდებული მე-18 საუკუნის რუსული ლიტერატურა გახლდათ სოციალური, სამოქალაქო და სატირული სახის. მწერალთა შემოქმედებაში უპირატესობა ენიჭებოდა სოციალურ-პოლიტიკურ დომინანტას, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლიდა მხატვრული მემკვიდრეობის ობიექტურ ანალიზს. ფსალმუნებთან მიმართებაში მკვლევარები აგრძელებდნენ თავიანთი ყურადღების აქცენტირებას მათ პათოსურ-მოქალაქეობრივ ჟღერადობაზე. 90-იანი წლების დასაწყისში დიდი ყურადღება მიექცა პრობლემას „ქრისტიანობა და ლიტერატურა“. კვლევების საკმაოდ დიდი რაოდენობის მიუხედავად, ქრისტიანობისა და რუსული ლიტერატურის ურთიერთობების პრობლემა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. განსაკუთრებით ბევრი კითხვა ჩნდებოდა რუსულ ლიტერატურაში ბიბლიის როლთან დაკავშირებით. ისტორიულმა გარდაქმნებმა, რომლებმაც რუსეთის პატრიარქალური წყობის ცვლილებები გამოიწვიეს, პირველ რიგში ლიტერატურაზე იქონიეს გავლენა. მიუხედავად იმისა, რომ მე-18 საუკუნეში საზოგადოებრივი აზროვნების სეკულარიზაცია ხდება, ეკლესიასა და ლიტერატურის, აგრეთვე ბიბლიის კავშირი ლიტერატურასთან უწინდელად სიმტკიცეს ინარჩუნებს. ეს ყოველივე კი მტკიცდება ლომონოსოვის, ტრედიაკოვსკის, სუმაროკოვის, დერჟავინის შემოქმედებით, რომლებიც ბიბლიის ტექსტებს მიმართავდნენ. მათი შემოქმედება ხასიათდებოდა ბიბლიური ტექსტების გაანალიზების სხვადასხვა დონით. მათი ნაწარმოებისათვის ფსალმუნთა საფუძვლად დადების მანერა მკვეთრად განსხვავებულია. ფსალმუნთა გადასხვაფერების გარდა ბიბლიური სიუჟეტები და სახეები გვევლინებიან საზეიმო ოდებში, ლოცვის დაწერისა თუ მისი გადასხვაფერების დროს, ბიბლიური სიუჟეტების მონაკვეთთა გადასხვაფერებებში. მსგავსი ნაწარმოებები აგრეთვე ხასიათდებოდნენ ბიბლიური მონაკვეთების, სიუჟეტების, სახეების სხვადასხვა სახის მხატვრული გააზრებით: ბიბლიური სიუჟეტებს, სახეებს ზოგჯერ მოიხსენიებდნენ ალეგორიული ფორმით, მეტაფორის სახით — სხვადასხვა მხატვრული ხერხების გამოყენებით. ბიბლიური ტექსტების ჟღერადობა ნაწარმოებში პოეტური გადამუშავების შედეგი გახლდათ. ბიბლიური სიუჟეტები მწერლის მიერ ღრმა გააზრებას ექვემდებარებოდნენ - ამიტომ იცვლებოდა ამ სიუჟეტების არა მარტო ფორმა, არამედ შინაარსობრივი მხარეც. თვით ბიბლიაც შთაგონების წყაროდ იქცა - მაგალითად, ისეთი ნაწარმოებების

შექმნისას, როგორებიცაა დერჟავინის ოდები „ღმერთი“ და „ქრისტე“. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიბლია მოიცავდა შემოქმედებისთვის საჭირო მასალას, წარმოადგენდა მხატვრული ხერხების წყაროს, გააზრების, შთაგონების ხერხს, რაც, თავის მხრივ, უარყოფს იმ თეზისს, რომ ბიბლიურ ტექსტს, მხოლოდ და მხოლოდ, ილუსტრირების ფუნქცია გააჩნდა.

Maya Tukhareli

The Biblical stories and images in the interpretation of the 18th century Russian writers

For a long time, in literary criticism, there was an opinion that the Russian literature of the 18th century, the era of the Enlightenment of Russian literature, was a social, civic and satirical. The paramount importance was given to the socio-political dominant in the work of writers, which prevented an objective analysis of their artistic heritage. Turning to the rearrangement of the Psalms, the researchers continued to focus on their pathetic-civil character. The much attention of the problem of "Christianity and Literature" has been given in the early 90s. However, inspired by the increasing number of researches, the problem of the relationship of Christianity and Russian literature is far from being solved.

Especially a lot of questions about the place of the Bible arise in the Russian literature of the 18th century. Historical transformation, changing the patriarchal Russia, reflected primarily on its literature. In spite of the fact that in the 18th century, public awareness went through a significant stage of secularization, the relationship between the culture, literature and the Church, the Bible, was still strong. This is confirmed by the works of Lomonosov, Trediakovsky, Sumarokov, Derzhavin, who addressed the biblical texts.

Their works are characterized by the different levels of rethinking the biblical texts. Their manner of transcriptions/rearrangement of the Psalms was clearly distinguished. Besides the rearrangement of the Psalms, Biblical stories and images have also appeared in the odes, in the writing of prayers, in the rearrangement of biblical stories. Such works are also characterized by the different levels of creative thinking, taken from the Bible, images, stories: they can only be referred to and used as allegories, metaphors by artistic means. Also the biblical texts often sounded like the poetic expressions of a poet. In the case of changing both the form and the content, scenes taken from the Bible was reinterpreted by the writer. Finally, the Bible itself could serve as an inspiration for creating such works as the ode "God", "Christ" of the Derzhavin. Thus, the Bible was the source of artistic means, material for art and a means of reflection, inspiration that refutes the idea that the biblical text is merely an illustration.

ქეთევან კაკიტელაშვილი ებრაული იდენტობა საქართველოში 1920-1930-იან წლებში

ნაშრომი მიზნად ისახავს ებრაული იდენტობის კონსტრუირების გაანალიზებას საბჭოთა პერიოდის საქართველოში 1920-1930-იან წლებში. 1920-იან წლების დასაწყისში კორენიზაცია-ნატივიზაციის საბჭოთა პოლიტიკა შეცვალა ინტერნაციონალიზმის ახალმა იდეოლოგიამ, რომლის მიზანი ერთიანი საბჭოთა ხალხის ფორმირება იყო. 1920-იანი წლების დასაწყისში ებრაული იდენტობის გაძლიერებისკენ მიმართული მოძრაობა თანდათან მინელდა. 1920-იანი წლების ბოლოსა და 1930-იანი წლების დასაწყისისათვის ებრაული იდენტობის ფორმირების პროცესში ახალი მიმართულება იჩენს თავს, რომელიც საბჭოთა ებრაელის ფორმირებისაკენ იყო მიმართული. ეს იდეა ნათლად არის ასახული 1931 წლის „კომუნისტის“ ერთ-ერთ სტატიაში, სადაც აღნიშნულია, რომ „აქ დაიბადა ახალია ადამიანი: ებრაელი მუშა, ებრაელი გლეხი“.

საბჭოთა საქართველოში შეიქმნა რამდენიმე ებრაული ორგანიზაცია, ასევე ებრაული კოლმეურნეობები. ახალი კოლმეურნეობების ასაშენებლად შერჩეული იყო არა ტრადიციული ებრაული დასახლებები, არამედ სხვა, ახალი ტერიტორიები, სადაც ხდებოდა ებრაელთა გადასახლება და მათი სასოფლო სამეურნეო სფეროში დასაქმება. ახალი პოლიტიკის მიზანი ებრაელთა ცხოვრებაში „ახალი ეპოქის“ დასაწყისად მიიჩნეოდა. ეს გულისხმობდა ებრაელთა „კულტურული ჩამორჩენილობის“ დაძლევას, ტრადიციული ცხოვრების წესის რადიკალურ ცვლილებას. ეს ცვლილება ორი გზით უნდა განხორციელებულიყო: პირველი იყო ებრაელების გამიჯვნა ერთი მხრივ, სინაგოგებისაგან, ხოლო მეორე მხრივ - ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობისაგან. ვაჭრობა, რომელიც ტრადიციულად ებრაელთა საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენდა, საბჭოთა იდეოლოგიის თანახმად, არალეგალური იყო და რეაქციულ ხასიათს ატარებდა.

Ketevan Kakitelashvili **Jewish Identity in Soviet Georgia (1920-1930s)**

The paper aims to analyze the construction of Jewish identity in Georgia in the first decades after sovietization. From the end of the 1920s the Soviet policy of the indigenization was replaced by the new ideology of internationalism - creation of the unified Soviet people. Consequently, the revival of Jewish national identity in the first half of the 1920s gradually weakened. Main line which became apparent in the periodicals by the end of the 1920s and beginning of the 1930s is the formation of the new Soviet Jewish identity. This idea is expressed in a clear way in the following phrase from one of the articles published in the governmental newspaper “Komunisti” (“Communist”) in 1931: “there is born a new man: the Jewish worker, the Jewish peasant”.

In Soviet Georgia several organizations were formed aiming to establish Jewish *kolkhozes* – collective farms. The new *kolkhozes* were built in the places different from the traditional Jewish villages/towns. The Jews were immigrated to those new places where they had to start farming. Naturally, there were no synagogues in the new settlements. The main aim of the policy was to form a “new epoch” in the history of the Georgian Jewry. This meant to overcome the “cultural backwardness” of the Jews, to change in a radical way the traditional Jewish lifestyle. It should have been implemented in two ways: the first was to detach the Jews from synagogues and secondly, to change their economic activity – trade – which according to the Soviet ideology was illegal and bore a “reactionist” character. New perspectives of the Jewish life in Georgia were expressed not only in newspapers which were the main tool of Soviet propaganda but in literary works as well.

ნუნუ კაპანაძე, ოლეგ კაპანაძე **ორენოვანი გერმანულ-ქართული პარალელური ხეების ბანკის** **ავტომატური გენერირება**

ხეების ბანკები თანამედროვე ლინგვისტური კვლევის ფასდაუდებელ ბაზებად იქცა. მათი გამოყენება შეიძლება მთარგმნელობით მეცნიერებაში, კორპუსის ლინგვისტიკაში – სინტაქსური ფენომენების შესასწავლად, კომპიუტერულ ლინგვისტიკაში – ბუნებრივი ენის ტექნოლოგიის სხვადასხვა კომპიუტერული სისტემის მიხედვით კორპუსის სტრუქტურული და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შესაფასებლად ან ლინგვისტური დამუშავების პროგრამული პროდუქტების (parser) შესაქმნელად და მათ შემდგომ დასახვეწად (training); ამასთან, ხეების ბანკები ქმნის მონაცემთა ბაზას მთარგმნელი მეხსიერების სისტემებისთვის, რომლებიც მულტილინგვურ საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში წამყვან პოზიციას იკავებს ბოლო ათწლეულში.

მას შემდეგ, რაც ხეების ბანკების დიდი რაოდენობა აიგო, პოპულარული გახდა პარალელური (ორი ან მეტი ენისათვის) ხეების ბანკების შემუშავება. ორენოვანი პარალელური ხეების ბანკი არის რომლიმე ორი ენის სინტაქსურად ანოტირებული ურთიერთშეთანადებული ხეების სიმრავლე. მსგავსი ელექტრონული რესურსის შესამუშავებლად აუცილებელი წინაპირობაა პარალელური ტექსტების კორპუსი.. ჩვენს შემთხვევაში, გერმანულ-ქართული ურთიერთშეთანადებული სინტაქსური ხეების ბანკის ასაგებად ვიყენებთ პარალელურ საკანონმდებლო ტექსტებს, რომელიც დაახლოებით 350 000 ტოკენისაგან შედგება. შესაძლოა, ხეების ბანკები მთლიანად ხელით აიგოს და ლინგვისტმა შეასრულოს ყველა წინადადების ანოტირება მისი შესაბამისი სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით; სხვა შემთხვევაში, ბუნებრივი ენის

ლინგვისტურად დამუშავებისათვის განკუთვნილი კომპიუტერული პროდუქტი (parser) ყოველი წინადადებისათვის ავტომატურად განსაზღვრავს სინტაქსურ სტრუქტურებს, რაც შემდეგ შემოწმდება და საჭიროების შემთხვევაში შესწორდება ლინგვისტის მიერ.

ამ მოხსენებაში წარმოვადგენთ მეთოდს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ავტომატურად ავაგოთ გერმანულ-ქართული ხეების ბანკი და შემდგომ შევაფასოთ, თუ რამდენად კარგად არის პარალელური ხეები ერთმანეთთან შეთანადებული. ეს არის პირველი ასეთი მცდელობა ქართული და გერმანული ენებისთვის (და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ქართულ ენასთან შეწყვილებული სხვა ენასთან მიმართებით). გერმანული-ქართული ხეების ბანკის ასაგებად ვიყენებთ პარალელურ საკანონმდებლო ტექსტებს, რომლებიც ჩვენი პროექტის ფარგლებში უკვე ანოტირებულია მორფოლოგიური ინფორმაციით და თეგირებულია მეტყველების ნაწილების მიხედვით (POS-Tagging). ამ ეტაპზე ქართული ენის ტექსტიდან სინტაქსური ხეების ავტომატურად მისაღებად გამოვიყენებთ გერმანული ენის სინტაქსურ ფრაზებს, რომლებიც, თავის მხრივ, გერმანული ენის ტექსტის ავტომატურ პარსერს დაემყარება. ეს მეთოდი გამოიყენებს და მოარგებს გერმანულ-ქართულ ენობრივ მასალას უკვე არსებულ კომპიუტერულ საშუალებებს (tools) და ალგორითმებს სინტაქსურ შემადგენელთა ენათაშორის გადასახვისა (cross-lingual transfer) და სინტაქსური ხეების ურთიერთშეთანადების (alignment) პროცედურებისათვის.

Nunu Kapanadze, Oleg Kapanadze

Automatic Generation of a Bilingual German-Georgian Parallel Treebank

The most important trend in linguistics in the last decade is the massive use of large natural language corpora. In many cases the linguistic resources are aligned in pairs of as parallel texts. Parallel corpora are language resources that contain texts and their translations, where the texts, paragraphs, sentences, and words are linked to each other. A treebank is a corpus that has been grammatically annotated in order to identify and label different syntactic components in a sentence. Syntactic annotation is the practice of adding syntactic information to a text by incorporating into it markers indicating syntactic dependencies/relations.

Treebanks, as large collections of syntactically parsed sentences, are considered to be valuable resources not only for Natural Language Processing applications, such as machine translation and multilingual lexicography, but they are also considered indispensable for traditional linguistics in empirical language research and contrastive and translation studies.

The manual generation of such linguistic resources is an expensive, time-consuming and error-prone process which requires linguistic expertise in both languages in question. For this reason, there has been a lot of research on automatic generation, basically on using tree-to-string Machine Translation models.

The mechanism presented in this paper is intended to test the feasibility of the automatic cross-lingual transfer of syntactic phrases being built upon a bilingual word-aligned German-Georgian parallel law corpus with morphosyntactic annotations developed at the Institute of German Philology, Iv. Javakhishvili Tbilisi State University. The bilingual parallel corpus used in the project has been POS-tagged and morphologically annotated. For constructing of the Georgian syntactic annotated trees will be used a parallel German text automatically parsed by BitPar computer resource developed at the Institute of Automatic Language Processing, Stuttgart University, Germany. The method will reuse and adjust the existing computer tools and algorithms for cross-lingual transfer of syntactic constituents and syntactic treebank alignment.

შოვნა კვანტალიანი

„ყვავილ-ბატონებთან“ დაკავშირებული ხალხური სიტყვიერი შემოქმედება და რიტუალი (მეგრული მასალების მიხედვით)

სამეგრელოში მოარული სენი - „ბატონები“ ადამიანთა სახითაც ჰყავთ წარმოდგენილი და ღვთაებადაც. მათ თავიანთი „სახელმწიფო“ აქვთ, ჰყავთ უფროსი, რომელსაც ემორჩილებიან. „ბატონების“ საცხოვრებელი ადგილი, თ. სახოკიას მიერ ფიქსირებული ლეგენდის მიხედვით, „ზღვის იქითა“, მზიური სამეფოა. „ბატონების“ ძირითადი ფუნქციაა, შორეული მხრიდან მოგზაურობის სახით მოვლინება. ავადმყოფის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი შესაფერისი პატივისცემით დაუხვდებიან ამ ღვთაებას. „ბატონების“ მობრძანების შემდეგ მოქმედებს მრავალი სიმპათიურ-მაგიური წესი. მეგრელები „ყვავილიანი“ ავადმყოფის შემწეობას წმ. ბარბარეს შესთხოვენ, წმ. ბარბარე „ბატონების“ მამიდად ითვლება. „ბატონებზე“ გავრცელებული მეგრული საბოდიშო პოეტური ტექსტებისა და გადმოცემების მიხედვით, ისინი დაკავშირებულნი არიან როგორც მიწიერ, ასევე ზეციურ ძალებთან. „ბატონების“ ქალური საწყისი კი მზიურ ბარბაღესთან პოულობს თანხვედრას. „ბატონების“ მითოსურ წარსულსა და შინაარსს ინახავს მათი მეგრული სახელი „პატონ“, რაც ბატონს, მეუფეს ნიშნავს. „ბატონების“ მაგიურ ფერებად მიჩნეულია სამყაროს მოდელის ტიპიური ფერები: თეთრი (ყვავილ-ბატონები), შავი

(შავი ჭირი) და წითელი (წითელა). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წითელის სიმბოლიკა. „ბატონების“ საყვარელი ფერი წითელია. ღვთაებისადმი შესაწირავ ფრინველებს ნისკარტებს, ბრჭყალებს, კისერს წითლად უღებავენ. საწესჩვეულებო ტექსტების მიხედვით, „ბატონები“ ღმერთმა გააჩინა. „ბატონებს“ ჰყავთ თავიანთი მსახური; გვაქვს ამგვარი იერარქიული წყობა: ღმერთი-ბატონები-მსახურები. სამეგრელოში დამკვიდრებული „ყვავილ-ბატონების“ ამსახველი ხალხური სიტყვიერი შემოქმედება და რიტუალი დიდი მნიშვნელობისაა იმ თვალსაზრისით, რომ ზოგადქართული მასალების საინტერესო ვარიანტების გარდა, გვხვდება ისეთი მეტად საყურადღებო ნიმუშები, რომლებიც მხოლოდ ამ კუთხეშია დაფიქსირებული.

Shovna Kvantaliani

Oral Folklore and Ritual Connected with "Kvavil-Batonebi"

The disease of the contagious viral skin rash (such as shingles, measles, chickenpox ...) named "batonebi" is often personified in Samegrelo in the image of a human being as well as deity. They have their "state", their chief whom they obey. According to the legend written down by T. Sakhokia, the settlement of "batonebi" is located "beyond the sea", and is a sunny kingdom.

Travelling a far distance is the main function of "batonebi". A Fortune of a sick person is depended on a respectful treatment of this deity. After visiting "batonebi" many magic rules fulfil. Megrelians ask St. Barbara to help the sick person. St. Barbara is considered as the "batonebi's" aunt. According to Megrelian apologetic poetic texts and legends, they are connected with earthly and heavenly powers. Female origin is associated with sunny Barballe. Mythical past and context of "batonebi" is kept in Megrelian name "Paton" which means "batoni", "patron". Magic colours of "batonebi" are considered typical colours of the model of the world: white ("kvavil-batonebi" – chickenpox or smallpox), black (plague) and red (measles). The most important among them is the symbolic meaning of the red one. The "batonebi's" favourite colour is red. The claws, necks and beaks of the birds that were sacrificed to God were usually painted in red. According to some ritual texts God created "batonebi". The "Batonebi" have their servant. There is a certain hierarchical structure: God-batonebi-servants. The oral folklore and ritual traditions established in Samegrelo have a great significance for their claim of uniqueness and possession of important materials which are the only ones apart from the general Georgian versions.

კახა კვაშილავა გიორგი XI სპარსეთში (1700-1709): ბრძოლა საქართველოსათვის

ქართლის სამეფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის მედგრად მებრძოლი გიორგი XI (შაჰ-ნავაზ II), 1697 წელს იძულებული გახდა ვითარებას შერიგებოდა და სპარსეთში შაჰ სოლტან-ჰოსეინის კარზე ჩასულიყო. მისი ტახტი კი კახეთის „ვალის“ – პროსპარს ერეკლე I (ნაზარალი ხანი) გადაეცა.

შაჰ სოლტან-ჰოსეინის მმართველის დროს კიდევ უფრო გაღრმავდა სპარსეთის შინაგანი კრიზისი. ირანელი მეცნიერის რიზა შა'ბანის შენიშვნით, შაჰინშაჰი სუსტი და უნებისყოფო ადამიანი იყო. სპარსეთში ჩასული გიორგი დიდი საჩუქარი იყო შაჰისათვის, რადგან ისპაანში კარგად უწყოდნენ, რომ ქართლის ვალის პოზიციების განმტკიცება მის სამკვიდროში სეფიანთა სახელმწიფოსათვის საკმაოდ საშიში იყო.

სოლტან-ჰუსეინის გარემოცვას გიორგის (გორგინ-ხანის, როგორც მას სპარსელები უწოდებდნენ) იმპულსური და ფიცხი ხასიათიც აფიქრებდა. ირანში დაასკვნეს, რომ გიორგის დატოვება საქართველოს სიახლოვეს, სპარსეთის ინტერესებისათვის მიზანშეწონილი ნამდვილად არ იყო. ამიტომ, ბუნებრივია, გადაწყდა მისი და მასთან მყოფი ქართველების სამხედრო ნიჭი, „ლომგულობა“ ირანის სასარგებლოდ გამოეყენებინათ და იმხანად ავღან-ბელუჯთა თავდასმებით აწიოკებული ქირმანის ბეგლარბეგობა უბოძეს.

გიორგი XI-სათვის ქართლის ჩამოშორება ირანის სახელმწიფო იერარქიის თვალსაზრისითაც დაქვეითებას წარმოადგენდა, რადგან ვალის თანამდებობა, რომელიც მას ამ სისტემაში ეჭირა, ბეგლარბეგზე მაღალი იყო.

გიორგი მის ახალ საგამგებლოში 1700 წელს ჩავიდა. ქართველთა ენერგიულმა სამხედრო მოქმედებებმა რეგიონში მალე ვითარების დასტაბილურება გამოიწვია. შედეგად გიორგის ოჯახი მნიშვნელოვნად დაწინაურდა ისპაანში: 1701 წელს მისი ძმა – ლევანი, რომელსაც შაჰ-ყულიხან უწოდეს, ირანის დივანბეგად დააწინაურეს, ხოლო ამ უკანასკნელის შვილი ქაიხოსრო კი ისპაანის ტარულა გახდა.

მოკლე ხანში კი, 1703 წელს, სოლტან-ჰუსეინმა კახეთი ნაზარალი ხანს ჩამოართვა და ისევ გიორგი XI-ს გადასცა. თუმცა მეფე მაინც სპარსეთში დატოვა და, ამასთანავე, ყანდაარის ბეგლარბეგობაც „უწყალობა“. ბიძის მეფეთნაცვლობა-ჯანიშინობა ლევანის ძემ – ვახტანგ VI-ს დაეკისრა.

1704-1709 წლებში კი გიორგი-გურგინ-ხანი უკვე აჯანყებულ ყანდაარის მხარეს ამშვიდებდა.

გიორგისა და მისი თანმხლები ქართველების ბრძოლა ყანდაარში, საქართველოს, კერძოდ – ქართლის სამეფოს, სასიკეთოდ უბრუნდებოდა. შაჰ სოლტან-ჰუსეინი ცდილობდა, ქართველებით მოეწესრიგებინა აწეწილი მდგომარეობა მისი იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებთან, სამაგიეროდ, ის თვალს ხუჭავდა ქართლის ჯანიშინის – ვახტანგ VI-ის აღმშენებლობით მოღვაწეობაზე, რომელიც მიზნად აქ ადრე დანერგილი სპარსული ზნე-ჩვეულებებისა და სპარსული ენის მოშლას ითვალისწინებდა.

მოხსენებაში, უახლესი კვლევების საფუძველზე, ნაჩვენებია იქნება გიორგი XI-ს სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობა სპარსეთში და მისი პოზიტიური გავლენა ქართლის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

Kakha Kvashilava

George XI in Persia (1700-1709): Fight For Georgia

Fighting for independence and sovereignty of the Kingdom of Kartli, George XI (Shahnavaz II) was forced to accept the existing situation and went to Shah Soltan Hossein's court in 1697. His throne passed to pro-Iranian Nazarali-khan (Erekle I), the king of Kakheti.

The internal crisis of Persia deepened during the reign of Shah Soltan Hossein. Iranian Scientist Reza Sha'bani remarked that this Shahinshah was a weak man lacking willpower. George's arrival to Persia was a great gift to Soltan Hossein who knew very well that further strengthening of the position of a Kartli's Vali (governer) in his Kingdom would be more dangerous to Safavids.

The Shah's companions were puzzled by George's impulsive and short temper. They decided to keep him away from his homeland and to send the ex-Vali of Kartli to the farther region of Iran. George was granted the title of the Beglarbeg of Kerman. That time the situation in Shahnavaz II's new region was unstable threatened by the frequent invasions of Afghan and Balochi tribes. His new appointment was in fact a demotion since in the Persian political and administrative hierarchy his previous position as a Vali was higher than the present title of a Beglarbeg.

George went to Kerman in 1700. Soon the local turmoil gradually began to stabilize at the cost of the energetic military actions carried out by the Georgians. Shah acknowledged George's efforts and showed another act of "mercy" to the Georgian Royal Family of George XI: his brother Leon named Shakhuli-khan was appointed as Divanbegi of Iran and Leon's son Kaikhosro became the Daruga of Ispahan. Soon the Shah gave Kartli back to George as a King but he did not return to his Kingdom. On the contrary, Shahnavaz II was sent to Kandahar as the Beglarbeg of the region. Instead of him Kartli was taken by Leon's other son – Prince Vakhtang VI, who reigned as a regent (janishin).

In 1704-1709, George-Gurgin-khan calmed the rebellion in Kandahar.

The king of Kartli's and his companions' fight in Kandahar had a great impact on the future of Kartli. Shah Soltan Hossein tried to use the Georgian help for stabilizing the rebellion in the eastern frontier of his Empire at the same time he turned a blind eye to the anti-Persian policy of Janishin Vakhtang.

This paper will discuss George's military, political and diplomatic activities in Persia and its positive influence on political, economic and cultural life of Kartli based on the latest researches on the subject.

ზვიად კვიციანი

ენგურის ხეობის სამეთვალყურეო-სასიმაგრო ნაგებობანი შუასაუკუნეებში

მდ. ენგურის ხეობა საგულდაგულოდ ყოფილა ჩაკეტილი-გამაგრებული და მჭიდროდ გადაჯაჭვული სვანეთის სასიმაგრო ნაგებობათა სისტემასთან.

ხაიში ციხე-კოშკი ყველაზე ძლიერი რგოლია მდ.ენგურის შუაწელში, ხეობის გაყოლებაზე განლაგებული სათვალთვალო-სასიმაგრო კოშკების ჯაჭვში, რომელიც სათავეს იღებს სოფ. ჯვარში, ენგურის პირველ კლდეკართან. ლაბერაშის კოშკის სახით. ხაიშის ციხე, ბარჯაშის და იდლიანის კოშკთან ერთად საიმედოდ აკონტროლებს და იცავს სამეგრულოდან და აფხაზეთ-სამურზაყანოდან სვანეთში ემოსასვლელ ძველ ბილიკებს.

Zviad Kvitsiani

Enguri valley Supervisory - Fortification Buildings in the Middle Ages

The gorge of the river Enguri has been carefully locked, fortified and tightly chained to the system of the fortifying buildings in Svaneti.

Khaishi tower castle is the strongest point in the middle of the river Enguri, within the chain of the supervisory-fortifications towers along the gorge that starts in the village Jvari, by the first rock-gate of Enguri in the form of Laberashi Tower. Khaishi Castle together with the Barjakhi and Idliani towers secures and protects reliably the old paths coming into Svaneti from Samegrelo and Abkhazia-Samurzakano.

მაია ლომია

ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა მორფოსინტაქსური ბუნება (ქართული, მეგრული, ლაზური მასალების მიხედვით)

ფონოსემანტიკური ზმნები მედიალურ ზმნებს განეკუთვნება და ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელ გრამატიკულ თავისებურებებს იმეორებს, თუმცა ზოგჯერ უფრო მეტად ავლენს სტაბილურ ბუნებას, რითაც ემიჯნება დანარჩენებს. ცნობილია, რომ საარვისო ქცევის საშუალო გვარის ზმნები არიან ან ერთპირიანები, ან ორპირიანები, ან

ე.წ. „შერეული ბუნებისა“ – კონტექსტის მიხედვით, ხან ერთპირიანები და ხან ორპირიანები. მოხსენებაში, ქართული, მეგრული, ლაზური მასალების მიხედვით, განხილულია ერთპირიან ფონოსემანტიკურ ზმნათა მორფოსინტაქსური ბუნება, რომელიც პირდაპირი ობიექტის უქონლობასა და კონსტრუქციის აგების წესში ვლინდება.

Maia Lomia

Morpho-Syntactic Nature of Phonosemantic Verbal Forms (According to Georgian, Megrelian, and Laz Materials)

Phonosemantic verbs belong to medial verbs and they repeat grammatical peculiarities typical for this group, though sometimes reveal more stable nature, which diverges them from the others. It is known that the middle voice neutral version verbs are unipersonal or bipersonal, or they have so-called "Mixed nature" - according to the context, - sometimes they are unipersonal and sometimes - bipersonal. The paper discusses the morpho-syntactic nature of phonosemantic unipersonal verbs according to the Georgian, Megrelian, and Laz materials, which is revealed in the lack of the direct object and construction forming rules.

ქეთევან ლორთქიფანიძე

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თურქულ-ქართული ანდაზები

ანდაზა, როგორც ენობრივი ერთეული, ყველა ერის კულტურის განუყოფელი ნაწილია. მასში აირეკლება საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უკლებლივ ყველა მოვლენა თუ ქმედება, ტრადიციები და წარმოდგენები, თაობებიდან თაობებზე გადაცემული ცხოვრებისეული დაკვირვებანი და გამოცდილებანი.

ჩვენი მოხსენება შეეხება იმ თურქულ ანდაზებს, რომლებშიც ვხვდებით გარკვეულ რეკომენდაციებს, დარიგებებს ჯანსაღი ცხოვრების შესახებ. ჩვენს ხელთ არსებულმა რელევანტურმა ემპირიულმა მასალამ გვაჩვენა, რომ ამგვარი ერთეულები დაკავშირებულია.

სწორ კვებასთან, გარეშე ფაქტორების ზეგავლენასთან ჯანმრთელობაზე და ჯანსაღი ცხოვრების სხვა ფაქტორებთან. გარდა ანდაზების კლასიფიკაციისა ქართულ და თურქულ ენებში, მოხსენებაში გამოყოფილია ენათაშორისი სრული და ნაწილობრივი ეკვივალენტები. ეს გარემოება გვიბიძგებს ამ სემანტიკური მოდელის უნივერსალურობის აღიარებისაკენ.

მოხსენება შესრულებულია რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ქართული ენის იდიომებისა და ანდაზური ფონდების მონაცემთა ბაზა

(რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული თურქული და არაბული ეკვივალენტებით) მასალაზე დაყრდნობით.

Ketevan Lortkipanidze

Turkish and Georgian Proverbs Connected with Health and Health Issues

As it is commonly known proverb as a language unit is found in all the languages of the world. It is an inseparable part of all the cultures reflecting the traditions and rituals practiced in the community.

The paper discusses the Turkish and Georgian proverbs, which express certain recommendations and advice regarding the healthy lifestyle and a diet. In addition, the material revealed full and partial equivalents in both languages that enables us to claim universality of this semantic model.

ხეთისო მამისიმედიშვილი

ჩეჩნური საგმირო „ილისა“ და ქართული ბალადის შედარებითი ანალიზი კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში

ლიროეპიკური შინაარსის ხალხურ საგმირო პოეტურ ტექსტებს, მათი სინკრეტული ბუნებიდან გამომდინარე და შესრულების წესის მიხედვით, ხევისურები უწოდებდნენ სიმღერეს, ხოლო ჩეჩნები - ილის (სიმღერა). სტრუქტურული, თემატური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ისინი ერთმანეთთან საგრძნობ სიახლოვეს ამჟღავნებენ.

„ილიც“, ქართული ბალადების მსგავსად, ასახავს XVII-XVIII და XIX საუკუნეების სინამდვილეს, ჭაბუკთა ცალკეულ გმირობებს, კერძოდ, ბრძოლას თემისა და სოფლის დასაცავად. ხშირად ის დრამატულად წარმოგვიდგენს ახალგაზრდა მეომრის გაჭრას სახელის მოსახვეჭად, გმირობის ჩასადენად.

ჩეჩნურ და ქართულ საგმირო პოეზიაში განსაკუთრებით პოპულარულია მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის თემა. ქართველი პერსონაჟები, საქართველოსთან დაკავშირებული ცალკეული მოტივები და წარმოდგენები აისახა მრავალ ჩეჩნურ სიმღერაში.

როგორც „ილის“ ჟანრის ჩეჩნურ ტექსტებს, ასევე ქართველ მთიელთა ბალადებს რეალური საბრძოლო შემთხვევა უდევთ საფუძვლად, ანუ ისინი რეალურად მომხდარ ფაქტებს ასახავენ. ორივეს მთავარ გმირად მუდამ ჰყავს რეალური პირი, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, იცნობდა ის საზოგადოება, სადაც სიმღერა შეიქმნა. ქართულ ბალადებსა და ჩეჩნურ „ილის“ აქვთ მსგავსი იდეოლოგია, ისინი

გამოხატავენ მსგავს ზნეობრივ და მორალურ ფასეულობებს. ქართული ბალადის იდეალურ გმირს ჰქვია „კაი ყმა“, რომელსაც „ილლის“ ჟანრის ტექსტებში მოეძებნება თავისი ორეული, ხოლო ჩეჩნურ ენაში - ზუსტი შესატყვისი: „დიქ კანთ“ (дика кант), ან „იაჰ იოლ კანთ“ (ях йолу кант).

„ილლის“ ჟანრის ტექსტებისგან ქართულ ბალადებს განასხვავებს მთავარი გმირის დიდებული და ამაღლებული სიკვდილი. ქართული ბალადების საპირისპიროდ, ჩეჩნური „ილლი“ გმირის გამარჯვებით მთავრდება. ქართულ ბალადაში მოქმედება კიდევ უფრო რეალისტურ გარემოში ხდება. ამბის ნამდვილობას აძლიერებს მიკროტოპონიმების, სამოქმედო სივრცის, დეტალური ასახვა. მართალია, გეოგრაფიული ადგილები გვხვდება ჩეჩნურ საგმირო სიმღერებშიც, მაგრამ „ილლი“ ზოგჯერ შეიცავს ნახევრად გაზღაპრებულ სიუჟეტებს და ცდილობს თავის სტრუქტურას დაუმორჩილოს ნებისმიერი საგმირო ამბავი, რომლის გადმოცემასაც იგი მიზნად ისახავს. ჩეჩნური სიმღერა ხშირად პერსონაჟის საკუთარ სახელსაც კი არ გვიმხელს. გმირი შეიძლება მოხსენიებული იყოს ზოგადი სახელწოდებით, მაგალითად, – ქვრივის ვაჟიშვილი.

ქართული ბალადებისგან განსხვავებით, ჩეჩნური ილლის მთავარი გმირი ქორწინდება მტრისაგან გამოხსნილ სატრფოზე. ამგვარი დასასრული „ილლის“ ჯადოსნური ზღაპრის ფინალთან აახლოვებს.

განსხვავების მიუხედავად, ჩეჩნური „ილლის“ ჟანრის ტექსტებში ასახული თემატიკა და ძირითადი მოტივები არ არის უცხო ქართული ბალადებისთვის და პირიქით, ქართული საგმირო ბალადების ცალკეული ელემენტები გვხვდება ჩეჩნურ სასიმღერო ჟანრის ტექსტებში. საგმირო ფოლკლორში ამგვარი სტრუქტურული და მსოფლმხედველობრივი კავშირები ქართველი მთიელებისა და ვაინახების ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბდა.

Khvtiso Mamisimedishvili

Comparative Analysis of the Chechen’s Heroic “Illi” and the Georgian “Ballad” in a Cultural-historical Context

The folk poetic texts of a lyrical-epic content, following their syncretic nature and the mode of performance, are called *Simghere* by the Khevsurians and *Illi* (a song) by the Chechens. In a structural, thematic point of view and in terms of a world-view, they show clear similarities with one another.

Illi, like a Georgian *ballad*, reflects the reality of the 17th, 18th and 19th centuries, praising the heroic acts of certain young men, namely their battle for protecting their community or a village. Often, *Illi* describes a dramatic picture of a young warrior’s breakthrough for some heroic act with the aim of gaining glory. Both, the Chechen texts of *Illi* genre and the *ballads* of the Georgian mountain people, are based on some cases of battles, i.e. they refer to real facts. The principal hero in both of

them is a real person, who was mostly known by his society, where the song was created. A feature differentiating the Georgian *ballad* from *Illi*-genre texts, is the glorious and eminent death of the hero. Unlike Georgian *ballads*, the Chechen *Illi* ends with the glorious victory of the hero. The action in the Georgian *ballad* usually takes place in a more realistic world. The reality of the story is reinforced by the detailed description of micro-toponyms and the field of action. It is true that the geographical locations are seen in the Chechen heroic songs, as well, but sometimes, *Illi* gives a semi-magic plot and tries to incorporate into its structure any heroic tale it wants to tell us about.

Unlike the Georgian *ballad*, the main hero in the Chechen *Illi* marries his beloved, who he freed from captivity. Such an end makes them close to the magic final of *Illi*. Despite such a difference, the theme and the main motifs given in the texts of the Chechen *Illi* are not alien for the Georgian ballad. On the contrary, some individual elements of the Georgian heroic ballad are seen in the texts of Chechen songs. Such structural and ideological associations in heroic folklore were established following the long and close relations between the Georgian mountain dwellers and the Vainakh people.

ტრისტან მახაური **დიმიტრი გულიას „პატარა მოთხრობები“ და ფოლკლორი**

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთარი ხალხის ბედ-იღბალთან, მის ყოველდღიურ ყოფასა და ტრადიციებთან. მწერალი გატაცებით წერს აფხაზთა ზნე-ჩვეულებებზე, ადათ-წესებზე, მათ ურთიერთობაზე ჩრდილოკავკასიელ მონათესავე ტომებთან. წერს სტუმარ-მასპინძლობაზე, უფროსის პატივისცემაზე, თავაზიანობაზე, მეგობრის ერთგულებაზე, სიმამაცეზე და ყველა იმ ღირსებებზე, რომლებიც ამკობენ აფხაზ ვაჟკაცს. მწერალს ბუნებით მომადლებული აქვს იუმორის იშვიათი ნიჭი და საჭიროების შემთხვევაში გამკენწლავ სტრიქონებსაც არ იშურებს თანამემამულეთა მიმართ. იუმორისტული შინაარსისაა მისი „პატარა მოთხრობების“ ციკლი.

ეს მოთხრობები ანეგდოტურსიუჟეტია, მოკლე და სახალისო საკითხავი. ზოგი მოთხრობა ცნობილი ხალხური ანდაზის მხატვრულ ხორცშესხმას წარმოადგენს („უცნაური შველი“); ზოგი კი - მახვილსიტყვაობის იშვიათი ნიმუშია: „ეთლუხი და ეკუბი“, „გვადი და ლაგუ“, „კაცი“, „ყაზაუთმა მწყერი დაიჭირა“, „სოლუხი გლოვობს თოხუც“, „ქედმაღალი სიმამრი“, „გაიძვერა ვექილი“, „მოხელე და გლეხები“... დაუნდობელი სატირა გამოსჭვივის აფხაზი მწერლის შემდეგ ნაწარმოებებში: „ეპისკოპოსი და მწყემსი“, „თავადი ჩაჩბა და ყვერული“, „აზნაური გლოვობს“. ამ მოთხრობებში ჩანს რელიგიის მსახურთა და გადაგვარებული თავადაზნაურობის

წარმომადგენელთა გაუმადლობა. ზოგიერთ ნიმუშში კი მდაბიო ხალხის სიბრიყვე და ხეპრობაა სატირულ ფერებში დახატული: „მთავარს დააცემინა“, „თავაზიანი ამიუბჟელები და პატარძალი“, „გუთი და შგუთი წაკინკლავდნენ“. მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებულ სიუჟეტებზეა აგებული „მკვირცხლი მალემსრბოლი“, „მთავარი და ჩვილი უფროსობაზე დაობენ“. ზოგიერთ ნაწარმოებში იგრძნობა ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გავლენაც. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის იგავის განხალხურებულ სიუჟეტზეა შექმნილი მოთხრობა „ხალილს ცხენი მოპარეს“.

ეს მოთხრობები მოარულ სიუჟეტებზეა დაფუძნებული და პარალელური ნიმუშები მოეპოვება როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ფოლკლორულ შემოქმედებაში.

Tristan Makhauri ***Short Stories by Dimitri Gulia and Folklore***

The works by Dimitri Gulia, the founder of Abkhazian literature is closely linked to the fate, everyday life and traditions of his native people. The writer anxiously writes about the customs and traditions of the Abkhaz people and their relations with their North-Caucasian kindred tribes. He writes about hospitality, respect for the elderly, politeness, devotion to friends, bravery and other dignities that adorn an ordinary Abkhazian man. The writer has a rare intrinsic sense of humor and does not refrain from using sharp comments for his compatriots if needed. His cycle of *Short Stories* is humoristic.

These stories are comical in nature. They are short and amusing to read. Some stories are fictional illustrations of famous folk sayings (“The strange roe”), while others are a specimen of wittiness, such as “Etluh and Ekub”, “Gvadi and Lagu”, “The Man”, “Kazaut Catches the Quail”, “Soluh Mourns Over the Old Man”, “The Overweening Father-in-Law”, “The Cheating Lawyer”, “The clerk and the Peasants” and so on. Pitiless satire is seen in the work by the Abkhaz writer: “The Prince Chachba and the Eunuch” and “The Noble is Grieving”. These stories describe the cupidity of the religious servants and some representatives of degenerated nobility. Some stories paint the ignorance and impoliteness of the plebs in satiric colors: “The Prince Sneezed”, “Polite Adziubzi People and the Bride”, “Guti and Shguti Squabbled”. The stories as “The swift fast-runner” and “The Prince and the newborn contend for the seniority” are built on the plots widely spread in Georgia. Some works show the influence of old Georgian literary monuments. For instance, the

story “Khalil has his Horse Stolen” is built on the paganized plot of a parable by Sulkhan-Saba Orbeliani.

These stories are based on common plots with their parallel samples found all over Georgia and in the folklore of the north-Caucasian peoples.

ივანე მჭედელაძე **იური ანდრუხოვიჩის „მოსკოვიადა“: საბჭოთა სიმპტომები, როგორც** **დესოვეტიზაცია თანამედროვე უკრაინულ რომანში**

მეოცე საუკუნის უკრაინული ლიტერატურა სოვეტოლოგიური და პოსტკოლონიური კვლევებისთვის საინტერესო ემპირიულ მასალას წარმოადგენს. უკანასკნელ პერიოდში დომინანტური გხადა თანამედროვე ლიტერატურის კვლევა პოსტკოლონიური სტუდიების კულტუროლოგიური პრობლემატიკის კონტექსტში.
 იური ანდრუხოვიჩის სახელს უკავშირდება პოსტმოდერნისტული ტენდენციების დამკვიდრება მეოცე საუკუნის დასასრულის უკრაინულ ლიტერატურაში. ანდრუხოვიჩის რომანი „მოსკოვიადა“ დაიბეჭდა 1992 წელს. ნაწარმოების გამოსვლას უკრაინაში დიდი რეზონანსი მოჰყვა. რომანს თავად ავტორმა უწოდა „საშინელებათა რომანი“. ნაწარმოები წარმოადგენს გვიანდელისაბჭოთა იდეოლოგიების, დისკურსებისა და პერსონაჟების კოლექციას. სიუჟეტი ვითარდება ყოფილი იმპერიის დედაქალაქში – მოსკოვში, სადაც უკრაინელი მწერლის საშინელი თავგადასავლები ვითარდება. ანდრუხოვიჩის ეს რომანი იყო დესოვეტიზაციის ყველაზე თამამი გამოვლინება უკრაინულ პროზაში, რომელიც ამ პერიოდისთვის საბჭოთა ინერციით აგრძელებდა ცხოვრებას. მის გამოსვლას აქტიურად გამოეხმაურა სალიტერატურო კრიტიკა პოზიტიური და ნეგატიური შეფასებებით. დღეისათვის ავტორიტეტული სამეცნიერო წყაროები მიუთითებენ, რომ ის რაც მოხდა „ევრომაიდნის“ მოვლენების დროს, კულტურული ამბოხის სახით სწორედ ანდრუხოვიჩმა და მისმა თაობამ დაიწყო ათასწლეულების მიჯნაზე უკრაინაში.

მოხსენების თეორიულ ბაზას წარმოადგენს და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ანთროპოლოგიური და პოსტკოლონიური მეთოდები.

Ivane Mtchedladze

Jury Andrukhovich`s «Moskoviada»: the Soviet Symptoms As Desovietology in the Modern Ukrainian Novel

The Ukrainian literature of the 20th century is an interesting empirical material for sovietology and postcolonial researches. Studying the modern literature in a context of the culturological problematics of postcolonial studios has become more widespread recently. The establishment of postmodernistic tendencies in the Ukrainian literature of the end of the 20th century is associated with the name of Iuriy Andrukhovych. Andrukhovych`s novel *Moskoviada* has been printed in 1992. The publication had a huge resonance in Ukraine. The author himself called “The Novel of Horrors”. *Moskoviada* displays a collection of late Soviet ideologems, discourses and characters.

The plot develops in the former capital of the empire - Moscow; there terrible events and adventures take place. The novel by Andrukhovych was the bravest expression of desovietology in Ukrainian literature, which still kept going under its momentum at the time. The edition was met by active critical responses - both positive, and negative. In our times, reliable scholarly sources refer to the events that happened during the "Euromaidan" in Ukraine, as the form of cultural revolt on the boundary of the millenia that has begun by Andrukhovych and other representatives of his generation.

the paper is based on the theoretical foundations of anthropological and postcolonial methods in literary studies.

რუსუდან ნიშნიანიძე

თამარ პაპავას დოკუმენტური პროზის („გაბნეული საფლავეები“)

ერთი პერსონაჟი

ცნობილი ქართველი მწერალი ქალის, თამარ პაპავას მოგონებების წიგნი „გაბნეული საფლავეები“ უცხოეთში გამოიცა. პატარა კრებულში ავტორმა არაერთი პიროვნების სილუეტი დახატა. ეს ნიჭიერმა მწერალმა საინტერესოდ მოახერხა.

ვლადიმერ ახმეტელი - დამოუკიდებელი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში. ის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წარადგინა და მოგვიანებით, გაგზავნა კიდეც. დანიშვნის დღიდან იგი აქტიურად ჩაება დიპლომატიურ საქმიანობაში. სამთავრობო არქივმა არაერთი

ხელმოწერილი დოკუმენტი, შუამდგომლობის ტექსტი და ოფიციალური მიმართვა შემოინახა. ამჯერად, არა ამ ისტორიულ „საქადაღებებზე“, არამედ ვლადიმერ (ლადო) ახმეტელის პიროვნებაზე მწერლობის გადასახედიდან ვისაუბრებ.

თამარ პაპავა კონკრეტულად ახმეტელზე კი გვიამბობს, მაგრამ, იმავდროულად, ისტორიას სხვა საინტერესო ფაქტებსაც შემოუნახავს. ეს დოკუმენტური პროზის თვისებაა, როცა გამოგონილი პერსონაჟები კი არ მოქმედებენ, არამედ რეალურად არსებული პიროვნებები. საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენები, მასში ჩართული ადამიანები და მათი არაერთი თავგადასავალი ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ისტორიას და ლიტერატურულ ტექსტებს სხვა მნიშვნელობას სძენს.

Rusudan Nishnianidze **One Character in Tamar Papava's Documentary Prose**

Tamar Papava is a well-known émigré writer. Georgian documentary prose stands out in this respect, especially in the part of the national literature called émigré literature. The specimens of her documentary prose – memoirs, reminiscences, dedicatory sketches restore the spiritual picture of the period – the principal postulates of thought that define the sphere of various interests, not infrequently yielding political portraits and silhouettes.

The reconstruction of the literary portrait of Vladimer Akhmeteli, the Georgian Ambassador to Germany, is feasible through the medium of numerous books and collected papers. The female Writer tells about him in an interesting way. The personality of the Ambassador is displayed from different angles to the Georgian reader.

სალომე ოშიაძე **ერთი ახალი ტენდენციის შესახებ თანამედროვე ქართულ სამეცნიერო დისკურსში**

ერთი ბოლო დროის სამეცნიერო დისკურსში (მონოგრაფიებში, სტატიებში, სადისერტაციო ნაშრომებში, ზეპირ მოხსენებებსა თუ მოხსენებათა ბეჭდურ თეზისებში და სხვ.) სულ უფრო ხშირია მონოლოგური თხრობისას ავტორის მიერ საკუთარი თავის პირველი პირის ნაცვალსახელის მხოლოდობითი რიცხვის ფორმით მოხსენიების შემთხვევები.

მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული ავტორისეული საწყისის წინ წამოწევის

საკითხი სამეცნიერო ეტიკეტისა და სამეცნიერო დისკურსის სპეციფიკურობის გათვალისწინებით; მოხმობილი იქნება როგორც სუბიექტის კონკრეტულობის (ავტორი = „მე“), ასევე აქამდე ნორმატიულ მოვლენად მიჩნეული სუბიექტის განზოგადებულობის (ავტორი = „ჩვენ“) არგუმენტირება.

Salome Omiadze

About One of the New Tendencies in the Modern Georgian Scientific Discourse

In the recent scientific discourse (monographs, articles, PhD theses, oral reports or print reports, etc.) the cases, where the author is mentioning himself in the form of the first-person pronoun singular during a monologue narrative, is becoming more common. This paper will discuss in detail the issue of moving forward the author's principle with respect to specificity of scientific etiquette and scientific discourse; haecceity of the subject (author = "I"), as well as generalization of the subject (author = "we"), - considered to be the normative event up to now, will be referred to as argumentation.

მურმან პაპაშვილი

საქართველო პაპ იოანე XXII-ის რელიგიურ პოლიტიკაში

72 წლის პაპი იოანე XXII (1316-1334) განსაკუთრებული ენერგიითა და ენთუზიაზმით შეუდგა მონღოლთა იმპერიაში სამისიონერო პოლიტიკის გატარებას. აქ მისიონერთა საქმიანობის „გაფართოებითა“ და შესაბამისად, წარმატების მიღწევით პაპი ორ მთავარ მიზანს ისახავდა: პირველი, კათოლიკობისადმი ლოიალურად განწყობილი მონღოლი მმართველები წმინდა მიწების ბრძოლით დაბრუნების გარანტიად ექცია; მეორე, მონღოლ მმართველებს პაპის მსოფლიო სულიერი მეთაურობა ეღიარებინათ. ამ მიზნის მისაღწევად, პაპის ამოცანებში საქართველოს საყურადღებო ადგილი ეკავა. მეფე გიორგი V ბრწყინვალის (1318-1346) პროლათინური დიპლომატიის, წარმატებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად, წმ. ტახტს საქართველო სამისიონერო პოლიტიკაში პერსპექტიულ საყრდენად მიაჩნდა.

მონღოლთა იმპერიაში სამისიონერო საქმიანობის განვითარებისათვის, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მისიონერული ცენტრების ორგანიზებას. ამ მიზანს თბილისში 1240 წელს შექმნილი დომინიკელთა კონვენტი ემსახურებოდა. პაპ

ინოკენტი IV-ის 1254 წლის 25 თებერვლის ბულა Cum dilectos filios ადასტურებს, რომ ქართველ პრელატებს მონღოლთა შორის მისიონერული საქმიანობის გაშლის რეკომენდაცია ეძღოდათ.

ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში კათოლიკობამ გზა კარგად გაიკვლია. იმ დროს, როცა ჰულაგუიანთა ისლამიზაციის საფრთხე (XIII ს-ის 80-იანი წლებიდან) პაპის კურიას უბიძგებდა დაუყოვნებლივ დაეწყო მონღოლთა შორის აპოსტოლატის ინტენსიფიკაცია, საქართველომ პაპ იოანე XXII-ის რელიგიურ პოლიტიკაში გარკვეული ასპექტი შეიძინა. კერძოდ, ეკლესიათა უნიის საფუძველზე წარმატებული მისიონერული

პოლიტიკის წარმოება და წმინდა მიწების დასაბრუნებლად მოწყობილ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ილხანთა ირანთან ერთად ბრძოლა.

ამასთან დაკავშირებით ავტორი ამტკიცებს: პირველი, 1322 წელს პაპმა საქართველოს მეფესთან ეკლესიათა უნიის საკითხის განხილვა დაიწყო. თუ ეს მიიღწეოდა, ლიონის უნიის ჩაშლის შემდეგ (1274 წ.), წმ. ტახტი თავის ავტორიტეტს როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში აღადგენდა. რაც შეეხება საქართველოს, იგი აღმოსავლეთში თავის რელიგიურ გავლენას გააფართოებდა და პაპის აზრით, აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში ქართული ეკლესია კონსტანტინოპოლის ადგილს დაიკავებდა. მიუხედავად ამისა, გიორგი V დიდ სიფრთხილეს იჩენდა და ეკლესიათა უნიას, ალბათ, დროის შესაბამის ამოცანად მიიჩნევდა. სხვაგვარად გაუგებარია, თუ რატომ დასთანხმდა გიორგი V 1328 წელს სმირნის კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოეტანათ; მეორე, საფრანგეთის მეფე ფილიპ VI ვალუამ გიორგი V-ს ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის წინადადებით მიმართა პაპ იოანე XXII-ის კარნახით და მიზნად ისახავდა საქართველოს მოკავშირეობას ანტითურქულ კოალიციაში და არა ანტიგვიპტურში, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული. ამაზე გიორგი მეფის უარი ნაკარნაქხევი იყო ამ ლაშქრობის არარეალურობით. მისი ჯვაროსნული მენტალიტეტი სრულიად ექვემდებარებოდა აქტიურ სამხედრო მოქმედებას და არა იმ დროს არსებულ სხვადასხვა თეორიულ პროექტების გააზრებას.

Murman Papashvili

Georgia in the Religious Policy of Pope John XXII

72-year-old Pope John XXII (1316-1334) started to pursue his missionary policy in the Mongol Empire with special energy and enthusiasm. By means of “expanding” this activity in the Mongol Empire and accordingly by achieving success, the pope pursued two major objectives: first, to turn those Mongol rulers who were the loyal supporters of Catholicism into the guarantors of fighting for

the Holy Land; second, to make the Mongol rulers recognize the Pope's spiritual leadership in the world. Georgia played a very important role in the Pontiff's endeavor to achieve these goals. As a result of King Giorgi V the Brilliant's (1318-1346) pro-Roman diplomacy, his successful internal and foreign policy Georgia considered the Holy See as a long-term supporter.

Establishing missionary centers in Georgia was also of great importance for developing missionary activities in the Mongol Empire. The creation of the Dominican convent in 1240 served this purpose. The papal bull *cum dilectos filios* issued by Pope Innocent IV on February of 25, 1254 confirms that Georgian prelates were recommended to start missionary activities among the Mongols. It meant that Catholicism paved its way in Georgia. At the time when islamization threatened Hulaguids (beginning with the eighties of the 13-th century) which forced the Roman Curia to immediately start the intensification of the Apostolate among the Mongols, Georgia acquired a certain aspect in the religious policy of Pope John XXII - particularly, pursuing a successful missionary policy aiming at a successful union of churches and fighting together with Ilhan Iranians in the crusade arranged for returning the Holy Land.

In connection with the above mentioned the author claims: First, in 1322 the Pope started the discussion of the issue concerning the union of churches with the king of Georgia. If this had been achieved after the disintegration of the Lyon union (1274 BC.), the Holy See would have restored its authority both in the East and in the West. As for Georgia, it would have expanded its religious influence and in the Pope's view the Georgian church would have taken the place of Constantinople in Eastern Christianity. In spite of it, Giorgi V was very cautious and perhaps considered the issue of uniting churches as a task responding to the demands of his time. Otherwise, it is impossible to understand why in 1328 Giorgi V agreed to transfer the Catholics Episcopal Cathedra of Smyrna to Tbilisi. Secondly, the French King Philip VI Valois made Giorgi V an offer to take part in a crusade by the order of Pope John XXII with the purpose of drawing Georgia into an anti-Turkish coalition instead of an anti-Egyptian one as it was previously supposed. King George's refusal to take part in this campaign was caused by its unlikeliness. His crusade mentality was completely subordinate to military action, and not to the various theoretical projects of the time.

თეიმურაზ შაჰასქირი

თურქეთის საკითხი ვ. მოლოტოვის ბერლინში ვიზიტის დროს (1940წ. ნოემბერი)

არსებობს უამრავი წყარო, რომელიც ადასტურებს საბჭოთა კავშირის მისწრაფებას, კონტროლი დაემყარებინა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე. გარდა ამისა, არსებობს მონაცემები, რომ 1940 წელს საბჭოთა მხარემ თურქეთს წაუყენა

ტერიტორიული პრეტენზიები ყარსისა და არტაანის ოლქების მიმართ, თუმცა თურქებმა ამას საზღვარსა და სრუტეების მიდამოებში სამხედრო შენაერთების მობილიზაციით უპასუხეს. პირველი დოკუმენტური დასაბუთება, რომელიც აშკარად ადასტურებს საბჭოთა ტერიტორიულ პრეტენზიებს თურქეთის მიმართ, არის ინსტრუქცია, რომელიც იოსებ სტალინმა მისცა ვიაჩესლავ მოლოტოვს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამ უკანასკნელის ბერლინში ვიზიტის წინ (1940 წლის ნოემბერი). სტალინის მითითების თანახმად, თურქეთის საკითხის „გადაწყვეტა არ შეიძლებოდა სსრკ-ს მონაწილეობის გარეშე, რადგანაც მას გააჩნდა სერიოზული ინტერესები“. კიდევ უფრო ღიად ჩანს საბჭოთა მისწრაფებები სტალინის მეორე დირექტივაში, რომელიც მოლოტოვს გაეგზავნა მოლაპარაკებების მეორე დღის, 13 ნოემბრის წინ. მოლოტოვს მითითება მიეცა, რომ „თუ გერმანელები შესთავაზებდნენ თურქეთის გაყოფას.., ღიად ესაუბრა ამ თემაზე“. როგორც გაირკვა, საბჭოთა მხარემ არასწორად შეაფასა გერმანელების მზადყოფნა დათმობებისადმი. ადოლფ ჰიტლერი მიხვდა, რომ საბჭოთა წინადადება ბულგარეთისადმი გარანტიების მიცემისა და სრუტეებში ბაზების გახსნის შესახებ მიმართული იყო არა მხოლოდ თურქეთის, არამედ რუმინეთის წინააღმდეგაც. მან სცადა, გადაეტანა საბჭოთა მხარის ყურადღება ინდოეთის ოკეანისადმი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. საბოლოო ჯამში, საბჭოთა ხელმძღვანელობამ წარუმატებლად ჩათვალა ბერლინში ჩატარებული მოლაპარაკებები და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი (ბულგარეთისა და ფინეთის საკითხებთან ერთად) თურქეთის პრობლემა იყო.

Teimuraz Papaskiri

The Question of Turkey during V. Molotov's Visit to Berlin (November 1940)

There are numerous sources, which show that the Soviets had an intention to take the Turkish Straits under their control. There are also some indications that they presented claims regarding two bordering provinces of Kars and Ardahan, but the Turks answered with mobilization both at the border and in the Straits. The first documental source, which clearly proves the Soviet territorial claims towards Turkey, is the instruction sheet given to Vyacheslav Molotov, the Soviet foreign minister, before his visit to Berlin in November 1940. According to the Soviet leader Joseph Stalin, the “fate of Turkey could not be decided without the Soviet Union, which had serious interests” there. Even more undisguised was Stalin’s second directive, which was given to Molotov on November 13, before the second day of the talks with the German leadership. Molotov was ordered to “open the cards” if “the Germans proposed the division of Turkey.” But the Soviet government had misunderstood the German readiness to the concessions. Adolf Hitler figured out that the Soviet proposal regarding the guarantees to Bulgaria and the bases at the Straits was directed not only

towards Turkey, but against Romania too. He tried to direct the Soviet interests towards the Indian Ocean, but failed. In overall, the talks in Berlin were considered as unsuccessful by the Soviet leadership, and the question of Turkey was one of the main reasons (along with the Bulgarian and Finnish questions) for such evaluation.

იზაბელა პეტრიაშვილი

მულტილინგვური სწავლების სახელმწიფო პოლიტიკა აშშ-ს ილინოისის შტატის მაგალითზე

წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებულია საუნივერსიტეტო ინტერდისციპლინური პროექტის „მულტილინგვური სწავლების სტრატეგიების შემუშავება ენობრივ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი პირველ ეტაპზე ითვალისწინებს მულტილინგვური სწავლების ძირითადი მიმართულებების და ეთნიკურუმცირესობათა ინტეგრაციის სახელმწიფო (შტატის) პოლიტიკის შესწავლას აშშ-ს ილინოისის შტატის გამოცდილების მაგალითზე. კვლევა განხორციელდა ორი მიმართულებით: (1) მეორადი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, რომლის ფარგლებში მოძიებული და შესწავლილი იქნა ილინოისის შტატში მოქმედი კანონები და რეგულაციები ბილინგვური/მულტილინგვური განათლების შესახებ, ასევე ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

(2) კვლევის ფარგლებში ჩატარდა, აგრეთვე, ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩიკაგოს ჩრდილოაღმოსავლეთ ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორთან, რომელიც იმავდროულად გახლავთ ილინოისის მულტიკულტურული და მულტილინგვური განათლების ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი და ერთ-ერთი ბილინგვური (ესპანურ-ინგლისური) დაწყებითი სკოლის მასწავლებელთან, რომელიც ჩიკაგოს ზემოაღნიშნული უნივერსიტეტის მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტიცაა.

კვლევის შედეგების ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა მკაფიოდ დაგვეჩვენა ის პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლები აშშ-ს ილინოისის შტატში და როგორია შტატის ენობრივი პოლიტიკა ამ პრობლემების გადასაჭრელად. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა შემდგომი კვლევის თეორიული და პრაქტიკული განხორციელების ჩარჩო, რაც საშუალებას მოგვცემს, შევიმუშავოთ მულტილინგვური სწავლების სტრატეგიები ზოგადი და უმაღლესი განათლების სფეროსათვის. შემუშავებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრებ ენობრივ უმცირესობებს წარმატებით მოახდინონ საზოგადოებაში ინტეგრირება როგორც ეროვნულ, ისე – საერთაშორისო დონეზე.

Izabella Petriashvili
**State Policy of Multilingual Education by the Example of the State of Illinois,
USA**

The present study has been carried out within the Tbilisi State University interdisciplinary project “Developing Strategies for Multilingual Education to Integrate Ethnic Minorities in Society”. On the first stage of the project it is planned to study the main trends of the state policy in multilingual education and integration of ethnic minorities based on the experience of the State of Illinois, USA. The study has been carried out in two directions: (1) To search and analyze the secondary information about the laws and regulations on bilingual/multilingual education in the State of Illinois, US, as well as the literature and internet resources on the issue. (2) Within the current research the in-depth interview was conducted with the professor from Northeastern Illinois University (NEIU), who is at the same time the Vice President of the Illinois Association of Multicultural Multilingual Education (IAMME), and the bilingual teacher in one of the Illinois bilingual elementary school (English-Spanish), the MA student of the Teacher Education program at NEIU.

Analysis of the study results demonstrated clearly the problems the linguistic minorities are facing in Illinois, USA and what is the state language policy to solve the problems. Based on the analysis of the obtained results the framework of theoretical and practical implementation of the further research has been planned, which will enable us to develop the strategies for multilingual education in general and higher education. The developed recommendations will help the minorities living in Georgia to get successfully integrated into society both nationally and internationally.

ნინო პოპიაშვილი
მიგრაციის პოეტიკა თანამედროვე ქართული ემიგრანტული
ლიტერატურის დისკურსში
(აკა მორჩილაძე, ნინო ხარატიშვილი, ელენა ბოჭორიშვილი)

მიგრაციის პოეტიკა გულისხმობს ტრანსნაციონალურ მიგრაციულ ლიტერატურას, რომელიც ნაციონალურ ლიტერატურებში ვერ პოულობს ადგილს და უმეტესად ერთობლივია, სხვადასხვა ლიტერატურის ნაწილია. ამ ტერმინით, ტრადიციულად, მოიხსენიება ემიგრანტების ლიტერატურა, ასევე, მიგრანტებისა და დროებითი მიგრანტების, ანუ უცხოელების მიერ შექმნილი მხატვრული ტექსტები, რომელთა მთავარი მახასიათებელი ტრანსკულტურული ჰიბრიდულობაა. ეს არის უცხო პარადიგმა, სადაც უცხო არის ის, რაც საკუთარ იდენტობაში არ თავსდება, უჩვეულოსა

და განსხვავებულის შეგრძნებებს ბადებს. ის, რაც სიტყვა “უცხოში” მოიაზრება, ემყარება სრულიად სუბიექტურ კრიტერიუმებსა და დასკვნებს, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სხვადასხვა საზომთან, როგორებიცაა: სტერეოტიპები, პერსპექტივები და მოლოდინები და სხვა. იდენტობისა და განსხვავებულობის ურთიერთობა თითქმის ყოველთვის იერარქიულია, სადაც უცხო ყოველთვის შემოსაზღვრულია, ხოლო საკუთარი იდენტობა, გამყარებული. თუმცა უცხოსთან შეხვედრა ერთდროულად საშიშიც არის და მომხიბვლელიც.

აღსანიშნავია, რომ მიგრაციული პროცესების დროს გამოიყოფა ორი მთავარი სოციალური და კულტურული კონტექსტი: თვითგადარჩენა და თვითგამოხატვა. მიგრანტების შემთხვევაში პირველი ეტაპია ბრძოლა თვითგადარჩენისათვის, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ენერჯიასა და ძალისხმევას. თვითგამოხატვის ეტაპი მიგრანტების შემთხვევაში დგება ძალიან გვიან, შესაძლებელია მეორე, მესამე, მეოთხე თაობაში, ან უფრო გვიანაც. ეს დაკავშირებულია მიგრაციის ტრავმასთანაც.

მოხსენებაში შევხებით თანამედროვე ქართველ და/ან ქართული წარმოშობის ავტორების: აკა მორჩილადის, ნინო ხარატიშვილისა და ელენე ბოჭორიშვილის შემოქმედებას მიგრაციული პოეტიკის დისკურსში. მათ ნაწარმოებებში დავაკვირდებით თვითგადარჩენისა და თვითგამოხატვის სოციალურ და კულტურულ კონტექსტებს.

Nino Popiashvili
Poetics of Migration in the Discourse of Modern Georgian Émigré
Literature
(Aka Morchiladze, Nino Kharatishvili, Elena Bochorishvili)

The poetics of migration means transnational migration literature, which cannot find its place in national literature and in most cases it appears as joint, part of various literatures. This term is traditionally used in reference to émigré literature, as well as literary texts created by migrants and temporary migrants, or foreign immigrants. Their main characteristic is trans-cultural hybridity. It is a paradigm of unfamiliar, something which cannot be associated with self identity and provokes the feeling of unusualness and differentness. Something that is implied by the word “unfamiliar” is based on completely subjective criteria and conclusions which are connected with different standards such as stereotypes, perspectives, expectations, etc. The relation between identity and distinctiveness is always hierarchical, unfamiliar; it is always restricted, whereas self identity is reinforced. However, encounter with something foreign is threatening and at the same time attractive.

It is worth mentioning that two main social and cultural contexts: self-survival and self-expression are singled out during migration processes. The first stage is a struggle for self-survival, which requires special energy

and effort in the case of migrants. The stage of self-expression happens quite late in the case of migrants, possibly in the second, third, fourth generation or even later. It is linked with the trauma of migration.

The paper deals with the creative works of modern Georgian authors and/or the authors with Georgian origins: (Aka Morchiladze, Nino Kharatishvili, and Elena Bochorishvili) in the discourse of migration poetics. We will place emphasis on social and cultural context of self-survival and self-expression in their works.

მანანა რუსიეშვილი
იდომებისა და ანდაზების ელექტრონული ბაზა და ეკვივალენტობის
თეორიის პრობლემები

მოხსენება ეხება რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიმდინარე კვლევის პრობლემატიკას. კერძოდ, განხილული იქნება როგორც იდომებისა და ანდაზების ელექტრონული ბაზის აგების პრინციპები ქართულსა და 6 ენის მასალაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული და არაბული), ერთეულების შეკრებისა და მათი ეკვივალენტურობის ხარისხის შემოწმების პრობლემები.

Manana Rusieshvili
An Electronic Database of Idioms and Proverbs and Issues of the Theory of
Equivalence

The paper deals with the basic principles of creating an electronic database of idioms and proverbs of the Georgian language with their equivalents in six languages (English, Russian, French, German, Turkish and Arabic). In addition, it refers to the issues of selection and validation of the items for the database. The research is financed by Shota Rustaveli National Science Foundation.

თენგიზ სიმაშვილი გიორგი გურჯიევი საქართველოში

საარქივო დოკუმენტები ადასტურებენ ცნობილი მისტიკოსის და ფილოსოფოსის გიორგი ივანეს გურჯიევის კავშირებს ქართველ რევოლუციონერებთან. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გიორგი გურჯიევი 1906 წლის მარტ-აპრილში ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადებას, ქალაქში ბარიკადული ბრძოლების წარმოებას, სხვა „სასარგებლო ჩვევებს“, ცნობილი „ავლაბრის არალეგალურ სტამბის“ შენობაში ბოლშევიკებისგან და მენშევიკების ექვს კაციან ჯგუფს ასწავლიდა. ამასთან მთელი რიგი წყაროები მას „ავლაბრის არალეგალური სტამბის“ გამცემად, პოლიციის აგენტად ასახელებენ.

ამ საკითხისადმი საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა ქართული სათაურით – „მისი ნამდვილი ვინაობა“ (რეპლიკა პროფ. მ. კვესელავას), რუსულად თარგმნილი ტექსტის კი „გიორგი გურჯიევი – მეფის „ოხრანკის“ აგენტი“ – ბატონ ალექსანდრე კოჭლავაშვილს აქვს მიძღვნილი. იგი ამ უკანასკნელის არქივში ინახება და დღემდე გამოუქვეყნებელია.

ჩემ მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტების ანალიზიდან გამომდინარე, გიორგი გურჯიევის, როგორც რუსეთის საიდუმლო პოლიციის აგენტად ყოფნა, იმ პერიოდში არ დასტურდება. პირიქით, როგორც ირკვევა იგი სწორედ სოციალ-დემოკრატებთან იყო დაახლოებული. მათი მიხედვით, გიორგი გურჯიევი 1906 წლის იანვარში ხაშურში ცხოვრობდა. მეტიც, იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებს ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადებას ასწავლიდა.

ჩემ მიერ მოძიებული სხვა საარქივო დოკუმენტები ასევე მოწმობენ, რომ გიორგი გურჯიევი საქართველოში სხვა დროსაც საკმაოდ საინტერესო „მოღვაწეობას“ ეწეოდა.

Tengiz Simashvili George Gurdjieff in Georgia

From the documents retrieved during the research process it is clear that in March and April of 1906 George Gurdjieff taught a group of six people including Bolsheviks and Mensheviks how to make explosives, barricade the cities, and other “useful skills”. Their “classes” took place on the top floor of the famous “Avlabari Underground Press” building. Moreover, some sources consider him a possible undercover police agent, a traitor of the so called “Military – Technical Group” and “Avlabari Underground Press”. Mr. Aleksandre Kotchlavashvili dedicated an extensive research to this issue under the title – “His Real Identity” which is kept in his archive and has not been published so far. Moreover, the author translated his research into Russian as well, but the title in the Russian version is “George Gurdjieff – an Agent of the Tsarist “Okhranka”. According to Aleksandre Kotchlavashvili, George Gurdjieff was “a secret agent” of the Tsarist Government.

However, from the analysis of archive materials retrieved by me, George Gurdjieff's being an agent of the secret police of Russia at the time is not approved. On the contrary, as it turns out he was in a close relation with the Social-Democrats. According to one source, George Gurdjieff was recommended as a teacher for "Military-Technical Group" by Bolshevik Mikha Botchoridze, and according to another one, by a famous Menshevik Silibistro Jibladze. And it is interesting as well that during the Soviet period George Gurdjieff was called Menshevik. According to archive documents, George Gurdjieff lived in Khashuri in January 1906. Moreover, he was teaching the activists of the Social Democratic Party. There are also other very interesting documents about George Gurdjieff.

ნესტან სულავა

წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰიმნოლოგიური მოღვაწეობიდან

წმ. გიორგი მთაწმინდლის სამგალობლო მონაცემების თაობაზე გიორგი მცირე თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოგვითხრობს, რომ გიორგი ყმაწვილობაშივე განისწავლა გალობაში. იგი ხმათა შეწყობას ადვილად იმახსოვრებდა და ზეპირად იცოდა მთელი წლის საგალობლები, რითაც თავის თანამგალობელთ ალემატებოდა და რითაც საოცრად ჰგავდა თავის დიდ წინამორბედებს წმ. გრიგოლ ხანცთელს და მიქაელ მოდრეკილს. წმ. გიორგი მთაწმინდლის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის, ქართული გალობის მრავალხმიანობისადმი მისი დამოკიდებულების შესასწავლად საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მისივე ბიოგრაფის, გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების მონაცემებსა და წმ. გიორგი მთაწმინდლისეული ჰიმნოგრაფიული კრებულებისათვის მის მიერვე დართულ ანდერძებს, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მეხელთა და მათი შემდგომი თაობის მგალობლების საქმიანობის, ქართული გალობის მრავალხმიანობის შესახებ. მეხელთა საქმიანობა XI საუკუნის ჰიმნოგრაფებისათვის გზამკვლევადა დარჩა, რასაც წმ. გიორგი მთაწმინდლის ანდერძის სიტყვები მოწმობს, მეხელნი მოძღურად მყვანანო. წმ. გიორგი მთაწმინდელი ქართულ გალობას უკვე მრავალხმიანად რომ აღიქვამს, უპირველეს ყოვლისა, ამას გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების ტექსტი გვიდასტურებს. ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ თხზულებაში დაცულ ცნობას წმ. გიორგი მთაწმინდლის მიერ გაწვრთნილი ოთხმოცი ობოლი ბავშვის მიერ გალობის ბერძნულ გვარზე, ერთხმიანი გალობის, შესრულების შესახებ ბიზანტიის კეისრის წინაშე, რაც ბიზანტიის იმპერატორმა შენიშნა. ეს იმას ნიშნავს, რომ მან იცოდა ქართული და ბერძნული გალობების გვარების სხვადასხვაობა; მისი სიტყვები უცილობლად ამტკიცებენ ქართული და ბერძნული გალობის სხვადასხვაობას. ქართული გალობის მრავალხმიანობა ეტაპობრივად უნდა მიღწეულიყო, თავდაპირველად, ჰიმნოგრაფიის განვითარების პირველ ეტაპზე იგი იყო ერთხმიანი, შემდეგ გახდა მრავალხმიანი, რაც იოანე პეტრიწს კლასიფიცირებული აქვს ხმათა მიხედვით ("მზახრ/პირველი, ჟირ/მეორე, ზამ/ზანი").

ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას ადასტურებს წმ. გიორგი მთაწმინდლის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, როდესაც მან აღნიშნა ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვედრილობა და დაასაბუთა მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა. იმ დროისათვის, როდესაც ეს პოლემიკა გაიმართა წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის, ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობა აღიარებული რომ არ ყოფილიყო, ანტიოქიის პატრიარქი წმ. გიორგი მთაწმინდელს უთუოდ უსაყვედურებდა და ლიტურგიის არაკანონიკურობაში დასდებდა ბრალს. წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის კამათი მოწმობს იმას, რომ ამ დროისათვის ქართული გალობის მრავალხმიანობა საუკუნეებგამოვლილია და იგი კანონიკურია. საფიქრებელია, რომ IV საუკუნის დასაწყისში,

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისას, საქართველოს ეკლესიის მრევლი, რომლის სმენა საუკუნეების მანძილზე მრავალხმიან ხალხურ სიმღერასა და წარმართული პერიოდის მრავალხმიან საკულტო გალობას იყო შეჩვეული, დიდხანს ვერ იგუებდა ერთხმიან გალობას და მასში უთუოდ ადრევე შეიტანდა ეროვნული მუსიკალური სააზროვნო სისტემის უპირველეს, უმთავრეს მახასიათებელს – პოლიფონიურობას. მრავალფეროვნება ქართველი ერის აზროვნების, მისი ეროვნული ცნობიერების, შინაგანი სულიერი სამყაროს გამოვლინებაა, ქართველი ერის სააზროვნო სისტემაა. ამიტომ ქართულ საეკლესიო გალობაში მრავალხმიანობა ადრევე შევიდა, ისევე როგორც ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის წიაღში საგალობელთა პარალელურად არსებული ქართული ლექსის უძველესი ფორმები, როგორც ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში – წინარექრისტიანული არქიტექტურის ელემენტები.

Nestan Sulava **Hymnology by St Giorgi Mtatsmindeli**

Giorgi Mtsire (the lesser) in his hagiographical work tells us about the polyphony of St Giorgi Mtatsmindeli. He says that St Giorgi Mtatsmindeli was educated in the art of polyphony as an young man. He knew all the hymns of years and was excellent at learning things by heart by which he resembled his great ancestors St Grigol Khandzteli and Mikael Modrekili. To study the hymnographical heritage and his attitude to the Georgian polyphony we must get acquainted with his biography from the Giorgi Mtsire's hagiographical works and also with *The Will* added to the hymnographical works of St Giorgi Mtsatsmineli. On the based of above mentioned works we can provide some interesting arguments about the works of the Mekhels' and the heritage of hymnographical works. The tradition of the Mekhels remained a sure guide for the hymnographs of the 11th century. St Giorgi Mtatsmindeli said: "The Mekhels' are my teachers, the priests". From the hagiographical works by Giorgi Mtsire we confirm that the hymns by Giorgi Mtatsmindeli were polyphonic. Georgian scholar, Ivane Javakhishvili paid a great attention to the fact preserved in this

story about the 80 orphans who were brought up by St Giorgi Mtatsmindeli, they chanted in front of the the Caesar of Byzantium in Greek tune and the Emperor noticed the polyphonic style of the song. It means that he knew about the differences between the Georgian and Greek chants and he had already mentioned that.

The polyphony of the Georgian chants did not emerge at once, it took a long process of formation. From the beginning the Georgian chant was monophonic and then it became polyphonic. Ioane Petritsi classified Georgian polyphonic chants according to the phonics: (Mzakhr/first, Jhir/second, Bam/third).

From the polemics that took place between the Patriarch of Antioch and St Giorgi Mtatsmindeli we confirm the canonicity of the polyphony of Georgian chants. St Giorgi Mtatsmindeli confirms the apostolic history and long history of independence of the Georgian church. At the time of this polemics the canonicity of the Georgian chant's polyphony must have already been confirmed. Otherwise, the Patriarch of Antioch would certainly condemn St Giorgi Mtatsmindeli accusing him of employing non-canonical element in the Liturgy. This debate confirms that Georgian polyphonic chants are canonical and this tradition has a long history. It is likely that in the first years of Christianity the Christians did not get used to the monophonic style of chants in churches because Georgian folk and traditions were acquainted only to the polyphonic style of songs. It means that the changes in the style of chants must have been made from the beginning. The Georgian chants would have changed from the monophonic to the polyphonic from the early stage of the liturgical experience in Georgia. Diversity is the main detection of the Georgian mentality, Georgian traditional spiritual life, diversity is the key to the local system of thinking. So it gives us the chance to say that the polyphony must have been the style of Georgian chants from the early stage of our church's development. Georgian hymnography shows the signs of having used the elements of the old style of Georgian poetry the same way as the ecclesiastical architecture of the Georgian church uses lots of the pre-Christian elements of Georgian architecture.

ლალი ქეცბა-ხუნდაძე

ეპისტემური კონტექსტუალიზაცია და ენობრივი მიმართებები პოსტ- მოდერნისტულ ლიტერატურულ დისკურსში

პოსტმოდერნისტული ექსპერიმენტული ლიტერატურული დისკურსის შემქმნელთათვის მნიშვნელოვანი მკითხველისთვის ტექსტის გაგების, აღქმის გაძნელებაა, რათა მკითხველმა ლიტერატურული დისკურსისა და მასში ჩართული მოცემული ტექსტის არსის შესაძლებლობების რეფლექტირება მოახდინოს, გააცნობიეროს ის, რომ გაგება მუდამ ავტომატიზებული პროცესი კი არ არის, არამედ ენა თვით ქმნის გასაოცარ დისკურსულ ფორმებს მასში მოცემული პოტენციების შესაბამისად, რომლების რეალიზებასაც ავტორი ცალკეულ ტექსტში ახდენს.

ამავე დროს აქ ენის შემზღუდავი პოტენციალიც ჩნდება. ტექსტების ღიაობა დისკურსში „ინტერპრეტაციის ჩარჩოებით“ იზღუდება. ამას აღნიშნავს უმბერტო ეკოც კომუნიკაციის თეორიული და კოგნიტიური მეცნიერებების მონაცემების შემეცნებაზე დაყრდნობით.

მოხსენებაში ამოსავალი საკითხებია:

წარმოადგენს თუ არა მორფოლოგიურ–სინტაქსური მიმართებების გარეშე მოცემული ტექსტების სიტყვები ტექსტის სივრცეს და ზედაპირს; თუ ეს ტექსტებია, იღებენ თუ არა თავის თავზე ტექსტის ზედაპირზე არსებული სხვა მიმართებები მორფოლოგიურ-სინტაქსურ ფუნქციებს, შესაძლებელია თუ არა ნომინალური ფორმებით წარმოდგენილი ტექსტების ზმნის ფლექტიური ფორმებით პრედიკაცია, როგორ ხდება სემანტიკური მიმართებების გააქტიურება პარადიგმატულ დონეზე და როგორია მნიშვნელობის კონტექსტუალური მიმართებები სიტყვათშემოქმედების პროცესში. მოხსენების მიზანია, ანალიზის პროცესში პასუხი გაეცეს ზემოთდასმულ შეკითხვებს და გამოვლინდეს ეპისტემური კონტექსტუალიზაციის მნიშვნელობა რეციპიენტის წინარე ცოდნისა და რეცეფციის სტრატეგიის შესაბამისად პოსტ-მოდერნისტული დისკურსის პოეტურ/ფიქციონალურ ტექსტებში.

Lali Ketsba-khundadze

Epistemic Contextualization and Language Relations in Post-Modern Literary Discourse

The aim of the creators of postmodern experimental literary discourse is to be understood and perceived as a text to be read difficultly by a reader in order to reflect the essential ability of a literary discourse and a text included in it, to realize the fact that comprehension isn't always an automatic process but a language that creates the amazing forms of discourse according to its potentials, which are realized in separate text by an author. Simultaneously a potential of limiting the language emerges as well. The transparency of the text in a discourse is limited by the “frames of interpretation”. Based on the data of communication theory and epistemology Umberto Eco notes the same.

The basic issues of the paper are: Whether the words of the given texts are a text space and surface without morphological and syntactic correlations; if they are texts, whether other correlations on the text surface undertake morphological and syntactic functions; whether it is possible to predicate texts represented in nominal forms in verbal reflective ones; how the activation of semantic relations on a paradigmatic level takes place; what kind of contextual relations of meaning occur in the process of word-creation. The goal of the paper is to answer the questions listed above, to reveal

the importance of epistemic contextualization in relation with the proto-knowledge of the recipient and reception strategy in the poetic/fictional texts of post-modernist discourse.

თეა ფეტელავა **მულტიმოდალური დისკურსის ანალიზის სტრატეგიები**

რა მიმართებებში არიან ერთმანეთთან დისკურსის კვლევა და მულტიმოდალობა? ანალიზის რა პერსპექტივებს გვთავაზობენ მეცნიერების ეს მიმართულებები გლობალურ ეპოქაში? სად არის მათი გადაკვეთის წერტილები? მოხსენების მიზანია მულტიმოდალური დისკურსის ანალიზის სტრატეგიების პრეზენტაცია.

Tea Petelava **Multimodal Discourse Analysis Strategies**

How can be described the relationship between discourse studies and multimodality? Which analytical perspectives do these two scholarly fields open up for one another? How are they already closely connected and which potentials and tensions do these entanglements bring to light? Which affinities can be seen between the two fields or from their mutual perspectives? The aim of the paper is to present the strategies of multimodal discourse analysis.

მარინე ფუთურიძე **ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემები თრიალეთის კულტურის ეგეოსურ სამყაროსთან კავშირურთიერთობის შესახებ**

მოხსენება შეეხება შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებული, II ფაზის თრიალეთის კულტურის სამარხეულ კომპლექსებში მიკვლეულ იმ კონკრეტულ არქეოლოგიურ არტეფაქტებს, რომელთაც უახლოესი ანალოგები მოეპოვებათ ეგეოსური სამყაროს შუა ბრინჯაოს ხანის კულტურის დამახასიათებელ ნიმუშთა შორის. ეს არის ძირითადად ელიტისათვის განკუთვნილი ტორევიკის ნიმუშები, რომლებიც ძვირფასი

ლითონებისგანაა დამზადებული. თუმცა, მასთან ერთად თრიალეთის კულტურის მასალათა შორის წარმოდგენილია ბრინჯაოსაგან დამზადებული იარაღის ერთი ტიპი (რაპირა) და დასაკრძალავი რიტუალისათვის განკუთვნილი ჭურჭელი, რომელთაც ასევე პირდაპირი ანალოგები გააჩნიათ სწორედ ეგეოსურ სამყაროში. ნაშრომის მიზანს სწორედ ამ მასალათა შედარებითი კვლევა წარმოადგენს.

Marina Puturidze

Some Archaeological Evidence of the Interrelation of Trialeti Culture and the Aegean World

Paper devoted to those archaeological artifacts discovered in the burial assemblages of Middle Bronze Age II Phase of the Trialeti culture, which evidently reveals a close similarity and have direct analogues among the contemporary items, characteristic for the Aegean World. They mostly represent only one type of artistic craft - toreutics, shaped in precious metal and designed for the elite of a certain society. It is remarkable that apart from the mentioned patterns among the Trialetian assemblages were recorded some other types of artifacts, namely, weapons (rapier) and vessels, especially created for the burial ritual, which as well have close parallels in the Aegean World. Main goal of the presented paper is a comparative study of the above mentioned archaeological samples.

ნინო ქავთარაძე

ქან ეშნოზის მუსიკალური ექსპერიმენტი

ქანრებს შორის ზღვარის წაშლა არა მარტო ლიტერატურაში, არამედ 80-იანი წლების ხელოვნებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, ხელოვნების წარმმართველ ძალად, გარდაქმნებისკენ მიმავალ ძალად. გავიხსენოთ თუნდაც ვიდუო-არტი ან ინსტალაციები. ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო, ამბობენ; ამიტომ იმ მწერლებისა არ უნდა გაგვიკვირდეს, რომლებიც ერთი ქანრისთვის დამახასიათებელი სტრატეგიებით არ კმაყოფილდებიან და დაწერილს საკუთარ ან ნასესხებ მუსიკას ურთავენ. ისინი იმ ბარდებს ემსგავსებიან, რომლებიც აუდიტორიის წინაშე მუსიკის თანხლებით კითხულობდნენ თავიანთ ქმნილებებს და თავად ასე ეხმიანებიან თანამედროვე მუზების გამოწვევებს.

ქან ეშნოზის გზა სხვაგვარია: რომანში **Cherokee**, იგი მუსიკალურ ნაწარმოების სახელწოდებას იყენებს სათაურისთვის, რითაც პარატექსტუალობა ვლინდება და მკითხველსაც ექმნება განწყობა. რეციპიენტმა შესაძლოა შეიქმნას ეპოქის სურათი,

რადგან ჯაზის კომპოზიცია ამ მუსიკალური სტილის შექმნის და ევროპაში დამკვიდრების პერიოდზე მიუთითებს. ემნოზი ხშირად ახსენებს მუსიკას, ჯაზს და აღწერს ოკეანეს გაღმა კულტურით გატაცებული ახალგაზრდებს. თავის მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში, ჯაზის მუსიკალური სტილისთვის დამახასიათებელი იმპროვიზაციების მსგავსად, ემნოზი იმეორებს წინადადების წევრებს, პერსონაჟებს, ეპიზოდებს – აკავშირებს მუსიკას და ვერბალურ ტექსტს, სიტყვებს და მუსიკალურ ფრაზას. იმპროვიზაციის და სინკოპების სიუხვე, წარმოაჩენდეს ემნოზის რომანის (*Cherokee*) კომპოზიციის თავისებურებას და ქმნის კიდევ მის განუმეორებელ პოეტიკას.

Nino Kavtaradze

The Musical Experiment of Jean Echenoz

The distinction between genres disappeared not only in literature but in the art of the 1980s. Let us remember video-art and installations. They say: “everything new is well-forgotten old”. Some writers do not satisfy with the strategies of specific genre and accompany their writings with their own or borrowed music. They become like the bards, who read and play their works and thus respond to the challenges of modern music.

Jean Echenoz chooses a different path: he named his novel *Cherokee* - the title of a jazz song. Echenoz unveiled paratextuality, he catches the reader's mood and their expectations. The recipient may imagine and draw the picture of the era. Echenoz often refers to music, jazz and young people excited by a foreign culture. He repeats words, sentences, episodes and writes with typical interpretations of jazz. Echenoz makes a connection between the verbal text with music and the words with musical phrases. In this novel (*Cherokee*), the abundance of improvisation and syncope represents the nature of the composition and even creates his inimitable poetry.

თეა ქარჩავა

ინგლისელთა ცნობები ევროპა-აღმოსავლეთის კავშირებზე მე-16 საუკუნის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხის – ანტიოსმალური კოალიციის შესახებ

მსჯელობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებზე, შეეხება ის რელიგიურ, პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ-კულტურულ ასპექტს, ყოველთვის აქტუალურია.

ბიზანტიის იმპერიის დამხობისა და ამ ტერიტორიაზე ოსმალეთის დამკვიდრების შემდეგ, რომელმაც მე-16 საუკუნეში აზიისა, ევროპისა და აფრიკის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა, ადრეული ახალი დროის ევროპისთვის ერთ-ერთი პრობლემატური პოლიტიკური საკითხი დააყენა დღის წესრიგში: ეს იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. ამ მიმართულებით ყველაზე რეალური პატრნიორი დასავლეთს (ჰაბსბურგები და ვენეცია, როგორც ინიციატორები ამ წამოწყების) სეფიანური სპარსეთის სახით ესახებოდა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ოსმალთა მთავარი მეტოქე იყო ახლო აღმოსავლეთში.

- ანტიოსმალური კოალიციის ფორმატში ევროპელებისა და სპარსეთის ურთიერთობაში ირიბად ან პირდაპირ ჩართული იყო სამხრეთ კავკასია, კერძოდ, ქართული სახელმწიფოები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში საქართველო ერთიანი სახელმწიფო აღარაა და აღმოსავლეთ ნაწილი, პრაქტიკულად, სეფიანური სპარსეთის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, ოსმალთა იმპერიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგები იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ევროპული წყაროები ანტიოსმალურ კოალიციაში ყველა პოტენციურ მოკავშირეს, შესაბამისად, ქართველ მეფეებსაც მოაზრებენ და მათ სპარსეთთან ერთად კონტექსტში განიხილავენ. ჩვენი მიზანია, ევროპული წყაროების (ტიუდორთა პერიოდის ინგლისის ლევანტური კომპანიის წარმომადგენლების რეპორტების) საფუძველზე ვაჩვენოთ რა პოზიცია და ინფორმაცია გააჩნდა ინგლისის სამეფო კარს ქართველების დაინტერესებაზე ანტიოსმალურ კავშირებში ჩაბმასთან დაკავშირებით.
- ევროპული წყაროების თარგმნა და, სამომავლოდ, მათი ადგილობრივი წყაროებთან შეჯერება მყარ საფუძველს მოგვცემს უფრო კომპლექსურად გამოვკვეთოთ ქართული სახელმწიფოების პოზიცია – ჩართულობა იმდროინდელი ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურ საერთაშორისო საკითხში მისი დამოუკიდებელი გადაწყვეტილება იყო თუ იძულებითი ნაბიჯი, ნაკარნახევი მძიმე პოლიტიკური ხვედრისგან? ამჯერად, ამ კითხვაზე ჩვენ პასუხს სახელმწიფო კანცელარიის ელიზაბეთ ტიუდორისეული საგარეო საქმეების დოკუმენტების სერიაში (List and analysis of State, foreign series of Elizabeth I) დაცული ინფორმაციის საფუძველზე ვეძებთ, რომელიც 1593-1595 წლის რეპორტებსაც მოიცავს და რომელიც ჩვენ ვთარგმნეთ. ეს ცნობები კი ოსმალთა იმპერიასა და ჰაბსბურგებს შორის წარმოებულ ე.წ. ხანგძლივი თურქული ომის დასაწყის ეტაპს მიეკუთვნება, რომელსაც დაემთხვა ანტიოსმალური კოალიციის გააქტიურების მორიგი ფაზა.

Tea Karchava
**English Sources On a European-Oriental Union Related to the Main
International Issue of the 16th century - the Anti-Ottoman Coalition**

Discussion about the relationship between the East and West is always timely regardless whether it applies to religious, political or economic-cultural aspects. After the crash of the Byzantine Empire in the 16th century, the Ottomans' settled on this territory and gradually managed to conquer the important lands of Asia, Europe and North Africa. For early modern Europe, creating an Anti-Ottoman alliance became one of the problematic issues in a political agenda. The West (the Habsburgs and Venice as initiators of this undertake) considered Safavid Persia as the most reliable partner in this initiative as Persia was the Ottomans' main rival in the Near East.

- Within the framework of the Anti-Ottoman alliance, South Caucasus and namely, the events taking place in Georgia were directly or indirectly involved in the relationship between the Europeans and Persia. Despite the fact that Georgia was no longer an united kingdom at that period, the results of the Ottoman Empire's expansionistic policy were so crucial that every potential ally was significant and the European sources considered the Georgian kings in the Anti-Ottoman alliance and reviewed them in the same context with the Safavid Persia. Our aim is to testify their position and what kind of information was accumulated by the English court about the interes of the Georgians regarding their involvement in the Anti-Ottoman alliance based on the European sources (Report of the Levant Company's representatives in the time of the Tudors).

- The translation of the European sources and their comparison with the local Georgian ones will give us a strong foundation in the future for showing the Georgian attitude in a more comprehensive way – was the involvement in the most important international issue their independent decision or was it compulsive or dictated by a harsh political destiny? For now we research the answer to this question in information, enclosed in the series *Documents of Foreign Affairs* (List an analysis of state, foreign series of Elizabeth I) namely, the reports dated by 1593-1595, which we have translated. These sources belong to the early stage of the so-called “Long Turkish War”, conducted between the Habsburgs and the Ottoman Empire, coincided with the next phase of stirring up the Anti-Ottoman coalition.

გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი **ენობრივი ნაციონალიზმის თავისებურებანი თანამედროვე ინგლისსა და** **საფრანგეთში**

თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციის ერთ-ერთი მიზანი უნივერსალური კულტურის ფორმირებაა, რომელმაც უნდა გააქროს საზღვრები სხვადასხვა ერსა და ეთნიკურ ჯგუფს შორის. ბუნებრივია, ეს პროცესი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობათა გამარტივებას ერთი ენის გამოყენების წყალობით, მაგრამ იმავდროულად მასში ღვივის არსებული კულტურული მრავალფეროვნების გაქრობის რისკი და ერთი უნივერსალური კულტურის დომინირება. ყოველივე ამის შედეგად, თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფოები ერთმანეთს უპირისპირდებიან, სურთ რა შეინარჩუნონ და დაიცვან თავიანთი კულტურა და ენობრივი იდენტურობა მოსალოდნელი საშიშროებისაგან, რაც იწვევს ნაციონალური განწყობის გაძლიერებას მრავალ ქვეყანაში.

მაგალითად, ევროპული კავშირის ქვეყნები, აღმოჩნდნენ რა ინტეგრაციული პროცესების გავლენის ქვეშ, წარმოადგენენ კულტურული და ლინგვისტური ნაციონალიზმის გამოვლენის ნათელ მაგალითს. დიდ ბრიტანეთს ახასიათებს რეგიონალური ლინგვისტური ნაციონალიზმის გამოვლენა; თუმც, სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს ამ საკითხს და მხარდაჭერას უცხადებს რეგიონალურ და მინორიტარულ ენებს კონფლიქტური პოტენციალის შესუსტების მიზნით. საფრანგეთის ენობრივი პოლიტიკის ძირითადი გრძელვადიანი მიზნებია ოფიციალურ ენასა და უმცირესობათა ენებს შორის ურთიერთობათა რეგულირება. დღეს, მრავალი ქვეყნისათვის მთავარი ამოცანაა – ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება და საზოგადოების ერთობა, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ თავიდან ავირიდოთ ლინგვისტური ნაციონალიზმის კონსტრუქციული ფორმების გადაზრდა დესტრუქციულში.

Giorgi Kuparadze, Tsiuri Akhvlediani **Peculiarities of Linguistic Nationalism in Modern England and France**

In the modern world, one of the principle goals of globalization is the formation of a universal culture, which should erase the boundaries between the various nations and ethnic groups. Naturally, this process will greatly contribute to the simplification of international relations thanks to the use of one common language, but at the same time this process may face the risk of letting the cultural diversity disappear by creating a universal culture of dominance. As a result of this, modern national states contradict each other by expressing their desires to preserve and protect their cultural and

linguistic identity from possible threats – the struggle leads to the increase of nationalistic sentiments in many countries.

For instance, the countries of European Union, having been under the influence of integration processes, reveal a clear example of the cultural and linguistic nationalism. Great Britain is known by its regional linguistic nationalism; However, the central government pays enormous attention to this issue and supports regional and minority languages to ease a potential conflict. Long-term goals of the language policy of France embraces the regulations between the official languages of minorities. Today, the major task for many states still remains keeping the linguistic diversity and the unity of society that will enable us to avoid turning of the constructive forms of linguistic nationalism into the destructive ones.

ფატიმა შეყლაშვილი

ბალკანეთის „კრიზისული კერები“ XXსაუკუნის 90-იანი წლების გერმანულ პოლიტიკაში

XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარმა მთელმა რიგმა რევოლუციურმა ცვლილებებმა – გერმანიის გაერთიანებამ, იუგოსლავიის დაშლის პროცესებმა, კრიზისული ზონების წარმოქმნამ ბალკანეთზე და სხვ. შეცვალა ძალთა თანაფარდობა ევროპაში, გავლენა მოახდინა დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური კურსის ტრანსფორმაციაზე და გარკვეულწილად, მათი პოლიტიკის მოდერნიზაციის აქტიურ ფაქტორადაც იქცა. ახლად გაერთიანებული გერმანიის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახდა ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის და ამ ქვეყნებში ანტიგერმანული ტენდენციის ნეიტრალიზაციის საკითხი.

ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე დაწყებული კრიზისი გერმანიის საგარეო პოლიტიკისთვის ერთგვარ გამოწვევად იქცა, შესაბამისად, 90-იანი წლების დასაწყისისთვის გერმანიის პოლიტიკური კურსი ბალკანეთზე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიფრთხილით. ბევრი მკვლევარის აზრით, გერმანია ითვალისწინებდა ნატო-ს და ევროკავშირის ინტერესებს, რათა შეენარჩუნებინა ევროპული და ტრანსატლანტიკური ინსტიტუტების ნდობა, მაგრამ, უწინარესად ეყრდნობოდა საკუთარ ინტერესებს და ყოველთვის არ სარგებლობდა ადეკვატური მეთოდებით.

გასათვალისწინებელია, რომ 1990 წ. მოსკოვის შეთანხმების პირობებით, გამარჯვებული ქვეყნები ინარჩუნებდნენ გერმანიის სუვერენიტეტის ნაწილობრივი შეზღუდვის რეჟიმს, რაც აბრკოლებდა გერმანიის შესაძლებლობას, სრულფასოვნად დაბრუნებოდა “დიდ სახელმწიფოებს”.

გერმანიის ორმაგი როლი გამოიკვეთა 1990-იანი წლების ბალკანეთის კონფლიქტებში,

გერმანია გამოვიდა იუგოსლავიის დაშლის მომხრედ და არ ჰქონდა რა ამ პროცესებში დამოუკიდებლად ჩარევის შესაძლებლობა, მკვლევართა ნაწილის შეფასებით, შეეცადა კრიზისისთვის შეეძინა საერთაშორისო ხასიათი, რომელიც მისცემდა საშუალებას გადაეღაზა კონსტიტუციური აკრძალვები და ამასთან, დაეშოშმინებინა ორად გაყოფილი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი – ბუნდესვერის მონაწილეობაზე **გაეროსა და ნატოს** სამშვიდობო მისიებში. 1995 წ. დეიტონის ხელშეკრულებამ გაამყარა გერმანიის პოზიციები ბალკანეთზე, თუმცა სერბეთ-ხორვატიისა და ბოსნიის კრიზისებისას ვერ მოხერხდა მოსკოვის შეთანხმების სრული რევიზია. 3. კოლის ხელისუფლების საგარეო კურსის ახალი სქემის აპრობაციად იქცა კოსოვოს კრიზისი. ამ ეტაპზე გერმანია ორიენტირებულია დიპლომატიის გზით დაარეგულიროს ვითარება.

1998 წ. გერმანიაში ხელისუფლებასთან ერთად იცვლება საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. კოსოვოს კონფლიქტის განვითარების პარალელურად გერმანია გამოდის შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ მოქმედებების ომის შემდგომი შეზღუდვებიდან და უშვებს ბუნდესვერის მონაწილეობას ბალკანეთის ოპერაციებში. 1999 წ. ი. ფიშერის ინიციატივა ("ი. ფიშერის გეგმა") უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გადამუშავებაში მონაწილეობაზე, რომლითაც შეიქმნა საჭაერო თავდასხმების შეწყვეტის შესაძლებლობა, მიუთითებს გერმანიის პოზიციის ცვლილებაზე ბალკანეთზე შექმნილი ვითარების დაარეგულირების საკითხში. გერმანიის ფედერალური ხელისუფლების დიპლომატიის ("სამხ-აღმ. ევროპის სტაბილურობის პაქტი") ძალისხმევა ბალკანეთზე სტაბილურობისთვის გამართულ პოლიტიკურ პროცესებში ღიად გამოიკვეთა.

Phatima Sheklashvili

Balkan "Crisis Centers" in the German Politics of the 1990's

The 1990s saw lots of revolutionary changes in the World's policy: the unification of Germany, On the edge of the 1980s and 1990s, the collapse of the Yugoslavian processes, the creation of the crisis zones in the Balkans ... changed the balance of power in Europe, it influenced the change of the direction of the foreign policies of the great countries and to some extent, has become an active factor of their modernization policy. From the priorities of the foreign policy of the newly united Germany, one of the important issues was becoming the relations of the central, eastern and south-eastern European states and so was the need for neutralizing those countries from their anti-German tendencies.

The crisis which began on the territory of the former Yugoslavia has become a kind of challenge for the foreign policy of Germany, accordingly in the beginning of the 1990s, the German policy was

distinguished by extreme caution towards the Balkans. According to many researchers, Germany was foreseeing the interests of the NATO and the European Union, in order to preserve the confidence of the European and transatlantic institutions, but, first of all it was based on their own interests and did not always enjoy being treated by the adequate methods.

It is noteworthy, that under the conditions of the Moscow agreement in 1990, the winning countries retained the sovereignty of Germany in a partial restrictive regime, which hindered the ability of Germany, to return fully to the “great states”.

Germany's dual role emerged in the 1990s in the context of Balkan conflicts: Germany came out in favor of the collapse of Yugoslavia and having no possibility of interfering in the process independently, by the estimation of the researchers, tried to manage to give the crisis an international importance, which would enable to overcome constitutional restrictions and in addition, to calm the public opinion worldwide which was equally divided: the Bundeswehr's participation in the UN and in NATO peacekeeping missions. 1995 Dayton Agreement has strengthened the position of Germany in the Balkans, but Serbia-Croatia and Bosnia crisis could not make the complete revision of the Moscow Agreement. H. Kohl's new scheme of foreign policy became an approbation for the Kosovo crisis. At this point Germany is focused to settle the situation in a diplomatic way.

In 1998, together with the government the priorities of the foreign policy changed in Germany. In parallel with the developed Kosovo conflict, Germany comes out from the post-war restrictions applied to the operations of the armed forces overseas and allows the Bundeswehr to take part in the operations of the Balkans.

In 1999, the I. Fisher's initiative (“I. Fischer Plan”) to participate in the Security Council resolution processing, by which it created the possibility of termination of air attacks, indicated the changes of Germany's position on the issue of settling the situation in the Balkans. The diplomatic efforts of the German federal government (“South-Eastern European Stability Pact”) for stability in the Balkans were openly outlined in political processes.

სოფიო ჩხატარაშვილი **„ოთარ ჭილაძის პოეზია უკრაინულად“**

თარგმანის როლი ქართულ–უკრაინულ კულტურათა დიალოგში ერთ–ერთი მნიშვნელოვანია. ტრადიცია სათავეს მეჩვიდმეტე საუკუნიდან იღებს და დღემდე გრძელდება. უკრაინული ლიტერატურა მდიდარია ქართული ლიტერატურული ძეგლების თარგმანებით და პირიქით. უახლესი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ოთარ ჭილაძის პოეზია მრავალჯერ ითარგმნა უკრაინულ ენაზე. 1968

წელს ბროშურად გამოცემული ოთარ ჭილაძის ლექსების მთარგმნელი გახლავთ ცნობილი უკრაინელი მოღვაწე, სამოციანელი პოეტი ივან დრაჩი. გამომცემლობა „მლოდის“ მიერ 1970 წელს გამოიცა კრებული „მზის მტევანი“. მასში მოთავსებული ლექსების თარგმანები ივან დრაჩს ეკუთვნის. კიდევ ერთი კრებული გამოიცა კიევში 1987 წელს. თამაზ ჭილაძისა და ოთარ ჭილაძის რჩეული ლექსების კრებულები სახელწოდებებით «Поклик» და «Зустріч». კრებულთა შემდგენელია პავლო მოვჩანი, მთარგმნელები კი თავად პავლო მოვჩანი, გრიგორი ხალიმონენკო, სვეტლანა ჟოლობი, ვასილ ოსადჩი და სხვანი. ლიტერატურული და კულტურული დეკადების ფარგლებში, გასაგებია მწერალთა ნაწარმოებების თარგმნა, ერთი მხრივ, სავალდებულო იყო და გეგმით გაწერილი, მაგრამ კონტაქტები შემდგომში გაგრძელდა და, ვფიქრობთ, ღირებული მემკვიდრეობა დაუტოვა ლიტერატურის ისტორიას. ოთარ ჭილაძესა და ივან დრაჩს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ივან დრაჩის ინტერვიუებში ხშირად ისმის ქართველი მწერლის სახელი „... მთაწმინდაზეც ავედით, მივესალმე ჩემს უფროს მეგობრებს და მასწავლებლებს – ოთარ ჭილაძეს, ნოდარ დუმბაძეს და სხვებს, რომლებიც მიყვარს და ვაფასებ...“ – ასეთი გახლავთ ივან დრაჩის ერთ–ერთი მოგონება. უკრაინულად ახშიანდა ოთარ ჭილაძის ლექსები: „შეხვედრა“, „გალაკტიონ ტაბიძეს“, „თოვლი“, „მზე“, „...მე თოვლში ვეძებ სისხლიან ვარდებს“ და სხვანი; პოემა „თაკო და ზაზა“. მთარგმნელები, განსაკუთრებით კი ივან დრაჩი, გვთავაზობენ დედნის ადეკვატურ თარგმანებს, ოთარ ჭილაძის პოეზიის მუსიკალობისა და პოეტური სტილისტიკის სწორ გააზრებასა და გადმოცემას თარგმანებში.

Sophio Chkhatarashvili **Otar Chiladze's poetry in Ukrainian language**

The translating work plays one of the most important roles in the Georgian–Ukrainian cultural dialogue. The tradition takes over the 17th century, and continues even today. Ukrainian literature is rich with Georgian literary monuments.

Many Ukrainian poems were translated by foreign authors into Georgian in 1964, also Georgian Literature was translated into Ukrainian in 1969 by Otar Chiladze and Ivan Drach. Ivan Drach always tells about the Georgian writer Otar Chiladze as his friend in his interviews: “we went to Mtatsminda, we ascended to, my senior friends and teachers - Otar Chiladze, Nodar Dumbadze and others, whom I love and appreciate...” – such is one of the Ivan Drach’s memories. Otar Chiladze’s poems such as “Meeting“, „To Galaktion Tabidze“ “The Snow“ “The Sun“, , „... I am looking for bleeding roses in the snow“, “Tako and Zaza“ and others are also translated into the Ukrainian language.

Translators, and Ivan Drach in particular, offer the original adequate translations of the music of Otar Chiladze's poetry and poetic style, the correct understanding of his meanings and conveying the same in his translations.

ლელა ციხელაშვილი
მორფოლოგიური ომონიმიის თავიდან აცილების ერთი შემთხვევა ძველ ქართულში

ძველ ქართულში მოქმედებს მტკიცე წესი: -ნ სუფიქსიან მრავლობითში მდგარი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა II სერიაში ყოველთვის გამოიხატება -ენ/-ნ სუფიქსით (*მოვკლენ მე იგინი, მოჰკლენ შენ იგინი, მოკლნა მან იგინი...*). -ენ/-ნ სუფიქსი II კავშირებითსა და II ხოლმეობითში უშუალოდ მოსდევს ზმნის ძირეულ მორფემას და იკავებს მწკრივის ნიშნის წინა პოზიციას (II კავშირებითი: *მო-ვ-კლ-ნ-ე, მო-ჰ-კლ-ნ-ე, მო-კლ-ნ-ე-ს, მო-ვ-კლ-ნ-ე-თ, მო-ჰ-კლ-ნ-ე-თ, მო-კლ-ნ-ე-ნ*; II ხოლმეობითი: *მო-ვ-კლ-ნ-ი, მო-ჰ-კლ-ნ-ი, მო-კლ-ნ-ი-ს, მო-ვ-კლ-ნ-ი-თ, მო-ჰ-კლ-ნ-ი-თ, მო-კლ-ნ-ი-ან*).

ცნობილია, რომ ძველ სამწერლობო ქართულში აქტივები წყვეტილს ორგვარად აწარმოებენ: -ე მწკრივის ნიშნითა და უნიშნოდ. უნიშნო წყვეტილის შემთხვევაში ობიექტის მრავლობითობა I-II პირში გამოიხატება -ენ სუფიქსით, ვინაიდან მის შემდეგ მწკრივის ნიშნის რანგში იგულისხმება 0: *მო-ვ-კლ-ენ, მო-ჰ-კლ-ენ, მო-კლ-ნ-ა, მო-ვ-კლ-ენ-(ი)-თ, მო-ჰ-კლ-ენ-(ი)-თ, მო-კლ-ნ-ეს*. ანალოგიური ვითარებაა წყვეტილზე დამყარებულ II ბრძანებითშიც. საინტერესოა, რომ სავსებით იდენტური ყალიბი გვაქვს მწკრივისნიშნაანი წყვეტილის შემთხვევაშიც. თუ ობიექტი -ნ სუფიქსიან მრავლობითშია, მოსალოდნელი -ე მწკრივის ნიშანი არსად ჩანს: *შე-ვ-კრიბ-ენ, შე-ჰ-კრიბ-ენ, შე-კრიბ-ნ-ა, შე-ვ-კრიბ-ენ-(ი)-თ, შე-ჰ-კრიბ-ენ-(ი)-თ, შე-კრიბ-ნ-ეს*. ანალოგიური ვითარებაა II ბრძანებითშიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში წყვეტილის მწკრივის ნიშანი დაკარგულია -ენ სუფიქსის დართვის გამო (**შე-ვ-კრიბ-ე-ენ* > *შე-ვ-კრიბ-ენ*). აღნიშნულ მოსაზრებას ახლავს გარკვეული დაბრკოლება: ცნობილია, რომ ზმნურ ფორმაში მორფემათა მიმდევრობა, მათი რანგები, მკაცრად არის განსაზღვრული. II კავშირებითსა და II ხოლმეობითზე დაყრდნობით -ენ/-ნ მორფემის პოზიცია უნდა განისაზღვროს მწკრივის ნიშნის წინ, რაც თავისთავად გამორიცხავს ამ მორფემათა ურთიერთშენაცვლებას და **შე-ვ-კრიბ-ე-ენ* ტიპის ფორმის დაშვებას.

ამ შემთხვევაში ახსნა უნდა მოეძებნოს იმ ფაქტს, თუ რატომ გამოიყენა ენამ ნიშნაანი და უნიშნო წყვეტილის I-II პირისათვის (ასევე, II ბრძანებითის II პირისათვის) იდენტური ყალიბი. ვფიქრობთ, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო II კავშირებითთან ფორმოზრივი დამთხვევის, მორფოლოგიური ომონიმიის, თავიდან აცილება, ვინაიდან, წესით, -ე მწკრივისნიშნაან წყვეტილში, -ენ სუფიქსისთვის განსაზღვრული პოზიციის გათვალისწინებით, მოსალოდნელი ფორმები იქნებოდა: **შე-ვ-კრიბ-ნ-ე* < *შე-ვ-კრიბ-ენ-ე*, **შე-ჰ-კრიბ-ნ-ე* < *შე-ჰ-კრიბ-ენ-ე*, **შე-ვ-კრიბ-ნ-ე-თ* < *შე-ვ-კრიბ-ენ-ე-თ*, **შე-ჰ-კრიბ-ნ-ე-თ* < *შე-ჰ-კრიბ-ენ-ე-თ*.

Lela Tsikhelashvili

One Case of Avoiding Morphological Homonymy in Old Georgian

In Old Georgian the following rule was observed strictly: the plurality of the Direct Object which occurred in Plural with the suffix **-n**, in the Series II was always rendered by the suffix **-en/-n** (*movklen me igini* 'I killed them'; *mohklen shen igini* 'you killed them'; *moklna man igini* 's/he killed them'...). The suffix **-en/-n** in Optative II and Iterative II directly follows the root morpheme of the verb and occupies the position preceding the screeve marker (Optative II: *mo-v-kl-n-e* 'I will kill them'; *mo-h-kl-n-e* 'you will kill them'; *mo-kl-n-e-s* 's/he will kill them'; *mo-v-kl-n-e-t* 'we will kill them'; *mo-h-kl-n-e-t* 'you will kill them'; *mo-kl-n-e-n* 'they will kill them'; Iterative II: *mo-v-kl-n-i* 'I used to kill them'; *mo-h-kl-n-i* 'you used to kill them'; *mokl-n-i-s* 's/he used to kill them'; *mo-v-kl-n-i-t* 'we used to kill them', *mo-h-kl-n-i-t* 'you used to kill them'; *mo-kl-n-i-an* 'they used to kill them').

As is known, in Old Literary Georgian active verbs formed Aorist in two ways: by means of the screeve marker **-e** and without a marker. In the case of Aorist without a marker the plurality of the Object in I-II Persons is rendered by the suffix **-en**, as after it, in the rank of a screeve marker 0 is implied: *mo-v-kl-en*, *mo-h-kl-en*, *mo-kl-n-a*, *mo-v-kl-en-(i)-t*, *mo-h-kl-en-(i)-t*, *mo-kl-n-es*. The situation is the same in Imperative II based on Aorist. It is interesting that the identical pattern is found with Aorist having a screeve marker. If the object is in Plural with the suffix **-n**, the expectable screeve marker **-e** does not appear: *she-v-krib-en* 'I collected them'; *she-h-krib-en* 'you collected them'; *she-krib-n-a* 's/he collected them'; *she-v-krib-en-(i)-t* 'we collected them'; *she-h-krib-en-i-t* 'you collected them', *she-krib-n-es* 'they collected them'.

In scholarly literature a viewpoint is expressed that here the screeve marker of Aorist is lost due to adding **-en** suffix (**she-v-krib-e-en* > *she-v-krib-en*). This viewpoint is accompanied by certain obstacles: it is known that sequence of morphemes in a verb form and their ranks are strictly defined. On the basis of Optative II and Iterative II, **the position of the morpheme -en/-n should be defined before the screeve marker**, which naturally rules out mutual substitution of these morphemes and admission of a form of the following type: **she-v-krib-e-en*.

In this case the fact should be explained **why the language used for I-II Persons of Aorist with and without a marker** (as well as II person of Imperative II) an identical pattern. We suggest

that this might have been due to the necessity **to avoid the coincidence of forms with Optative II - morphological homonymy** – as, according to the rule, in Aorist with the screeve marker **-e**, taking into account the position defined for the suffix **-en**, the expectable forms would have been: **she-v-krib-n-e < she-v-krib-en-e, *she-h-krib-n-e < she-h-krib-en-e, *she-v-krib-n-e-t < she-v-krib-en-et, *she-h-krib-n-e-t < *she-h-krib-en-e-t.*

სოფიკო ძნელაძე

პოსტმოდერნისტული რომანის ქართული ორიენტირები ნაირა გელაშვილის ორი ნაწარმოების „ანაბეჭდები“ და „მივემგზავრები მადრიდს“ მიხედვით

პოსტმოდერნისტული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი მხატვრული ეფექტები გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან თანდათანობით ქართულ მწერლობაშიც წარმოჩნდა. ამ გზის დასაწყისში იკვეთება ის მხატვრული ორიენტირები და სახელები, რომელთაც ზოგჯერ იქნებ გაუცნობიერებლადაც კი სათავე დაუდეს ქართულ პოსტმოდერნისტულ ისტორიებს.

ქართულ პოსტმოდერნიზმზე საუბარს იწყებენ ნაირა გელაშვილის შემოქმედებით, სადაც აღნიშნული ლიტერატურული მიმდინარეობის პირველი ნიშნები გამოვლინდა, ამის მაგალითია მისი ერთ-ერთი რომანი „ანაბეჭდები“ (ჩვენება), რომელიც პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი რიგი ნიშან-თვისებებით გამოირჩევა. ამ ნიშნებიდან აღსანიშნავია ორმაგი კოდირება, რიზომა, ალუზია, ინტერტექსტი, ფრაგმენტულობა.

ავტორმა მოშალა ყოველგვარი ზღვარი გმირსა და მკითხველს, ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის, მან ოსტატურად შეუთავსა ერთმანეთს რეალური და გამონაგონი ფაქტები. სამყაროს პოსტმოდერნისტული აღქმა ცნობიერდება მწერლის მეორე მოთხრობაშიც „მივემგზავრები მადრიდს“, რომელიც 1981 წელს დაიწერა, მასში ასევე იკვეთება პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი: ირონია, ალუზია, თამაშის პრინციპი.

ნაწარმოების მთავარი გმირი სანდრო ლიჩელი გაორებულია, ის ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა ორ ქვეყანას შორის. მისთვის ორი ქალაქი არსებობს თბილისი, სადაც რეალურად ცხოვრობს და მადრიდი, მისი ოცნებისა და წარმოსახვის ქალაქი. პოსტმოდერნისტული ხერხების დახმარებით მწერალმა მკითხველის წინაშე პატარა სპექტაკლი დადგა, სადაც სანდრო ლიჩელის ოცნებები თამაშდებოდა. საჭირო იყო ამ ოცნებებისგან გათავისუფლება. ნერვოზისგან და ოცნებისგან განკურნება კი მხოლოდ მარტოობას შეეძლო. გმირი საკუთარი თავის შეცნობისკენ მიემგზავრებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაირა გელაშვილი თავის შემოქმედებაში პოსტმოდერნიზმის არსებობას არ აღიარებს, ცხადია, პოსტმოდერნისტული ნიშნები მის მხატვრულ ტექსტებში უდავოდ იკვეთება, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს მწერლის განსხვავებულ ხედვას, რომელიც 70-80-იანი წლების ქართული პროზისთვის არ იყო დამახასიათებელი.

Sopiko Dzneladze

The Georgian Reference Points of the Postmodernist Novel According to Naira Gelashvili's Works "I Travel to Madrid" and "Imprints"

The creative effects characterizing postmodernist literature have gradually appeared in Georgian literature since the 1970s and 1980s of the previous century. At the beginning of this road those creative directions and names were shaped, which sometimes even unconsciously laid the foundation to the Georgian postmodernist stories.

The Georgian postmodernism started with Naira Gelashvili's works, which reflected the first signs of the aforementioned literary trends. Her novel *Imprints* is distinguished by a number of features characterizing postmodernism. These features are: double encoding, rhizome, allusion, intertextuality and fragmentation.

The author erased all the margins between a character and a reader, the life and the art. She masterfully combined the real and fictional. The postmodernist perception of the universe was also expressed in Naira Gelashvili's another novel *I Travel to Madrid* (written in 1981). It also included irony, allusion and a playful element.

Sandro Licheli - the main character of the work – is suffering from double consciousness. He is on the edge of being and non-being. Only two cities exist for him. Tbilisi is the place of his residence, while Madrid is the city of his dreams and imagination.

The author staged two performances via the usage of postmodernist devices. These performances presented Sandro Licheli's dreams. It was necessary to get rid of these dreams. Only loneliness could cure his nervousness and reveries. Sandro Licheli "travels" towards the discovery of his own self.

Naira Gelashvili does not recognize the existence of postmodernist elements in her works. However, these signs are vividly revealed in her texts. This fact presents the writer's different view, which did not characterize the Georgian prose of the 1970s and 1980s.

ივანე წერეთელი

იდენტობის ნარატივები საქართველოში (XIX-XX საუკუნეების მიჯნა)

